

**მოპოვებითი მრეწველობის  
გამჭვირვალობის ინიციატივის (EITI)  
სტანდარტი  
2016**

EITI საერთაშორისო სამდივნო, 24 მაისი 2017

დოკუმენტის ორიგინალი (ინგლისური) ვერსია ხელმისაწვდომია მოპოვებითი მრეწველობის  
გამჭვირვალობის ინიციატივის (EITI) ვებ-გვერდზე: <https://eiti.org/standard/overview>

## სარჩევი

შესავალი.....	3
ნაწილი I: EITI-ს სტანდარტების შესრულება .....	4
1. EITI-ს პრინციპები .....	4
2. EITI-ში რეგისტრაცია .....	5
3. მოთხოვნები EITI-ს განმახორციელებელი ქვეყნების მიმართ .....	6
1. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის მიერ ბედამხედველობა.....	7
2. სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ფარგლები, მათ შორის ხელშეკრულებებისა და ლიცენზიების განთავსება .....	11
3. მოპოვება და წარმოება .....	16
4. შემოსავლის დათვლა .....	17
5. შემოსავლების განაწილება .....	21
6. სოციალური და ეკონომიკური ხარჯები.....	22
7. შედეგები და გავლენა .....	24
8. განმახორციელებელი ქვეყნების შესაბამისობა და ვადები.....	27
4. სანდოობის შემოწმების მიმოხილვა .....	34
5. ოქმი: სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა .....	37
6. მონაცემთა ღიაობის პოლიტიკა .....	41
ნაწილი II: მმართველობა და მართვა .....	43
7. წესდება.....	44
8. EITI-ს გამჭვირვალობის პოლიტიკა .....	53
9. EITI-ს სახელმძღვანელო ჯგუფების შესახებ .....	54
10. EITI-ს ასოციაციის ქცევის კოდექსი.....	54

## შესავალი

წინამდებარე EITI სტანდარტი შედგება ორი ნაწილისგან: პირველი ნაწილი - EITI სტანდარტის განხორციელება და მეორე ნაწილი - მართვა და მენეჯმენტი.

პირველი ნაწილი, EITI სტანდარტის იმპლემენტაცია, მოიცავს შემდეგს:

- **EITI პრინციპები**, რომლებიც შეთანხმდა 2003 წელს ყველა დაინტერესებული მხარის მიერ. აღნიშნული პრინციპები აყალიბებს ყველა დაინტერესებული მხარის მიზნებსა და ვალდებულებებს.
- **EITI მოთხოვნები**, რომლებიც უნდა დაიცვას ყველა EITI-ს განმახორციელებელმა ქვეყანამ. 2013 წლის EITI სტანდარტის მოთხოვნები მცირედით დაიხვეწა, რათა განემარტათ ბუნდოვანი და შეუსაბამო საკითხები. გარდა ამისა, განხორციელდა მოთხოვნების რესტრუქტურისა და ამჟამად ისინი წარმოდგენილი არიან მოპოვებითი მრეწველობის ღირებულების ჯაჭვის შესაბამისად. დაბოლოს, დაემატა ნაწილი სახელად **შესაბამისობა და განმახორციელებელი ქვეყნების ვადები**, სადაც განერილია EITI-ს მოთხოვნებთან შეუსაბამობის შედეგები და ვადები, რომლებიც უნდა დაიცვან განმახორციელებელმა ქვეყნებმა.
- **სანდოობის შემონახვის მიმოხილვა**. სანდოობის შემონახვა აწვდის დაინტერესებულ მხარეებს მიუკერძოებელ შეფასებას, თუ რამდენად შეესაბამება ქვეყანაში EITI-ს განხორციელება EITI სტანდარტების დებულებებს. სანდოობის შემონახვის პროცედურა შეიცვალა. ახლა ის იწყება სანდოობის შემონახვისათვის საჭირო მოსამზადებელი ნაბიჯებით, შემდეგ გრძელდება EITI-ს საერთაშორისო სამდივნოსა და საბჭოს მიერ დანიშნული სანდოობის შემონახველის მიერ მონაცემების შეგროვებითა და დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციით. საბჭო იღებს სანდოობის შემონახვასთან დაკავშირებულ საბოლოო გადაწყვეტილებას. სანდოობის შემონახვის სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს მითითებებს EITI-ს საბჭოსათვის EITI მოთხოვნების შესაფასებლად, პირველად შეთანხმდა 2006 წელს. იგი განახლდა იმისთვის, რომ მასში ასახულიყო სტანდარტის ბოლო ცვლილებები.
- **ოქმი "სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა"**, რომელიც დამტკიცდა EITI-ს საბჭოს მიერ 2015 წლის 1 იანვარს.
- **ღია მონაცემთა პოლიტიკა**, რომელიც დამტკიცდა EITI-ს საბჭოს მიერ 2015 წლის 9 დეკემბერს.

მეორე ნაწილი - მმართველობა და მართვა შეიცავს მოკლე შესავალს EITI-ს მოწყობის თაობაზე. ამას მოჰყვება EITI-ს წესდება, რომელიც მოიცავს დებულებებს EITI-ს წევრების ასოციაციის მართვის თაობაზე. 2013 წელს EITI-ს საბჭომ დაამტკიცა EITI-ს ღია პოლიტიკა, რომლის ნახვაც შესაძლებელია წესდების შემდგომ. მეორე ნაწილი ასევე მოიცავს EITI-ს შემადგენლობის სახელმძღვანელოსა და EITI-ს ასოციაციის ქცევის კოდექსს.

## ნაწილი I: EITI-ს სტანდარტების შესრულება

### 1. EITI-ს პრინციპები

დიდი ბრიტანეთის მიერ 2003 წელს ორგანიზებულ ლანკასტერის სახლის კონფერენციას ლონდონში ქვეყნების, კომპანიებისა და სამოქალაქო საზოგადოების მრავალფეროვანი ჯგუფი დაესწრო. მათ შეათანხმეს განცხადება პრინციპებზე, რომელიც მიზნად ისახავს მოპოვებით მრეწველობაში გადახდებისა და შემოსავლების მიმართ გამჭვირვალობის გაზრდას. აღნიშნული ცნობილი გახდა როგორც EITI-ს პრინციპები და წარმოადგენს EITI-ს ქვაკუთხედს.

#### ჩანართი I EITI-ს პრინციპები

1. გვწამს, რომ ბუნებრივი რესურსების დოვლათის გონივრული გამოყენება მდგრადი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მექანიზმი უნდა იყოს, რომელიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებასა და სიღარიბის შემცირებას. თუმცა, არასწორად განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნულს შეუძლია მოახდინოს უარყოფითი ეკონომიკური და სოციალური ზემოქმედება.
2. ვადასტურებთ, რომ ბუნებრივი რესურსების დოვლათის მართვა ქვეყნის მოქალაქეების სასარგებლოდ წარმოადგენს სუვერენული მმართველობების სფეროს, რომლის განხორციელებაც უნდა მოხდეს მათი ეროვნული განვითარების ინტერესების გათვალისწინებით.
3. ვაღიარებთ, რომ რესურსების მოპოვება წარმოადგენს შემოსავალს, რომელიც გრძელდება მრავალი წლის განმავლობაში და შესაძლებელია, მნიშვნელოვნად იყოს დამოკიდებული ფასზე.
4. ვაღიარებთ, რომ დროთა განმავლობაში სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების საჯაროობა ხელს შეუწყობს საჯარო დებატებსა და მდგრადი განვითარებისათვის შესაბამისი და რეალური ვარიანტებიდან ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას.
5. ხაზს ვუსვამთ მოპოვებით მრეწველობაში მთავრობებისა და კომპანიების გამჭვირვალობის მნიშვნელობას და საზოგადოებრივი ფინანსების მართვისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების საჭიროებას.
6. ვაღიარებთ, რომ მეტ გამჭვირვალობას უნდა მივაღწიოთ ხელშეკრულებებისა და კანონების პატივისცემის კონტექსტში.
7. ვაღიარებთ, რომ ფინანსურმა გამჭვირვალობამ შესაძლოა, გააძლიეროს გარემო შიდა და უცხოური ინვესტიციებისათვის.
8. გვჯერა მთავრობის ანგარიშვალდებულების პრინციპისა და პრაქტიკის ყველა მოქალაქის წინაშე, რათა ზედამხედველობა გაუწიოს შემოსავლის ნაკადებსა და საჯარო ხარჯებს.
9. მზად ვართ, საჯარო ცხოვრებაში, მთავრობის საქმიანობასა და ბიზნესში წავახალისოთ გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტები.
10. გვჯერა გადახდებისა და შემოსავლების გამჟღავნების ზოგადი თანმიმდევრული და ეფექტური მიდგომის საჭიროების, რომლის განხორციელება და გამოყენება მარტივი იქნება.
11. გვჯერა, რომ გადასახადების გასაჯაროება მოცემულ ქვეყანაში უნდა ეხებოდეს ყველა იმ მოპოვებითი მრეწველობის კომპანიას, რომელიც საქმიანობს ამ ქვეყანაში.
12. პრობლემის გადაჭრის გზების ძიებისას, მიგვაჩნია, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ უნდა შეიტანოს მნიშვნელოვანი და შესაფერისი წვლილი, მათ შორის მთავრობებმა და მათმა უწყებებმა, მოპოვებითი მრეწველობის კომპანიებმა, მომსახურების მიმწოდებელმა კომპანიებმა, მრავალმხრივმა ორგანიზაციებმა, ფინანსურმა ორგანიზაციებმა, ინვესტორებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

## 2. EITI-ში რეგისტრაცია

EITI-ს განმახორციელებელი ქვეყანა ვალდებულია, EITI-ს კანდიდატი ქვეყნის სტატუსისათვის საჭირო განაცხადის წარდგენამდე გადადგას რიგი ნაბიჯები. ეს ნაბიჯები ეხება მთავრობის ჩართულობას (1.1), კომპანიის ჩართულობას (1.2), სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას (1.3), სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის შექმნას (1.4) და EITI-ს სამუშაო გეგმის თაობაზე შეთანხმებას (1.5). დეტალური დებულებები მოცემულია 6-10 გვერდებზე. მას შემდეგ, რაც ქვეყანა დაასრულებს აღნიშნულ ეტაპებს და სურს აღიარებულ იქნას, როგორც EITI-ს კანდიდატი, მთავრობამ EITI-ს კანდიდატის განაცხადი უნდა წარუდგინოს EITI-ს საბჭოს (იხილეთ ჩანართი 2).

### ჩანართი II EITI-ს კანდიდატობაზე განაცხადის წარდგენა

მას შემდეგ, რაც ქვეყანა დაასრულებს რეგისტრაციისათვის საჭირო ეტაპებს და სურს, აღიარებულ იქნას EITI-ს კანდიდატად, მთავრობა, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის მხარდაჭერით, წარადგენს EITI-ს კანდიდატის განაცხადს, განაცხადის შესაბამისი ფორმის გამოყენებით. განაცხადი უნდა აღწერდეს იმ დროისთვის განხორციელებულ საქმიანობას და წარადგენდეს მტკიცებულებებს, რომ განვერდიანებისათვის საჭირო თითოეული ეტაპი დასრულებულია. განაცხადი უნდა შეიცავდეს EITI-ში ჩართული მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის დაინტერესებული პირების საკონტაქტო ინფორმაციას.

EITI-ს საბჭო განიხილავს განაცხადს და აფასებს მოხდა თუ არა რეგისტრაციისათვის საჭირო ეტაპების სათანადოდ დასრულება.

საერთაშორისო სამდივნო დაინტერესებულ მხარეებს უკავშირდება ეროვნულ დონეზე, რათა დაადგინოს მათი შეხედულებები რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით და მოიპოვოს კომენტარები მხარდამჭერი მთავრობების, საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების, მხარდამჭერი კომპანიების, მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და ინვესტორებისაგან. საერთაშორისო სამდივნო მჭიდროდ ითანამშრომლებს ხელისუფლების მიერ დანიშნულ მაღალჩინოსნებთან, რომლებიც წარუძღვებიან EITI-ს განხორციელებას, რათა დააზუსტოს ნებისმიერი გამორჩენილი საკითხი. აღნიშნულსა და ნებისმიერ სხვა ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით, **EITI-ს საბჭოს ინიციატივის [შესახებ ინფორმაციის] გავრცელების დაფარვის სფერო და საკანდიდატო კომიტეტი** გონივრულ ვადაში რეკომენდაციას წარუდგენს EITI-ს საბჭოს იმასთან დაკავშირებით, უნდა იქნას თუ არა ქვეყნის განაცხადი მიღებული. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს EITI-ს საბჭო.

EITI-ს საბჭო EITI-ს კანდიდატი ქვეყნის რეგისტრაციის თაობაზე გადანყვეტილების მიღებას ამჯობინებს EITI-ს საბჭოს სხდომებზე. შეხვედრებს შორის ხანგრძლივი პერიოდის არსებობის შემთხვევაში, EITI-ს საბჭოს შეუძლია გადანყვეტილება მიიღოს საბჭოს ცირკულარის მეშვეობით. კანდიდატის მიღებისას EITI-ს საბჭო ამტკიცებს პირველი EITI ანგარიშის გამოქვეყნებისა და სანდოობის შემოწმების ვალდებულების ვადებს. განმახორციელებელი ქვეყნის პირველი EITI ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს ქვეყნის EITI-ს კანდიდატად მიღებიდან 18 თვის ვადაში. EITI-ს კანდიდატი ქვეყნები ვალდებული არიან, სანდოობის შემოწმება დაიწყონ EITI-ს კანდიდატის სტატუსის მიღებიდან ორნახევარი წლის ვადაში. დამატებითი ინფორმაცია ვადების პოლიტიკის შესახებ ხელმისაწვდომია მე-8 დებულებაში.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამდივნოსგან

### 3. მოთხოვნები EITI-ს განმახორციელებელი ქვეყნების მიმართ

ეს ნაწილი ადგენს მოთხოვნებს, რომლებიც უნდა დაიცვან EITI-ს განმახორციელებელმა ქვეყნებმა. არსებობს EITI-ს განმახორციელებელი ქვეყნების ორი ჯგუფი: EITI-ს კანდიდატი ქვეყნები და EITI-სთან შესაბამისობაში მყოფი ქვეყნები. EITI-ს კანდიდატის მიზანია, დროულად მოვიდეს EITI-ს სტანდარტთან შესაბამისობაში. იმისათვის, რომ გახდნენ EITI-სთან შესაბამისობაში მყოფი ქვეყნები, განმახორციელებელმა ქვეყნებმა სანდოობის შემოწმების გზით უნდა წარმოაჩინონ, რომ მათ დააკმაყოფილეს EITI-ის ყველა მოთხოვნა. სანდოობის შემოწმების პროცედურები მოცემულია მე-4 ნაწილში.

EITI-ს მოთხოვნები მინიმალური მოთხოვნებია და განმახორციელებელ ქვეყნებს საშუალება ეძლევათ, გასცდნენ ამ მოთხოვნებს იმ შემთხვევაში, თუკი დაინტერესებული მხარეები აღნიშნულს მიზანშეწონილად მიიჩნევენ. დაინტერესებულ მხარეებს საშუალება ეძლევათ, მიმართონ ბმულზე [www.eiti.org](http://www.eiti.org) მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე განთავსებულ დამატებით სახელმძღვანელო მასალებს.

#### ტერმინოლოგია

EITI-ს სტანდარტში ტერმინების "ვალდებულება", "უნდა", "მოეთხოვება" გამოყენება მიუთითებს, რომ საკითხი სავალდებულოა და EITI-ს სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებისას მხედველობაში იქნება მიღებული.

EITI სტანდარტში ტერმინის "მოსალოდნელი" გამოყენება მიუთითებს, რომ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა უნდა განიხილოს საკითხი და წერილობითი ფორმით დააფიქსიროს განხილვა, გასაჯაროების/არგასაჯაროების საფუძველი და გასაჯაროების საწინააღმდეგო ნებისმიერი ბარიერები. სანდოობის შემოწმება განიხილავს და წერილობითი ფორმით დააფიქსირებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის დისკუსიას.

ტერმინების "რეკომენდირებული", "წახალისებული", "შეიძლება ისურვოს" და "შეიძლება" EITI-ს სტანდარტში გამოყენებისას მიუთითებს, რომ საკითხი არჩევითია. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის ძალისხმევა წერილობით აისახება სანდოობის შემოწმებაში, თუმცა არ იქნება მხედველობაში მიღებული EITI-ს სტანდარტთან შესაბამისობის საერთო შეფასებაში.

ტერმინი "EITI ანგარიში" გასაჯაროების მექანიზმის კონტექსტში გამოიყენება, როგორც EITI-ს სტანდარტის ინფორმაციისა და მონაცემების შემოკლებული ვარიანტი, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს EITI-ს სტანდარტის შესაბამისად. მონაცემები შეიძლება გამოქვეყნდეს EITI ანგარიშის სახით, ან წარმოადგენდეს საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციასა და მონაცემებს, რომლებიც შეგროვდა, ან რომლებზეც მითითება გაკეთდა EITI-ს პროცესის ფარგლებში.



## 1 EITI-ს მოთხოვნები 1

### 1. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის მიერ ზედამხედველობა

**მიმოხილვა:** EITI მოითხოვს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის ეფექტურ ზედამხედველობას, მათ შორის, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის ფუნქციონირებას, რომელიც მოიცავს მთავრობას, კომპანიებს და სამოქალაქო საზოგადოების სრულ, დამოუკიდებელ, აქტიურ და ეფექტურ მონაწილეობას. ძირითადი მოთხოვნა, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს, მოიცავს: (1.1) სახელმწიფო ჩართულობას; (1.2) ინდუსტრიის ჩართულობას; (1.3) სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას; (1.4) სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის შექმნასა და ფუნქციონირებას; და (1.5) შეთანხმებულ სამუშაო გეგმას EITI-ს განხორციელებისთვის საჭირო მკაფიო მიზნებითა და გრაფიკით, რომელიც თანხვედრაშია EITI-ს საბჭოს მიერ დადგენილ ვადებთან.

#### 1.1 მთავრობის ჩართულობა

- მთავრობა ვალდებულია, გააკეთოს გამოუხმობადი საჯარო განცხადება EITI-ს განხორციელების მიზნების თაობაზე. განცხადება უნდა გაკეთდეს სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის, ან სათანადოდ უფლებამოსილი მთავრობის წარმომადგენლის მიერ.
- მთავრობამ უნდა დანიშნოს უფროსი რანგის პირი, რომელიც გაუძღვება EITI-ს განხორციელებას. დანიშნულ პირს უნდა ჰქონდეს ყველა დაინტერესებული მხარის ნდობა, უფლებამოსილება და თავისუფლება, რათა განახორციელოს EITI-სთან დაკავშირებული ქმედებების კოორდინირება შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში და შეძლოს რესურსების მობილიზება EITI-ს განხორციელებისათვის.
- ხელისუფლება სრულად, აქტიურად და ეფექტურად უნდა ჩაერთოს EITI-ს პროცესში.
- ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მაღალი თანამდებობის პირების წარმომადგენლობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფში.

#### 1.2 კომპანიის ჩართულობა

- კომპანიები სრულად, აქტიურად და ეფექტურად უნდა ჩაერთონ EITI-ს პროცესში.
- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რაც კომპანიას საშუალებას მისცემს, მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული წესების, ისევე როგორც EITI-ს განხორციელების რეალური პრაქტიკის შემუშავებაში. EITI-ში არსებითად ჩართული კომპანიების, მათ შორის და არა მხოლოდ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის წევრების ფუნდამენტური უფლებები დაცული უნდა იყოს.
- ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს კომპანიის დაუბრკოლებელი მონაწილეობა EITI-ს პროცესში.

#### 1.3 სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა

სამოქალაქო საზოგადოების ოქმის შესაბამისად:<sup>2</sup>

<sup>2</sup> სამოქალაქო საზოგადოების ოქმი წარმოდგენილია EITI სტანდარტის მე-5 ნაწილში

- a. სამოქალაქო საზოგადოება სრულად, აქტიურად და ეფექტურად უნდა ჩაერთონ EITI-ს პროცესში.
- b. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რაც საშუალებას მისცემს სამოქალაქო საზოგადოებას, მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული წესების, ისევე, როგორც EITI-ს განხორციელების რეალური პრაქტიკის შემუშავებაში. EITI-ში არსებითად ჩართული სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის და არა მხოლოდ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის წევრების ფუნდამენტური უფლებები დაცული უნდა იყოს.
- c. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების დაუბრკოლებელი მონაწილეობა EITI-ს პროცესში.
- d. ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს ქმედებებისგან, რომლებიც შეავიწროებს ან შეზღუდავს EITI-ს განხორციელებასთან დაკავშირებულ საჯარო დებატებს.
- e. სხვადასხვა დაინტერესებული მხარე, მათ შორის, და არა მხოლოდ, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის წევრები/წევრებს:
  - I. უნდა შეეძლოთ გამჭვირვალობისა და ბუნებრივი რესურსების მართვის საკითხებზე თავისუფლად საუბარი.
  - II. არსებითად უნდა იყვნენ ჩართულნი EITI-ს პროცესის შემუშავებაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში და უნდა უზრუნველყონ, რომ აღნიშნულმა ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ დებატებს.
  - III. უფლება უნდა ჰქონდეთ, დაუკავშირდნენ და ითანამშრომლონ ერთმანეთთან.
  - IV. უნდა შეძლონ თავისუფლად მოქმედება და EITI-ს შესახებ მოსაზრებების გამოთქმა თავშეკავების, იძულების, ან რეპრესირების გარეშე.

#### 1.4. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი

- a. მთავრობა ვალდებულია, იკისროს სამოქალაქო საზოგადოებასთან და კომპანიებთან თანამშრომლობის ვალდებულება და შექმნას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი, რომელიც ბედამხედველობას გაუწევს EITI-ს განხორციელებას. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის შექმნისას, მთავრობა ვალდებულია:
  - i. უზრუნველყოს ჯგუფში მონაწილეობის მოსაწვევის ღიაობა და გამჭვირვალობა.
  - ii. უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეთა ადეკვატური წარმომადგენლობა. აღნიშნული არ ნიშნავს მათი რიცხობრივი წარმომადგენლობის აუცილებლობას. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი უნდა შედგებოდეს შესაფერისი დაინტერესებული მხარეებისგან, რომლებიც მოიცავენ, თუმცა არ შემოიფარგლებიან შემდეგით: კერძო სექტორი; სამოქალაქო საზოგადოება, მათ შორის დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები და სხვა სამოქალაქო საზოგადოება, როგორცაა მედია და გაერთიანებები; და შესაბამისი სახელმწიფო უწყებები, რომლებიც ასევე შესაძლოა, მოიცავდნენ პარლამენტარებს. თითოეულ დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფს უნდა ჰქონდეს უფლება, დანიშნოს თავისი საკუთარი წარმომადგენლები, სასურველია პლურალიზმისა და მრავალფეროვანი წარმომადგენლობის გათვალისწინებით. წარდგენის პროცესი უნდა იყოს დამოუკიდებელი და ნებისმიერი სახის იძულებისაგან თავისუფალი. EITI-ში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის წევრად ჩართული



სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები უნდა იყვნენ ქმედითები და პოლიტიკის თვალსაზრისით, მთავრობისაგან ან/და კომპანიებისაგან დამოუკიდებელი.

- iii. განიხილოს ჯგუფის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა.
- b. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, სამუშაო მიზნებისთვის დათანხმდეს საჯარო „განსახილველ საკითხთა შესახებ დადგენილებას“ (Terms of Reference - ToR). ToR, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს შემდეგ დებულებებს:

**სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების როლი, პასუხისმგებლობა და უფლებები:**

- i. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფს უნდა ჰქონდეს მისი მოვალეობების განხორციელების შესაძლებლობა.
- ii. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან და კომპანიებთან, მათ შორის ისეთი კომუნიკაციის საშუალებებით, როგორცაა მედია, ვებსაიტი და წერილების მეშვეობით, უნდა განახორციელოს ეფექტური ქმედებები, რომლის მეშვეობითაც EITI-ს განხორციელების მთავრობის ვალდებულებისა და კომპანიებისა და სამოქალაქო საზოგადოების როლის თაობაზე ინფორმაციას მიანვდის დაინტერესებულ მხარეებს. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა ასევე ფართოდ უნდა გაავრცელოს საჯარო ინფორმაცია, რომელიც ეფუძნება EITI-ს პროცესს, როგორცაა EITI-ს ანგარიში.
- iii. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის წევრებმა უნდა ითანამშრომლონ მათ ამომრჩეველ ჯგუფებთან.

**სამუშაო გეგმების დამტკიცება, EITI ანგარიშები და წლიური განვითარების ანგარიშები:**

- iv. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, დაამტკიცოს ყოველწლიური სამუშაო გეგმები, დამოუკიდებელი ადმინისტრატორის დანიშვნა, ToR-ი დამოუკიდებელი ადმინისტრატორისათვის, EITI-ს ანგარიშები და ყოველწლიური განვითარების ანგარიში.
- v) სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, ზედამხედველობა გაუწიოს EITI-ს ანგარიშის შექმნის პროცესს და მონაწილეობა მიიღოს სანდოობის შემოწმებაში.

**შიდა მმართველობის წესები და პროცედურები:**

- vi. EITI მოითხოვს ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების პროცესს, სადაც თითოეული ამომრჩეველი განიხილება, როგორც პარტნიორი. ნებისმიერ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის წევრს აქვს უფლება, განსახილველად წამოაყენოს საკითხი. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, დაეთანხმოს და გამოაქვეყნოს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის წარმომადგენლების ნომინირებისათვის და შეცვლისთვის არსებული პროცედურები. აღნიშნული გულისხმობს ჯგუფის წევრის შეცვლის პროცესის აუცილებლობას, რომელიც პატივს სცემს 1.4.ა მოთხოვნაში განვრჩილ პრინციპებს. თუ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფს აქვს დღიური ნორმის („პერდიემების“) პრაქტიკა EITI-ს შეხვედრების დასწრებისთვის ან სხვა სახდელები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის წევრებისათვის, აღნიშნული პრაქტიკა უნდა იყოს გამჭვირვალე და არ უნდა ქმნიდეს ინტერესთა კონფლიქტს.

- vii. შეხვედრის თაობაზე შეტყობინება უნდა გაიგზავნოს შეხვედრამდე საკმარისი ვადით ადრე, ხოლო დოკუმენტები უნდა გაიგზავნოს დებატებამდე და შემოთავაზებული ცვლილებების მიღებამდე.
- viii. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა უნდა აწარმოოს დისკუსიებისა და გადაწყვეტილებების წერილობითი ჩანაწერები.

### 1.5. სამუშაო გეგმა

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, დაიცვას სრულად ხარჯთაღრიცხვა-განწერილი და ანგარიშგებასთან თანხვედრაში მყოფი მიმდინარე სამუშაო გეგმა და სანდოობის შემოწმებისთვის EITI-ს საბჭოს მიერ დადგენილი ვადები. სამუშაო გეგმა უნდა:

- a. ადგენდეს EITI-ს განხორციელებისათვის საჭირო ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია EITI-ს პრინციპებთან და ასახავს მოპოვებითი მრეწველობის ეროვნულ პრიორიტეტებს. რეკომენდირებულია, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებმა აღმოაჩინონ EITI-ს განხორციელების ინოვაციური მიდგომები, რათა გაზარდონ EITI-ს ანგარიშების ყოვლისმომცველობა და შემოსავლების საჯარო გაგება და საჯარო ცხოვრებაში, მთავრობის საქმიანობასა და ბიზნესში ნაახალისონ გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტი და ანგარიშვალდებულება.
- b. ასახავდეს დაინტერესებულ მხარეებთან წარმოებული კონსულტაციის შედეგებს და მოწონებულ იქნას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის მიერ.
- c. შეთანხმებული მიზნების მისაღწევად მოიცვას გამომავალი და დროში შეზღუდული საქმიანობა. EITI-ს განხორციელების სფერო უნდა დადგინდეს იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს კონსულტაციის პროცესში გამოვლენილი სასურველი მიზნების მიღწევას. სამუშაო გეგმამ უნდა:
  - i. შეაფასოს და გამოკვეთოს გეგმები, რომლებიც შეეხება მთავრობის უწყებებში, კომპანიებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში, ნებისმიერი პოტენციური შესაძლებლობების შეზღუდვას, რამაც შეიძლება დააბრკოლოს EITI-ს ეფექტური განხორციელება.
  - ii. მოიცვას EITI-ს ანგარიშის ფარგლები, მათ შორის, ანგარიშგების ტექნიკური ასპექტების გეგმების შესახებ, როგორცაა ყოვლისმომცველობა (4.1) და მონაცემთა სანდოობა (4.9).
  - iii. გამოავლინოს და გამოკვეთოს გეგმები EITI-ს განხორციელების ნებისმიერი პოტენციური სამართლებრივი ან მარეგულირებელი დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი გეგმები EITI-ს მოთხოვნების ინკორპორირებისათვის ეროვნულ კანონმდებლობაში ან რეგულაციებში.
  - iv. სანდოობის შემოწმებასა და EITI-ს ანგარიშგებაში მიმოიხილოს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის გეგმები რეკომენდაციების განხორციელების თაობაზე.
  - v. გამოყოს ბენეფიციარი მესაკუთრის თაობაზე ინფორმაციის გასაჯაროების გეგმები 2.5(გ-ვ) პარაგრაფებთან დაკავშირებით, მათ შორის მნიშვნელოვანი ეტაპები და ვადები.

- d. საჭიროების შემთხვევაში ახდენდეს დაფინანსებისა და ტექნიკური დახმარების შიდა და გარე წყაროების იდენტიფიცირებას შესაბამისი შეთანხმებული სამუშაო გეგმის დროული განხორციელების უზრუნველსაყოფად.
- e. უზრუნველყოფდეს საზოგადოებისათვის ფართოდ ხელმისაწვდომობას, მაგალითად, EITI-ს ნაციონალურ ელექტრონულ გვერდზე ან/და სხვა შესაბამისი სამინისტროსა და სააგენტოების ელექტრონულ გვერდებზე, ბეჭდურ მედიაში ან საზოგადოებისთვის მარტივად ხელმისაწვდომ ადგილებში განთავსებას.
- f. ახორციელებდეს ყოველწლიურ გადახედვასა და განახლებას. სამუშაო გეგმის გადახედვისას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა უნდა განიხილოს EITI-ს ანგარიშის დეტალებისა და ფარგლების გაფართოება, მათ შორის, ისეთი საკითხების განხილვა, როგორებიცაა შემოსავლების მართვა და ხარჯები (5.3), ტრანსპორტირების გადასახადები (4.4), არასავალდებულო სოციალური ხარჯები (6.1.ბ) ad hoc არსებითი გადარიცხვები (5.2.ბ), ბენეფიციარული საკუთრება (2.5) და ხელშეკრულებები (2.4). 1.4.ბ(viii) მოთხოვნის შესაბამისად, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, წერილობით ასახოს მისი განხილვები და გადაწყვეტილებები.
- g. მოიცავდეს განხორციელების ვადებს, რომლებიც თანხვედრაში იქნებიან EITI-ს საბჭოს მიერ დადგენილ ანგარიშგებასა და სანდოობის შემონიშნებასთან (8.1-8.4) და მხედველობაში მიიღებს ანგარიშის ადმინისტრაციულ მოთხოვნებს, როგორებიცაა შესყიდვების პროცესი და დაფინანსება.

## 2 EITI-ს მოთხოვნები 2

### 2. სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ფარგლები, მათ შორის ხელშეკრულებებისა და ლიცენზიების განთავსება

**მიმოხილვა:** EITI მოითხოვს მოპოვებითი მრეწველობის წესების თაობაზე ინფორმაციის გასაჯაროებას, რაც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მხარეებს, უკეთ გაიგონ მოპოვებისა და წარმოების უფლების მისაღები სამართლებრივი, მარეგულირებელი და სახელშეკრულებო ფარგლების თაობაზე კანონები და პროცედურები, რომლებიც ვრცელდება მოპოვებით მრეწველობასა და ასევე, სექტორის მართვისას სახელმწიფოს ინსტიტუციონალურ პასუხისმგებლობაზე. გამჭვირვალე სამართლებრივ ჩარჩოსა და მოპოვებითი მრეწველობის უფლების მოპოვების თაობაზე EITI-ს მოთხოვნები მოიცავს: (2.1) სამართლებრივ ჩარჩოსა და ფისკალურ რეჟიმს; (2.1) ლიცენზიის მინიჭებას (2.3) ლიცენზიების რეესტრს; (2.4) ხელშეკრულებებს; (2.5) ბენეფიციარულ საკუთრებას; და (2.6) სახელმწიფოს მონაწილეობას მოპოვებით მრეწველობაში.

#### 2.1 იურიდიული ჩარჩო და ფისკალური რეჟიმი

- a. განმახორციელებელმა ქვეყნებმა უნდა გამოაქვეყნოს მოპოვებითი მრეწველობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოსა და ფისკალური რეჟიმის აღწერა. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ფისკალური რეჟიმის მოკლე აღწერას, მათ შორის, ფისკალური გადაწესებების დონეს, შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების მიმოხილვასა და შესაბამის სამთავრობო უწყებების როლებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ინფორმაციას.
- b. თუ ხელისუფლება ატარებს რეფორმებს, რეკომენდირებულია, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა აღნიშნული წერილობით ასახოს.

## 2.2 ლიცენზიის მინიჭება.

- a. განმახორციელებელ ქვეყნებს მოეთხოვებათ გამოაქვეყნონ ლიცენზიის მინიჭებასა და გადაცემასთან დაკავშირებული ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია, რაც მოიცავს EITI-ს ანგარიშით გათვალისწინებულ კომპანიებსა და საანგარიშო პერიოდს:
  - i. ლიცენზიის მინიჭების ან გადაცემის პროცესის აღწერა;
  - ii. გამოყენებული ტექნიკური და ფინანსური კრიტერიუმები;
  - iii. გადაცემული ან მინიჭებული ლიცენზიის მიმღების თაობაზე ინფორმაცია, მათ შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, კონსორციუმის წევრების შესახებ ინფორმაცია; და
  - iv. ნებისმიერი არა-ტრივიალური გადახრა მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოდან, რომელიც არეგულირებს ლიცენზიის გადაცემასა და მინიჭებას.

ზემოთ მოყვანილი ნებისმიერი ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს ყველა ლიცენზიის მინიჭებისა და გადაცემის თაობაზე, რომელიც განხორციელდა EITI-ს ანგარიშით გათვალისწინებული საანგარიშო წლის განმავლობაში, მათ შორის, როდესაც ლიცენზია გადაეცა ისეთ კომპანიებს, რომლებიც არ არიან გათვალისწინებულნი EITI-ს ანგარიშში, ანუ მათი გადასახადი შეთანხმებულ მატერიალურ ბარიერზე ნაკლებია. ნებისმიერი მნიშვნელოვანი იურიდიული ან პრაქტიკული ბარიერი, რომელიც ხელს უშლის ასეთ ყოვლისმომცველ გასაჯაროებას, უნდა იყოს დოკუმენტირებული და განმარტებული EITI ანგარიშში. აღნიშნული მოიცავს მთავრობის გეგმების ანგარიშს ამგვარი ბარიერების დაძლევისა და ამისთვის საჭირო სავარაუდო ვადების თაობაზე.

- b. იმ შემთხვევაში თუ EITI-ს ანგარიშით გათვალისწინებული კომპანიები ფლობენ ლიცენზიებს, რომელთა მინიჭება მოხდა EITI-ს ანგარიშით გათვალისწინებულ საანგარიშო პერიოდამდე, განმახორციელებელმა ქვეყნებმა, სასურველია, თუ შესაძლებელია, გამოაქვეყნონ 2.2(ა) პარაგრაფში მითითებული ინფორმაცია ამ ლიცენზიებთან დაკავშირებით.
- c. თუ ლიცენზიის მინიჭება ხორციელდება სატენდერო წინადადების საშუალებით EITI-ს ანგარიშით გათვალისწინებულ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მთავრობა ვალდებულია, გაასაჯაროს განმცხადებლების სია და სატენდერო წინადადების კრიტერიუმები.
- d. თუ 2.2 (ა-გ) პარაგრაფში მითითებული საჭირო ინფორმაცია უკვე საჯაროდ ხელმისაწვდომია, საკმარისია, EITI-ს ანგარიშში მითითების ან ელექტრონული ბმულის შეტანა.
- e. სურვილის შემთხვევაში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფს შეუძლია EITI-ს ანგარიშში შეიტანოს დამატებითი ინფორმაცია ლიცენზიების მინიჭების თაობაზე, მათ შორის ლიცენზირების პროცედურების ეფექტურობის თაობაზე.

## 2.3 ლიცენზიების რეგისტრაცია.

- a. ტერმინი ლიცენზია ამ კონტექსტში ეხება ნებისმიერ ლიცენზიას, იჯარას, საკუთრებას, ნებართვას ხელშეკრულებას ან დათმობის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც მთავრობა კომპანიას/კომპანიებს ან პირ(ებ)ს გადასცემს ნავთობის, გაზის ან/და მინერალური რესურსების მოპოვებისა და ექსპლუატაციის უფლებას.



b. განმახორციელებელმა ქვეყნებმა უნდა აწარმოონ საჯაროდ ხელმისაწვდომი რეესტრი ან საკადასტრო სისტემები, რომლებიც მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ დროულ და ამომწურავ ინფორმაციას ნებისმიერი ლიცენზიის თაობაზე, რომელიც შეეხება EITI-ს ანგარიშით გათვალისწინებულ კომპანიებს:

i. ლიცენზიის მფლობელ(ებ)ი.

ii. შეგროვების შემდგომ სალიცენზიო ტერიტორიის კოორდინატები. თუკი არ მოხდა კოორდინატების შეგროვება, მთავრობა ვალდებულია უზრუნველყოს ლიცენზიით გათვალისწინებული სივრცის ზომისა და ადგილმდებარეობის გასაჯაროება ლიცენზიების რეესტრში და შესაბამის სამთავრობო უწყებაში კოორდინატების საჯაროდ ხელმისაწვდომობა ყოველგვარი დაუსაბუთებელი მოსაკრებლისა და შებლუდვების გარეშე. EITI-ს ანგარიშში უნდა შეიცავდეს მითითებებს კოორდინატებზე წვდომის თაობაზე და მონაცემებზე წვდომის მოსაპოვებლად საჭირო გადასახდელებზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში. EITI-ს ანგარიშში ასევე უნდა მოიცავდეს სალიცენზიო რეგისტრაციის გზით ამ ინფორმაციის თავისუფლად და ელექტრონულად ხელმისაწვდომობის გეგმებსა და ვადებზე.

iii. განაცხადის თარიღი, ლიცენზიის მინიჭების თარიღი და მოქმედების ვადა.

iv. წარმოების ლიცენზიების შემთხვევაში, წარმოებული საქონელი.

მოსალოდნელია, რომ სალიცენზიო რეგისტრაცია ან საკადასტრო მონაცემი მოიცავდეს ინფორმაციას EITI-ს ანგარიშის მიღმა არსებული ყველა ორგანიზაციის, მათ შორის, კომპანიების, პირებისა და ჯგუფების მფლობელობაში არსებული ლიცენზიების თაობაზე ინფორმაციას, ანუ როდესაც გადასახადი შეთანხმებულ მატერიალურ ბარიერზე დაბალია. ნებისმიერი მნიშვნელოვანი იურიდიული ან პრაქტიკული ბარიერი, რომელიც ხელს უშლის ასეთ ყოვლისმომცველ გასაჯაროებას, უნდა იყოს დოკუმენტირებული და განმარტებული EITI-ს ანგარიშში, მათ შორის, მთავრობის გეგმების ანგარიშში ამგვარი ბარიერების დაძლევისა და ამისათვის საჭირო სავარაუდო ვადების თაობაზე.

c. თუ 2.3.ბ-ში მითითებული ინფორმაცია უკვე საჯაროდ ხელმისაწვდომია, საკმარისია EITI-ს ანგარიშში მითითების ან ელექტრონული ბმულის შეტანა. თუ ამგვარი რეგისტრაცია ან საკადასტრო მონაცემები არ არსებობს ან არასრულია, EITI-ს ანგარიშმა უნდა გაასაჯაროს ნებისმიერი საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციაში არსებული დანაკლისი და წერილობით ასახოს აღნიშნული სისტემების გაძლიერების მცდელობები. შუალედურში კი თავად EITI-ს ანგარიშმა უნდა მოიცვას 2.3.ბ პარაგრაფში მოცემული ინფორმაცია.

## 2.4 ხელშეკრულებები.

a. რეკომენდირებულია, განმახორციელებელმა ქვეყნებმა გაასაჯაროს ნებისმიერი ხელშეკრულება და ლიცენზია, რომელიც მოიცავს ნავთობის, გაზისა და მინერალების ექსპლუატაციის პირობებს.

b. აუცილებელია, რომ EITI-ს ანგარიშმა მოახდინოს ნავთობის, გაზისა და მინერალების მოპოვებისა და ექსპლუატაციის მარეგულირებელი ხელშეკრულებებისა და ლიცენზიების გასაჯაროების თაობაზე მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტირება. აღნიშნული უნდა მოიცავდეს შესაბამის სამართლებრივ დებულებებს, ფაქტობრივი გასაჯაროების პრაქტიკასა და ნებისმიერ დაგეგმილ ან მიმდინარე რეფორმას. საჭიროების შემთხვევაში EITI-ს ანგარიშმა უნდა წარმოადგინოს საჯაროდ ხელმისაწვდომი ხელშეკრულებებისა და ლიცენზიების მიმოხილვა და მოიცვას გამომცემლობის თაობაზე მითითება ან ელექტრონული ბმული.



- c. 2.4 (ა) პარაგრაფში ტერმინი ხელშეკრულება ნიშნავს:
- ნებისმიერი ხელშეკრულების სრულ ტექსტს, დათმობას, პროდუქციის გაზიარების ხელშეკრულებას ან მთავრობის მიერ მინიჭებულ ან მთავრობასთან გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს ნავთობის, გაზისა და მინერალური რესურსების ექსპლუატაციის პირობებს.
  - ნებისმიერი დანართის, ცვლილებების ან დამატებითი მუხლის სრული ტექსტი, რომელიც განსაზღვრავს 2.4 (გ)(i) პარაგრაფში აღწერილი ექსპლუატაციის უფლებებისათვის ან აღსრულებისათვის მნიშვნელოვან დეტალებს.
  - 2.4(გ)(i) და 2.4(გ)(ii) პარაგრაფებში აღწერილი დოკუმენტების ნებისმიერი ცვლილების ან შესწორების სრული ტექსტი.
- d. 2.4(ა) პარაგრაფში ტერმინი ლიცენზია ნიშნავს:
- მთავრობის მიერ კომპანიებისთვის ან ფიზიკური პირებისთვის მინიჭებული ნავთობის, გაზის ან/და მინერალური რესურსების ექსპლუატაციის ნებისმიერი ლიცენზიის, იჯარის, საკუთრების უფლების ან ნებართვის სრულ ტექსტს.
  - ნებისმიერი დანართის, ცვლილებების ან დამატებითი მუხლის სრული ტექსტი, რომელიც განსაზღვრავს 2.4 (დ)(i) პარაგრაფში აღწერილი ექსპლუატაციის უფლებებისათვის ან აღსრულებისათვის მნიშვნელოვან დეტალებს.
  - 2.4(დ)(i) და 2.4(დ)(ii) პარაგრაფებში აღწერილი დოკუმენტების ნებისმიერი ცვლილების ან შესწორების სრული ტექსტი.

## 2.5 ბენეფიციარი საკუთრება.

- განმახორციელებელი ქვეყნებისთვის რეკომენდირებულია აწარმოონ იმ კორპორატიული სანარმოების ბენეფიციარი მესაკუთრეების საჯაროდ ხელმისაწვდომი რეესტრი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მოპოვებით აქტივებში საქმიანობის ან ინვესტირების თაობაზე გამოცხადებულ ტენდერში. აღნიშნული მოიცავს მათი ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ის ვინაობას, საკუთრების დონესა და დეტალებს იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება საკუთრების ან კონტროლის განხორციელება. თუ შესაძლებელია, ინფორმაცია ბენეფიციარი საკუთრების შესახებ ინკორპორირებული უნდა იყოს არსებულ ფაილებში იმ კომპანიების, კორპორატიული მარეგულირებლების, საფონდო ბირჟების ან სააგენტოების მიერ, რომლებიც არეგულირებენ მოპოვებითი მრეწველობის ლიცენზირების საკითხს. თუ აღნიშნული ინფორმაცია უკვე საჯაროდ ხელმისაწვდომია, EITI-ს ანგარიშში უნდა შეიცავდეს მითითებებს ამ ინფორმაციაზე წვდომასთან დაკავშირებით.
- აუცილებელია, EITI-ს ანგარიშმა ასახოს მთავრობის პოლიტიკა და სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფთა დისკუსია ბენეფიციარი საკუთრების თაობაზე ინფორმაციის გასაჯაროების შესახებ. აღნიშნული უნდა მოიცავდეს შესაბამისი სამართლებრივი დებულებების დეტალებს, ფაქტობრივ გასაჯაროების პრაქტიკებსა და ბენეფიციარი საკუთრების თაობაზე ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმას.
- 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აუცილებელია, რომ განმახორციელებელმა ქვეყნებმა მოითხოვონ და კომპანიებმა გაასაჯაროონ ბენეფიციარი საკუთრების თაობაზე ინფორმაცია EITI-ს ანგარიშში ჩართვისთვის. ეს უნდა კორპორატიულ სანარმო(ებ)ს, რომლებმაც განაცხადი შეიტანეს, ან რომლებსაც გააჩნიათ ნავთობის, გაზისა და სამთო ექსპლუატაციაში, წარმოებაში, ლიცენზიაში ან ხელშეკრულებაში მონაწილეობის ინტერესი.

მათ უნდა გაასაჯაროონ მათი ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ის ვინაობა/ვინაობები, საკუთრების დონე და დეტალები იმის თაობაზე თუ როგორ ხდება საკუთრების ან კონტროლის განხორციელება. ბენეფიციარი საკუთრების თაობაზე ინფორმაციის ანგარიშგებაში ნებისმიერი ინფორმაციული დანაკლისი ან ხარვეზები უნდა გასაჯაროვდეს EITI-ს ანგარიშში. აღნიშნული მოიცავს ისეთი სანარმოების დასახელებას, რომლებმაც არ წარადგინეს ბენეფიციარი საკუთრების თაობაზე სრული ინფორმაცია ან წარადგინეს მხოლოდ ნაწილობრივი ინფორმაცია. თუ ქვეყანაში არსებობს კონსტიტუციური ან მნიშვნელოვანი პრაქტიკული ბარიერები ამ მოთხოვნების 2020 წლის 1 იანვრამდე განსახორციელებლად, სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს შეცვლილი განხორციელება 8.1. მოთხოვნის შესაბამისად.

- d. ინფორმაცია ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის შესახებ უნდა შეიცავდეს ბენეფიციარი მესაკუთრის სახელს, ეროვნებასა და საცხოვრებელი ქვეყნის დასახელებას და უნდა ახდენდეს პოლიტიკურად აქტიური პირების იდენტიფიცირებას. ასევე რეკომენდირებულია ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომრის, დაბადების თარიღის, საცხოვრებელი ან მომსახურების მისამართისა და საკონტაქტო ინფორმაციის გასაჯაროება.
- e. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი უნდა დათანხმდეს მონაწილე კომპანიების მიდგომას, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ მიერ ბენეფიციარი საკუთრების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეს. აღნიშნული შესაძლოა მოითხოვდეს კომპანიებისგან, რომ დაადასტურონ ბენეფიციარი საკუთრების დეკლარაციის ფორმა უფროსი მმართველი გუნდის წევრის ან უფროსი იურისტის მიერ ხელმოწერით ან სხვა დამხმარე დოკუმენტაციის წარდგენის გზით.
- f. ბენეფიციარი საკუთრების განმარტება:
  - I. ბენეფიციარი მესაკუთრე კომპანია ნიშნავს ფიზიკურ პირს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ფლობს ან აკონტროლებს კორპორატიულ სანარმოს.
  - II. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი უნდა შეთანხმდეს ბენეფიციარი მესაკუთრის შესაბამის განმარტებაზე. განმარტება შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ზემოთ მოყვანილ (ვ)(i) პარაგრაფთან და მხედველობაში უნდა იღებდეს საერთაშორისო წესებსა და შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობას და უნდა შეიცავდეს საკუთრებისთვის დადგენილ ბარიერ(ებ)ს. განმარტებამ ასევე უნდა დააკონკრეტოს პოლიტიკურად აქტიური პირების ანგარიშგების ვალდებულებები.
  - III. საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანიები, მათ შორის სრულ საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანიები, ვალდებულნი არიან, გაასაჯაროონ საფონდო ბირჟის სახელი და წარმოადგინონ იმ საფონდო ბირჟის ფაილების ელექტრონული ბმული, სადაც თავად არიან განთავსებულნი.
  - IV. ერთობლივი სანარმოს შემთხვევაში, თითოეული სანარმო ვალდებულია გაასაჯაროოს მისი ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული სანარმო დაშვებულია საფონდო ბირჟაზე ან წარმოადგენს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანიის ას პროცენტიან საკუთრებაში არსებულ შვილობილ კომპანიას. თითოეული სანარმო პასუხისმგებელია მონოდებული ინფორმაციის სისწორეზე.
- g. EITI-ს ანგარიშში ასევე უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია მესაკუთრე იურიდიული პირებისა და საკუთრებაში მათი წილობრივი მონაწილეობის თაობაზე.

## 2.6. სახელმწიფოს მონაწილეობა.

თუკი სახელმწიფოს მონაწილეობა მოპოვებით მრეწველობაში წარმოშობს მატერიალურ საშემოსავლო გადახდებს, განმახორციელებელი ქვეყნები ვალდებული არიან გაასაჯაროონ შემდეგი ინფორმაცია:

- a. სახელმწიფოსა და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოს (სსას) შორის არსებული ფინანსური ურთიერთობის თაობაზე უპირატესი ძალის მქონე წესებისა და პრაქტიკის განმარტება, მაგალითად, წესები რომლებიც არეგულირებენ სსას-ებსა და სახელმწიფოს შორის თანხების გადარიცხვას, გაუნაწილებელ მოგებას, რეინვესტიციასა და მესამე მხარის მიერ დაფინანსებას. EITI ანგარიშის მიზნებისთვის სსას წარმოადგენს სრულად ან ნაწილობრივ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ კომპანიას, რომელიც სახელმწიფოს სახელით არის ჩართული მოპოვებით ინდუსტრიაში. ამის საფუძველზე, სასურველია, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა, ეროვნული კანონმდებლობებისა და სამთავრობო მოწყობის გათვალისწინებით, განიხილოს და წერილობით აღბეჭდოს სსას-ის განმარტება.
- b. მთავრობისა და სსას-სგან მოპოვებული ინფორმაცია ქვეყნის ნავთობის, გაზისა და სამთო ინდუსტრიაში მომუშავე სამთო, ნავთობისა და გაზის კომპანიებში მათი საკუთრების უფლების ზომასთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი საკუთრების უფლება, რომელსაც ფლობენ სსას-ს შვილობილი კომპანიები და ერთობლივი საწარმოები, ასევე ანგარიშგების პერიოდის განმავლობაში არსებული ცვლილება საკუთრების უფლების ზომასთან დაკავშირებით. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მათ სააქციო კაპიტალზე მიმაგრებულ პირობებთან დაკავშირებულ დეტალებს, მათ შორის როგორცაა პროექტის არსებობის სხვადასხვა ეტაპზე არსებული ხარჯების დაფარვის მათი ვალდებულების დონე, მაგალითად, სრულად დაფარული სააქციო კაპიტალი, თავისუფალი სააქციო კაპიტალი, გატარებული ინტერესი. EITI ანგარიშგების პერიოდში მართვისა და სსას-ს საკუთრების დონის ცვლილების შემთხვევაში, მთავრობასა და სსას-ს მოეთხოვებათ გარიგების პირობების გასაჯაროება, მათ შორის, შეფასებისა და შემოსავლების თაობაზე დეტალების გასაჯაროება. თუკი მთავრობამ და სსას-მა წარმოადგინეს სახელმწიფოში მოქმედი სამთო, ნავთობისა და გაზის კომპანიებისათვის სესხები და სესხების გარანტიები, აღნიშული გარიგებების დეტალები უნდა გასაჯაროვდეს.

### 3 EITI-ს მოთხოვნები 3

#### 3. მოპოვება და წარმოება

**მიმოხილვა:** EITI მოითხოვს მოპოვებასთან და წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროებას, რაც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მხარეებს, გაეცნონ აღნიშნული სექტორის პოტენციალს. მოპოვებითი და წარმოების საქმიანობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებული EITI-ს მოთხოვნები მოიცავს შემდეგს: (3.1) მოპოვებით საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია; (3.2) წარმოებასთან დაკავშირებული მონაცემები; და (3.3) ექსპორტთან დაკავშირებული მონაცემები.

**3.1. მოპოვება.** განმახორციელებელი ქვეყნები ვალდებული არიან, გაასაჯაროონ მოპოვებითი მრეწველობის მიმოხილვა, მათ შორის, ნებისმიერი მოპოვებით საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

**3.2. წარმოება.** განმახორციელებელი ქვეყნები ვალდებული არიან, გაასაჯაროონ წარმოებასთან დაკავშირებული მონაცემები EITI-ს ანგარიშით გათვალისწინებული ფისკალური წლისთვის, მათ შორის, სრული საწარმოო მოცულობა და წარმოების ღირებულება საქონლის, საჭიროებისამებრ,

ქვეყნის/რეგიონის მიხედვით. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს წარმოების მონაცემების წყაროს და ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდა EITI-ს ანგარიშში გამოქვეყნებული წარმოების მოცულობისა და ღირებულების დათვლა.

**3.3. ექსპორტი.** განმახორციელებელი ქვეყნები ვალდებული არიან, გაასაჯაროონ ექსპორტთან დაკავშირებული მონაცემები EITI-ს ანგარიშით გათვალისწინებული ფისკალური წლისთვის, მათ შორის სრული ექსპორტის მოცულობა და ექსპორტის ღირებულება საქონლის, და საჭიროებისამებრ, ქვეყნის/რეგიონის მიხედვით. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს ექსპორტის მონაცემების წყაროს და ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდა EITI-ს ანგარიშში გამოქვეყნებული ექსპორტის მოცულობისა და ღირებულების დათვლა.

## 4 EITI-ს მოთხოვნები 4

### 4. შემოსავლის დათვლა

**მიმოხილვა:** კომპანიების გადახდებისა და მთავრობის შემოსავლების თაობაზე ინფორმაციის მიღება ხელს შეუწყობს საჯარო დებატების ინფორმირებულობას მოპოვებითი მრეწველობის მართვის თაობაზე. EITI მოითხოვს კომპანიის გადახდებისა და მოპოვებით ინდუსტრიაში მთავრობის შემოსავლების თაობაზე ინფორმაციის სრულ შეჯერებას. შემოსავლების შეგროვებასთან დაკავშირებით EITI-ს მოთხოვნები მოიცავს შემდეგს: (4.1) გადასახადებისა და შემოსავლების სრული საჯაროობა; (4.2) წარმოებაში სახელმწიფოს წილის გაყიდვა ან ნატურით მიღებული სხვა შემოსავლები; (4.3) ინფრასტრუქტურული დებულებები და გაცვლითი შეთანხმებები; (4.4) სატრანსპორტო შემოსავალი; (4.5) სსას-ს გარიგებები; (4.6) ძირითადი გადახდები; (4.7) დანაწევრების დონე; (4.8) მონაცემთა ვადები; და (4.9) მონაცემთა ხარისხი.

#### 4.1. გადასახადებისა და შემოსავლების სრული საჯაროობა.

- a. ანგარიშგების პროცესამდე, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, დათანხმდეს თუ რომელი გადასახადი ან შემოსავალი წარმოადგენს მატერიალურს და შესაბამისად, რომელი უნდა გასაჯაროვდეს. მათ ასევე უნდა შეათანხმონ შესაბამისი მატერიალური განმარტებები და ბარიერები. გადახდები და შემოსავლები წარმოადგენენ მატერიალურ ცნებას თუ მათი გამოტოვება ან მათ შესახებ მცდარი ინფორმაციის გაცხადება მნიშვნელოვან ზემოქმედებას იქონიებს EITI-ს ანგარიშის სისრულეზე. თითოეული შემოსავლის ნაკადის განმარტება, რომელიც უკავშირდება მატერიალურობისა და ბარიერების განმარტებას უნდა გასაჯაროვდეს. მატერიალურობისა და ბარიერების განმარტების დადგენისას, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, გაითვალისწინოს შემოსავლის ნაკადის ზომის თანაფარდობა ჯამურ შემოსავლებთან. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, წერილობით აღბეჭდოს განხილული გზები და განმარტებებისა და ბარიერების დადგენის ლოგიკა.
- b. შემდეგი შემოსავლების ნაკადი უნდა იქნას გათვალისწინებული:
  - I. ინვესტიციის მიღები სახელმწიფოს მთავრობის წარმოების უფლება (როგორცაა ნავთობის სარგებელი)
  - II. ეროვნული სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიის წარმოების უფლება



- III. მოგების გადასახადები
- IV. როიალტი
- V. დივიდენდები
- VI. ბონუსები, როგორცაა ხელმოწერის, მოპოვებისა და წარმოების ბონუსები
- VII. სალიცენზიო მოსაკრებლები, ქირის მოსაკრებლები, შესვლის გადასახადი და ლიცენზიებისათვის და დათმობებისთვის გათვალისწინებული სხვა კომპენსაციები.
- VIII. მთავრობისთვის გადასახდელი ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი გადასახადები და მატერიალური სარგებელი.

ნებისმიერი შემოსავლის ნაკადი ან სარგებელი გამოირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ისინი არ ექვემდებარება გამოყენებას ან თუ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი თანხმდება, რომ მათი გამოტოვება არ იქონიებს მატერიალურ გავლენას EITI-ს ანგარიშის სისრულეზე.

- c. განმახორციელებელი ქვეყნები ვალდებული არიან, წარმოადგინონ მთავრობის შემოსავლებისა და კომპანიების გადასახადების ამომწურავი შეჯერება, მათ შორის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოებისათვის და ამ საწარმოების მიერ გადახდილი გადასახდებები, შეთანხმებული ფარგლების შესაბამისად. ყველა კომპანია, რომელიც ახორციელებს მატერიალურ გადახდას სახელმწიფოს სასარგებლოდ ვალდებულია, სრულად გაასაჯაროს აღნიშნული გადახდები შეთანხმების ფარგლებთან შესაბამისობაში. საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გათავისუფლდეს ანგარიშების ვალდებულებისაგან, თუ იგი დაასაბუთებს, რომ მისი გადახდები და შემოსავლები არ არის მატერიალური. ყველა სახელმწიფო ორგანო, რომელიც იღებს მატერიალურ შემოსავალს ვალდებულია, სრულად გაამჟღავნოს აღნიშნული შემოსავლები შეთანხმების ფარგლების შესაბამისად.
- d. მნიშვნელოვანი პრაქტიკული ბარიერების არარსებობის შემთხვევაში, მთავრობა დამატებით ვალდებულია, წარმოადგინოს EITI-ს ანგარიშის ფარგლებში შეთანხმებული თითოეული ბენეფიციარი ნაკადისაგან მიღებული სრული შემოსავლის ოდენობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის, ისეთ შემოსავლებთან დაკავშირებით, რომელთა ოდენობა შეთანხმებულ მატერიალურ ბარიერზე ნაკლებია. თუკი აღნიშნული მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი, დამოუკიდებელი ადმინისტრატორი ვალდებულია, გამოიყენოს სხვა წყაროდან მიღებული ნებისმიერი შესაბამისი მონაცემი და სახარჯთაღრიცხვო ვარაუდი, რათა წარმოადგინოს ამომწურავი ანგარიში სრული სამთავრობო შემოსავლების თაობაზე.

#### **4.2. წარმოებაში სახელმწიფოს წილის გაყიდვა ან ნატურით მიღებული სხვა შემოსავლები.**

თუ წარმოებაში სახელმწიფო წილი ან ნაღდი ანგარიშსწორებით მიღებული სხვა შემოსავალი მატერიალურია, მთავრობა, მათ შორის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები, ვალდებული არიან, გაასაჯარონ გაყიდული მოცულობები და მიღებული შემოსავლები. გამოქვეყნებული მონაცემები უნდა იყოფოდეს ინდივიდუალურ შემსყიდველ კომპანიად და ღონეებად, რომლებიც შეესაბამება სხვა გადახდებისა და შემოსავლის ნაკადების ანგარიშგებას (4.7).

ანგარიშგებამ, ასევე, შესაძლებელია, დაყოს გამოქვეყნებული მონაცემი პროდუქტის, ფასის, ბაზრისა და გაყიდვების მოცულობის ტიპებად. პრაქტიკაში გატარების შესაძლებლობის შემთხვევაში, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა სასურველია დაავალოს



დამოუკიდებელ ადმინისტრატორს, შეათანხმოს გაყიდული მოცულობები და მიღებული შემოსავლები - ანგარიშების პროცესში შემსყიდველი კომპანიების შეყვანით.

#### **4.3. ინფრასტრუქტურული დებულებები და გაცვლითი შეთანხმებები.**

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი და დამოუკიდებელი ადმინისტრატორი ვალდებული არიან, განიხილონ, არსებობს თუ არა ხელშეკრულებები ან შეთანხმებების კომპლექტი, რომელიც ნავთობის, გაზის ან სამთო მოპოვების ან წარმოების დათმობის ან მსგავსი საქონლის ფიზიკური მიწოდების სანაცვლოდ (სრულად ან ნაწილობრივ), ითვალისწინებს საქონლისა და მომსახურების (მათ შორის, სესხების, გრანტებისა და ინფრასტრუქტურული სამუშაოების) მიწოდებას. ამის განსახორციელებლად, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფსა და დამოუკიდებელ ადმინისტრატორს სრულად უნდა ესმოდეთ: შესაბამისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პირობები, მხარეები, სახელმწიფოს მიერ დაპირებული რესურსები, ბალანსის სარგებლის ნაკადის ღირებულება (მაგალითად ინფრასტრუქტურული სამუშაოები) და აღნიშნული ხელშეკრულებების მატერიალურობა ჩვეულებრივ ხელშეკრულებებთან მიმართებაში. თუ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი დაასკვნის, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები მატერიალურია, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი და დამოუკიდებელი ადმინისტრატორი ვალდებული არიან, უზრუნველყონ EITI-ს ანგარიშში აღნიშნული ხელშეკრულებების განხილვა იმგვარად, რომ დეტალურობისა და გამჭვირვალობის დონე შესაბამისობაში იყოს სხვა გადახდებისა და შემოსავლების ნაკადის გასაჯაროებასა და შეკვრებასთან.

#### **4.4. სატრანსპორტო შემოსავალი**

თუ ნავთობის, გაზის და მინერალების ტრანსპორტირებით მიღებული შემოსავალი მატერიალურია, მთავრობასა და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სანარმოებს (სსას) მოეთხოვებათ, გაასაჯაროონ მიღებული შემოსავლები. გამოქვეყნებული მონაცემი უნდა დაიცოს დონეებად, რომლებიც შეესაბამება სხვა გადახდებისა და შემოსავლის ნაკადის ანგარიშგებას (4.7). განმარტებული ქვეყნები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ:

- a. სატრანსპორტო შეთანხმების აღწერა, მათ შორის: პროდუქტი, მგზავრობის მარშრუტ(ებ)ი; შესაბამისი კომპანიები და სამთავრობო უწყებები, მათ შორის გადაზიდვაში ჩართული სსას-ები;
- b. შესაბამისი გადაზიდვის გადასახადები, ტარიფები და სხვა შესაბამისი გადასახდელები და მათი გამოთვლის მეთოდოლოგია;
- c. გადაზიდული საქონლის ტარიფები და მოცულობა;
- d. ნავთობის, გაზისა და მინერალების გადაზიდვასთან დაკავშირებით მთავრობის უწყებებისა და სსას-ების მიერ მიღებული შემოსავლები;
- e. შესაძლებისამებრ, სასურველია, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა დაავალოს დამოუკიდებელ ადმინისტრატორს, შეაჯეროს ნავთობის, გაზისა და მინერალების გადაზიდვასთან ასოცირებული მატერიალური გადასახადები და შემოსავლები.

#### **4.5 სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სანარმოებთან დაკავშირებული გარიგებები.**

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს, რომ საანგარიშო პროცესი სრულყოფილად განიხილავდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სანარმოების (სსას) როლს, მათ შორის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სანარმოების სასარგებლოდ ნავთობის, გაზის და სამთო კომპანიების მიერ განხორციელებულ მატერიალურ გადახდებსა და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სანარმოებსა და სხვა სამთავრობო სააგენტოებს შორის განხორციელებულ გადარიცხვებს.

#### 4.6 სუბნაციონალური გადახდები.

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, დაადგინოს, შეათანხმებული სარგებლის ნაკადის ფარგლებში, მატერიალურია თუ არა კომპანიების მიერ სუბნაციონალური სამთავრობო საწარმოებისადმი პირდაპირი გადახდები მაშინ, როცა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ კომპანიის გადახდები სუბნაციონალური სამთავრობო საწარმოებისადმი და ამ გადახდების ქვითრები გასაჯაროებული და შეჯერებულია EITI-ს ანგარიშში.

#### 4.7 დანაწევრების დონე.

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, შეათანხმოს დანაწევრების დონე მონაცემთა გამოქვეყნებისთვის. აუცილებელია, EITI-ს მონაცემები წარმოდგენილი იყოს ინდივიდუალური კომპანიის, სამთავრობო საწარმოს და შემოსავლების ნაკადის მიერ. საჭიროა, პროექტის დონეზე ანგარიშგება იმ პირობით, რომ იგი შეესაბამებოდეს შეერთებული შტატების ფასიანი ქაღალდებისა და გაცვლის კომისიის წესებსა და ევროკავშირის მოახლოებულ მოთხოვნებს.

#### 4.8 მონაცემთა დროულობა.

- a. განმახორციელებელი ქვეყნები ვალდებული არიან, წარადგინონ მათი პირველი EITI-ს ანგარიში EITI-ს კანდიდატად დამტკიცებიდან 18 თვის განმავლობაში. ამის შემდგომ, განმახორციელებელ ქვეყნებს მოეთხოვებათ EITI-ს ანგარიშების წარდგენა ყოველწლიურად.
- b. განმახორციელებელმა ქვეყნებმა უნდა გაამჟღავნონ მონაცემები არაუგვიანეს ბოლოდან მეორე სრული ანგარიშის პერიოდთან, მაგალითად, 2016 კალენდარული/ფინანსური წლის გამოქვეყნებული ანგარიში უნდა ეყრდნობოდეს არაუგვიანეს 2014 წლის კალენდარული/ფინანსური წლის მონაცემებს. რეკომენდირებულია, რომ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებმა შეისწავლონ მონაცემთა გამჟღავნების შესაძლებლობები შეძლებისდაგვარად ადრე, მაგალითად, უწყვეტი ონლაინ გამოქვეყნების გზით, ან, თუ შესაძლებელია, დამატებითი, იმაზე ახალი კონტექსტუალური EITI-ს მონაცემთა გამოქვეყნებით, ვიდრე ის სააღრიცხვო პერიოდია, რომელსაც ფარავს EITI-ს შემოსავლების მონაცემები. იმ შემთხვევაში, თუ EITI-ს ანგარიში მნიშვნელოვნად არის შეფერხებული, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა უნდა მიიღოს ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ EITI-ს ანგარიშები გამოიცეს საინტერვენციო ანგარიშგების პერიოდში, რათა ყოველი წელი ექვემდებარებოდეს ანგარიშგებას.
- c. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფს ეკისრება ვალდებულება, შეათანხმოს საანგარიშო პერიოდი, რომელიც დაფარული იქნება EITI-ს ანგარიშით.

#### 4.9 მონაცემთა ხარისხი და გარანტია.

- a. EITI მოითხოვს იმის შეფასებას, ექვემდებარება თუ არა გადახდები და შემოსავლები სანდო, დამოუკიდებელ აუდიტს, რომელიც იყენებს საერთაშორისო აუდიტის სტანდარტებს.
- b. აუცილებელია, გადახდები და შემოსავლები შეჯერებული იყოს სანდო, დამოუკიდებელი ადმინისტრატორის მიერ, რომელიც იყენებს საერთაშორისო აუდიტის სტანდარტებს. ადმინისტრატორის მოსაზრებას ამ შეჯერებასთან დაკავშირებით უნდა გამოქვეყნდეს, თუკი მასთან მიმართებაში იდენტიფიცირდება რაიმე შესაბამობა.

- I. კომპანიის გადახდებისა და სახელმწიფო შემოსავლების შეჯერებაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს დამოუკიდებელმა ადმინისტრატორმა, რომელიც იყენებს საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებს.
  - II. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის მიერ დამოუკიდებელი ადმინისტრატორი უნდა მიიჩნეოდეს სანდოდ, საიმედოდ და ტექნიკურად კომპეტენტურად. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა უნდა დაადასტუროს დამოუკიდებელი ადმინისტრატორის პოზიციამდე დანიშვნა.
  - III. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფსა და დამოუკიდებელ ადმინისტრატორს მოეთხოვებათ, EITI-ს ანგარიშისთვის შეთანხმონ კომპეტენციის ფარგლები, რომელიც დაფუძნებული იქნება კომპეტენციის ფარგლების სტანდარტზე და „EITI-ს საბჭოს მიერ EITI-ს ანგარიშებისათვის შეთანხმებულ პროცედურებზე“.<sup>3</sup> იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი გამოთქვამს სურვილს, მოერგოს ამ შეთანხმებულ პროცედურებს, ან გადაუხვიოს მათგან, ამისთვის პირველ რიგში საჭიროა EITI-ს საბჭოს თანხმობა (მოთხოვნა 8.1).
- c. იქ, სადაც 4.9(ა)-ს შეფასება ასკვნის, რომ არსებობს (i) რეკვიზიტულ დეტალებში მონაცემთა რუტინული გასაჯაროების მოთხოვნა EITI-ს სტანდარტის მიერ და (ii) რომ ფინანსური მონაცემები ექვემდებარება სანდო, დამოუკიდებელ აუდიტს, რომელიც იყენებს საერთაშორისო სტანდარტებს, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა უნდა მიიღოს საბჭოს თანხმობა იმისათვის, რომ გაყვეს EITI-ს განხორციელების მიმდინარე ტენდენციას „მიმდინარე ტენდენციების გამჟღავნებისათვის შეთანხმებული პროცედურების“ შესაბამისად.<sup>4</sup> ასეთი წინასწარი თანხმობის არქონის შემთხვევაში, საჭიროა 4.9.ბ-ს პირობების დაცვა.

## 5 EITI-ს მოთხოვნები 5

### 5. შემოსავლების განაწილება

**მიმოხილვა:** EITI მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც დაკავშირებულია შემოსავლების განაწილებასთან, რითაც საშუალებას აძლევს მონილევებს გაიგონ, თუ როგორ ხდება შემოსავლების ჩაწერა ეროვნულ და როცა გამოიყენება, სუბნაციონალურ ბიუჯეტებში.

#### 5.1 მოპოვებითი მრეწველობის შემოსავლების განაწილება.

განმახორციელებელმა ქვეყნებმა უნდა გაასაჯაროონ მოპოვებითი მრეწველობების შემოსავლების დისტრიბუციის აღწერა:

ა) განმახორციელებელმა ქვეყნებმა უნდა მიუთითონ რომელი მოპოვებითი მრეწველობის შემოსავლები, ნაღდი ან უნაღდო, აისახა ეროვნულ ბიუჯეტში. თუ შემოსავლების ასახვა არ მოხდა ეროვნულ ბიუჯეტში, აღნიშნული შემოსავლების განაწილება უნდა აიხსნას შესაბამის ფინანსურ ანგარიშებზე მითითებებით, მაგალითად, სუვერენული დოვლათი და განვითარების ფონდები, სუბნაციონალური მთავრობები, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოები და სხვა დამატებითი საბიუჯეტო საწარმოები.

<sup>3</sup> ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამდივნოსთან და ბმულზე [eiti.org.guidance](http://eiti.org.guidance).

<sup>4</sup> ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამდივნოსთან და ბმულზე [eiti.org.guidance](http://eiti.org.guidance).

ბ) სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებმა მითითება უნდა გააკეთონ ეროვნულ საშემოსავლო კლასიფიკაციის სისტემებთან და საერთაშორისო სტანდარტებზე, როგორცაა IMF მთავრობის ფინანსური სტატისტიკის სახელმძღვანელო.

### 5.2. სუბნაციონალური გადარიცხვა.

- ა) თუ ნაციონალურ და სუბნაციონალურ სამთავრობო საწარმოებს შორის გადარიცხვა შეეხება მოპოვებითი მრეწველობიდან მიღებულ შემოსავლებს და სავალდებულოა ნაციონალური კონსტიტუციით, წესდებით, ან სხვა შემოსავლის გაყოფის მექანიზმით, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, უზრუნველყოს მატერიალური გადარიცხვების გასაჯაროება. განმახორციელებელი ქვეყნები ვალდებული არიან, გამოაქვეყნონ შემოსავლების განაწილების ფორმულა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ისევე, როგორც ნებისმიერი შეუსაბამო შესაბამის შემოსავლების გადანაწილების ფორმულით გამოთვლილ გადარიცხულ ოდენობასა და ცენტრალურ მთავრობასა და თითოეულ შესაბამის სუბნაციონალურ საწარმოს შორის რეალურად გადარიცხულ ოდენობას შორის. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა უნდა შეაჯეროს აღნიშნული გადარიცხვები. არსებითი სამთავრობო საწარმოების მონაწილეობის კონსტიტუციური ან მნიშვნელოვანი პრაქტიკული ბარიერების არსებობის შემთხვევაში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი შესაძლოა, შეეცადოს 8.1. მოთხოვნის განხორციელებას.
- ბ) სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი მატერიალური არასავალდებულო ან ad hoc გადარიცხვის გასაჯაროება და შეჯერების შესაძლებლობა.

### 5.3. შემოსავლების მართვა და ხარჯები

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა უნდა გამოაქვეყნოს დამატებითი ინფორმაცია შემოსავლების მართვასა და ხარჯებთან დაკავშირებით, მათ შორის:

- ა) ნებისმიერი მოპოვებითი შემოსავლის აღწერა, რომელიც განსაზღვრულ იქნა სპეციფიკური პროგრამებისა და გეოგრაფიული რეგიონებისათვის. აღნიშნული უნდა მოიცავდეს მეთოდების აღწერას მათი გამოყენების სანდოობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.
- ბ) სახელმწიფოს ბიუჯეტისა და აუდიტის პროცესის აღწერა და ბმულები რომლებზეც განთავსებული ბიუჯეტური ბაზე, ხარჯებზე და აუდიტის ანგარიშებზე საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია.
- გ) სახელმწიფოსგან მიღებული დროული ინფორმაცია, რომელიც აამაღლებს საზოგადოების ცნობიერებას და გაზრდის დებატებს შემოსავლების მდგრადობასა და რესურსებზე დამოკიდებულების თაობაზე. აღნიშნული შესაძლოა, მოიცავდეს ვარაუდებს, რომელიც გაამაგრებს ბიუჯეტის ციკლში სამომავლო წლებს და რომელიც უკავშირდება სამიზნე წარმოებას, საქონლის ფასებსა და შემოსავლის პროგნოზირებას, რომელიც წარმოიშობა მოპოვებითი მრეწველობიდან და ამავდროულად პროპორციულია მოპოვებით მრეწველობაში მოსალოდნელი სამომავლო ფისკალური შემოსავლებისა.

## 6 EITI-ს მოთხოვნები 6

### 6. სოციალური და ეკონომიკური ხარჯები

**მიმოხილვა:** EITI მოითხოვს სოციალურ ხარჯებთან და მოპოვებითი მრეწველობის ეკონომიკაზე ზეგავლენის თაობაზე ინფორმაციის გასაჯაროებას, რაც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მხარეებს, შეაფასონ, გამოიწვევს თუ არა მოპოვებითი სექტორი



სასურველ სოციალურ და ეკონომიკურ ზეგავლენასა და შედეგებს. EITI მოთხოვნები რომლებიც უკავშირდებიან სოციალურ და ეკონომიკურ დანახარჯებს მოიცავს: (6.1) კომპანიების სოციალურ ხარჯებს; (6.2) სსას-ს კვაზი-სოციალურ დანახარჯებს; და (6.3) მოპოვებითი მრეწველობის ეკონომიკაში შეტანილი წვლილის მიმოხილვა.

### 6.1. მოპოვებელი კომპანიების სოციალურ ხარჯები

- a) თუ კომპანიების მატერიალური სოციალური ხარჯები სავალდებულოა კანონის ან მოპოვებითი ინვესტიციის მარეგულირებელ მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, განმახორციელებელი ქვეყნები ვალდებული არიან, გაასაჯაროონ და შეძლებისდაგვარად გააერთიანონ აღნიშნული გარიგებები. თუ აღნიშნული ბენეფიტები წარმოდგენილ იქნა ნატურით, განმახორციელებელი ქვეყნები ვალდებული არიან, გამოაქვეყნონ ნატურით დადებული გარიგების ბუნება და სავარაუდო ღირებულება. თუ დადგენილი სოციალური ხარჯების ბენეფიციარი არის მესამე მხარე, ანუ არასამთავრობო უწყება, აუცილებელია ბენეფიციარის სახელისა და ფუნქციის გასაჯაროება. თუ გაერთიანება შეუძლებელია, ქვეყნებმა აღნიშნულ გარიგებებთან დაკავშირებით უნდა წარმოადგინონ კომპანიის ან/და მთავრობის ცალმხრივი გასაჯაროება.
- b) თუ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი თანხმდება დისკრეციულ სოციალურ ხარჯებს და გადარიცხვები მატერიალური ხასიათისაა, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა უნდა განავითაროს ანგარიშის წარდგენის პროცესი იმგვარად, რომ მიაღწიოს გამჭვირვალობას, რომელიც თანხვედრაში იქნება სხვა სამთავრობო უწყებების სასარგებლოდ განხორციელებული გადახდებისა და შემოსავლის ნაკადის გამოქვეყნებასთან. თუ საკვანძო გარიგებების გაერთიანება შეუძლებელია, ანუ თუ კომპანიის გადახდები განხორციელდა ნატურით ან არასამთავრობო მესამე მხარის სასარგებლოდ, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი შესაძლოა, სურვილის შემთხვევაში, დათანხმდეს ნებაყოფლობითი ცალმხრივი კომპანიის ან/და მთავრობის გასაჯაროების მიდგომას.

### 6.2. სსას-ს კვაზი-სოციალური დანახარჯები

თუ სახელმწიფოს მონაწილეობა მოპოვებით მრეწველობაში წარმოშობს მატერიალურ სამემოსავლო სახდელებს, განმახორციელებელმა ქვეყნებმა თავიანთ კვაზი-ფისკალურ ხარჯებში უნდა შეიყვანონ სსას-ების მიერ გასაჯაროებული ინფორმაცია. კვაზი ფისკალური ხარჯები მოიცავენ ისეთ ღონისძიებებს, სადაც სსას კისრულობს საჯარო სოციალური ხარჯების ვალდებულებას, როგორცაა სოციალური მომსახურებების, საჯარო ინფრასტრუქტურის, სანავის სუბსიდირებისა და ეროვნული სესხის მომსახურების გადასახადები და ა.შ., რომლებიც ნაციონალური საბიუჯეტო პროცესის ფარგლებს გარეთ ხვდებიან. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, განავითაროს ანგარიშების პროცესი იმგვარად, რომ მიაღწიოს გამჭვირვალობის ისეთ დონეს, რომელიც თანხვედრაში იქნება სხვა გადახდებთან და შემოსავლის ნაკადებთან. იგი ასევე უნდა მოიცავდეს სსას-ის შვილობილ კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოებს.

### 6.3. მოპოვებითი მრეწველობის წვლილი ეკონომიკაში.

განმახორციელებელი ქვეყნები ვალდებული არიან, ასეთი შესაძლებლობის არსებობისას, გამოაქვეყნონ ინფორმაცია მოპოვებითი მრეწველობის მიერ ეკონომიკაში შეტანილი წვლილის თაობაზე EITI-ს ანგარიშით გათვალისწინებული ფისკალური წლის განმავლობაში. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიცავდეს შემდეგს:



- ა) მოპოვებითი მრეწველობის ზომას აბსოლუტურ ჭრილში, ასევე როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტულობას და არაფორმალური სექტორის საქმიანობის შეფასებას, რომელიც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შიდა მრეწველური და მცირე მასშტაბიანი სამთო საქმიანობით.
- ბ) სრულ სამთავრობო შემოსავლებს, რომლებიც მოპოვებულ იქნა მოპოვებითი მრეწველობიდან (მათ შორის გადასახადები, როიალტები, ბონუსები, საკომისიოები და სხვა გადასახდელები) აბსოლუტური თვალსაზრისით და როგორც სრული სამთავრობო შემოსავლების პროცენტულობა.
- გ) მოპოვებითი მრეწველობის ექსპორტი აბსოლუტური თვალსაზრისით და როგორც ჯამური ექსპორტის პროცენტულობა.
- დ) დასაქმება მოპოვებით მრეწველობაში აბსოლუტური თვალსაზრისით და როგორც ჯამური დასაქმების პროცენტულობა.
- ე) საკვანძო რეგიონები/ტერიტორიები სადაც კონცენტრირებულია წარმოება.

## 7 EITI-ს მოთხოვნები 7

### 7. შედეგები და გავლენა

**მიმოხილვა.** მოპოვებითი მრეწველობის მონაცემთა რეგულარულ გასაჯაროებას მცირე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საზოგადოება ვერ აცნობიერებს და არ ესმის, რას ნიშნავენ ციფრები, ასევე საჯარო დებატების იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება რესურსების შემოსავლების ეფექტური გამოყენება. შედეგებსა და გავლენასთან დაკავშირებული EITI-ს მოთხოვნების მიზანია, უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ბუნებრივი რესურსების შემოსავლების მართვასთან დაკავშირებულ დიალოგში. EITI-ს ანგარიშის მიზანია, EITI-ს პრინციპების შესრულება მოხდეს უფრო ფართო საჯარო დებატების გზით. ასევე, მნიშვნელოვანია განხორციელებისას გამოტანილი გაკვეთილების გათვალისწინება, EITI-ს ანგარიშებში გამოვლენილი შეუსაბამოების ახსნა და საჭიროებისამებრ, მათი განხილვა. ასევე, მნიშვნელოვანია EITI-ს განხორციელების სტაბილურობა და მდგრადობა.

#### 7.1. საჯარო დებატი.

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს, რომ EITI-ს ანგარიში იყოს გასაგები, აქტიურად ნახალისებული, საჯაროდ ხელმისაწვდომი და ხელს უწყობდეს საჯარო დებატებს. საკვანძო აუდიტორია უნდა მოიცავდეს მთავრობას, პარლამენტარებს, სამოქალაქო საზოგადოებას, კომპანიებს და მედიას. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია:

- შექმნას EITI-ს ანგარიშის ბეჭდვითი ასლები და უზრუნველყოს მათი ფართო გავრცელება. თუ ანგარიში შეიცავს ვრცელ მონაცემებს, მაგალითად მოცულობით ფაილებს, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა იგი ელექტრონულად ხელმისაწვდომი უნდა გახადოს.
- დათანხმდეს EITI-ს მონაცემების ხელმისაწვდომობის, გამოშვებისა და განმეორებითი გამოყენების ცხად პოლიტიკას. განმხორციელებელმა ქვეყნებმა EITI უნდა გამოაქვეყნონ ღია ლიცენზიით და მომხმარებლებისთვის ნათელი გახადოს, რომ ინფორმაციის განმეორებით გამოყენება არ საჭიროებს წინასწარ თანხმობას.
- უზრუნველყოს EITI ანგარიში ხელმისაწვდომობა ონლაინ ღია მონაცემთა ფორმატში (xlsx ან csv), მისი ხელმისაწვდომობის რეკლამირება.
- უზრუნველყოს, რომ EITI ანგარიში იყოს გასაგები, ნათლად დაწერილი, ხელმისაწვდომ ფორმატში და შესაბამის ენებზე.
- უზრუნველყოს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების ან კომპანიების მიერ ორგანიზებული გასვლითი ღონისძიებები ქვეყნის მასშტაბით. მსგავსი ღონისძიებები

ამაღლებენ EITI-ს შესახებ ცნობიერებას და ხელს უწყობენ მის თაობაზე დიალოგის წარმართვას.

## 7.2. მონაცემებზე წვდომა

სასურველია, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა EITI-ს ანგარიში მანქანისთვის წასაკითხ ფორმატში შექმნან და EITI-ს ანგარიში და მონაცემთა ფაილები იმგვარად მონიშნონ და დააკოდიფიცირონ, რომ შესაძლებელი იყოს ინფორმაციის შედარება სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებთან, რომლებიც იღებენ საბჭოს მიერ დამტკიცებულ EITI-ს მონაცემთა სტანდარტს. 5.1(ბ) მოთხოვნის შესაბამისად, სასურველია, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა მითითება გააკეთოს შემოსავლის კლასიფიკაციის სისტემებზე და საერთაშორისო სტანდარტებზე, როგორებიცაა IMF მთავრობის ფინანსური სტატისტიკის სახელმძღვანელო. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა სასურველია:

- შექმნას მოკლე ანგარიში ინფორმაციის ნათელი და დაბალანსებული ანალიზით, რომელიც უზრუნველყოფს EITI-ს ანგარიშის სხვადასხვა ელემენტების ავტორობის სიცხადეს.
- შეაჯამოს და შეადაროს თითოეული შემოსავლის ნაკადის წილი შემოსავლის ჯამურ ოდენობას, რომელიც ერიცხება თითოეულ შესაბამის მთავრობის დონეს.
- თუკი სამართლებრივად და ტექნიკურად შესაძლებელია, გაითვალისწინოს მთავრობისა და კომპანიების მიერ განგრძობით რეჟიმში მიღებული მოპოვებითი შემოსავლისა და გადახდების ავტომატიზირებული ონლაინ გასაჯაროება. აღნიშნულმა, შესაძლოა, მოიცვას საქმეები, სადაც მოპოვებითი შემოსავლების მონაცემები უკვე გამოქვეყნებულია რეგულარულად მთავრობის მიერ ან სადაც ეროვნული საგადასახადო სისტემები იხრებიან ონლაინ საგადასახადო შეფასებებისა და გადახდებისაკენ. ამგვარი განგრძობადი სამთავრობო ანგარიშგება შესაძლოა, განხილულ იქნას შიდა ანგარიშგებაში როგორც ეროვნული EITI-ს პროცესის შიდა მახასიათებელი, რომელიც აღწერილია შეჯერებულ წლიურ EITI-ს ანგარიშში.
- იკისროს სიმძლავრის ზრდის მცდელობის ვალდებულება, განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოებასთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მეშვეობით, რათა პროცესის თაობაზე ამაღლოს ცნობიერება, გააუმჯობესოს ანგარიშიდან მიღებული ინფორმაციისა და მონაცემების აღქმა და წახალისოს მოქალაქეების, მედიისა და სხვების მიერ ინფორმაციის გამოყენება.

## 7.3. შეუსაბამობები და რეკომენდაციები EITI-ს ანგარიშში.

EITI-ს განხორციელების ბუნებრივი რესურსების მართვაზე ზეგავლენის გაძლიერების მიზნებისათვის, 7.4 მოთხოვნის შესაბამისად, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, იმოქმედოს მიღებული გაკვეთილების გათვალისწინებით; გამოავლინოს, გამოიძიოს და მიმოიხილოს ნებისმიერი შეუსაბამობის მიზეზები; და გაითვალისწინოს EITI-ს ანგარიშგების შედეგად გამოვლენილი რეკომენდაციები.

## 7.4 EITI-ს განხორციელების შედეგებისა და გავლენის მიმოხილვა.

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, მიმოიხილოს EITI-ს განხორციელების შედეგები და გავლენა ბუნებრივი რესურსების მართვაზე.

- a) სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, გამოაქვეყნოს ყოველწლიური განვითარების ანგარიშები.<sup>5</sup> ყოველწლიური განვითარების ანგარიშები უნდა მოიცავდეს:
- i. წინა წელს განხორციელებული EITI-ს საქმიანობის შეჯამებას.
  - ii. განვითარების შეფასებას თითოეულ EITI-ს მოთხოვნასთან შესაბამისობაში ყოფნისა და ამ შესაბამისობის შენარჩუნების გათვალისწინებით, ასევე, მოთხოვნის გადაჭარბებით შესრულებისათვის გადადგმული ნაბიჯების გათვალისწინებით. აღნიშნული უნდა მოიცავდეს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მიმართული იყო ისეთი საკითხებისადმი როგორებიცაა შემოსავლის მართვა და ხარჯები (5.3), ტრანსპორტირების გადასახადები (4.4), არასავალდებულო სოციალური ხარჯები (6.1), ad hoc სუბნაციონალური გადარიცხვები (5.2), ბენეფიციარი საკუთრება (2.5) და ხელშეკრულებები (2.4).
  - iii. 7.3 მოთხოვნის შესაბამისად განხორციელებული შეჯერებიდან და სანდოობის შემოწმებიდან გამოვლენილ რეკომენდაციებთან მიმართებაში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის პასუხებისა და მიღწეული განვითარების მიმოხილვას. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, ჩამოთვალოს თითოეული რეკომენდაცია და მათი საპასუხო ქმედება რეკომენდაციის გათვალისწინებით, ასევე, თითოეული რეკომენდაციის განხორციელების განვითარების დონე. თუ მთავრობამ ან სხვადასხვა დაინტერესებულმა მხარეთა ჯგუფმა გადანწყობა, არ გაითვალისწინოს რეკომენდაცია, ამ უკანასკნელმა განვითარების წლიურ მოხსენებაში უნდა წარმოადგინოს აღნიშნულის დასაბუთება.
  - iv. სამუშაო გეგმაში (1.5 მოთხოვნა) მოცემული მიზნების მიღწევის განვითარების შეფასებას, მათ შორის, ხსენებული მიზნების გავლენასა და შედეგებს.
  - v. ბუნებრივი რესურსების მართვაზე EITI-ს განხორციელების ზემოქმედების გაძლიერების ძალისხმევის ნარატიულ ნაგარიშს, მათ შორის, EITI-ს ანგარიშგების დეტალის, სფეროს ფარგლებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გაზრდისთვის ჩატარებული ღონისძიებების ნარატიულ ანგარიშს.
  - vi. ბენეფიციარი საკუთრების სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასებას.
- b) ყველა დაინტერესებულ მხარეს უნდა შეეძლოს განვითარების წლიური ანგარიშის შექმნასა და EITI-ს განხორციელების ზეგავლენის მიმოხილვაში მონაწილეობის მიღება. EITI-ში ჩართული სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები და ინდუსტრია, კერძოდ, თუმცა არა მხოლოდ, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფში მოღვაწე ჯგუფებსა და ინდუსტრიას უნდა შეეძლოს EITI-ს პროცესზე მათი შენიშვნების წარმოდგენა და ჰქონდეს საკუთარი მოსაზრება, რომელიც აისახება განვითარების ყოველწლიურ ანგარიშში.
- c) სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, წარმოადგინოს სანდოობის შემოწმების ანგარიში EITI-ს საბჭოს მიერ დადგენილი ვადების გათვალისწინებით (ნაწილი 8).

## 8 EITI-ს მოთხოვნები 8

<sup>5</sup> სტანდარტული ნიმუში ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამდივნოსთან და ბმულზე [eiti.org.guidance](http://eiti.org.guidance), სახელმძღვანელოს შენიშვნა 5.

## 8. განმხორციელებელი ქვეყნების შესაბამისობა და ვადები

**მიმოხილვა.** აღნიშნული ნაწილი ეხება EITI-ს საბჭოს მიერ EITI-ს ანგარიშის გამოქვეყნებისთვის დადგენილ ვადებს (8.2), ყოველწლიურ განვითარების ანგარიშსა (8.4) და სანდოობის შემოწმებას (8.3). იგი აღწერს EITI-ს განხორციელების ვადებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის შედეგებს; ასევე განმარტავს ქვეყნების შესაძლებლობას, გამოიყენონ შეცვლილი განხორციელება (8.1.) და ვადების გაგრძელება (8.5) და ამისთვის საჭირო კრიტერიუმებს.

### 8.1. შეცვლილი განხორციელება

თუ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი დაადგენს, რომ იმყოფება განსაკუთრებული გარემოებების წინაშე, რომელიც საჭიროებს განხორციელების მოთხოვნებისაგან გადახვევას, იგი ვალდებულია, მოიძიოს EITI-ს საბჭოს თანხმობა შეცვლილი განხორციელების გამოსაყენებლად. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა უნდა მოინიშნოს აღნიშნული მოთხოვნა და ასახოს სამუშაო გეგმაში. მოთხოვნა უნდა განმარტავდეს შეცვლილი განხორციელების გამოყენების საფუძველს.

საბჭო მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში განიხილავს შეცვლილი განხორციელების გამოყენების ნებართვის გაცემის საკითხს. ასეთი მოთხოვნის განხილვისას, EITI-ს საბჭო უპირატესობას მიანიჭებს ქვეყნების მიმართ შედარებითი მოპყრობის საჭიროებას, რაც უზრუნველყოფს EITI-ს პრინციპების დაცვას. ასევე, უნდა უზრუნველყოს EITI-ს პროცესის ინკლუზიურობა, EITI-ს ანგარიში სისრულე და სანდოობა და რომ იგი დადებით წვლილს შეიტანს საჯარო დებატებში.

### 8.2. EITI-ს ანგარიშის ვადები.

EITI მოითხოვს EITI-ს ანგარიშის სრულ გამოქვეყნებას (მოთხოვნა 4.8). თუ EITI-ს ანგარიში არ გამოქვეყნდა დადგენილ ვადებში, ქვეყნას სტატუსი შეუჩერდება. შეჩერება მოიხსნება, თუ EITI-ს საბჭო დარწმუნდება, რომ ვადაგადაცილებული EITI-ს ანგარიში გამოქვეყნდება დადგენილი საბოლოო ვადიდან ექვსი თვის განმავლობაში. თუკი ვადაგადაცილებული ანგარიშები არ გამოქვეყნდება დადგენილი საბოლოო ვადიდან ექვსი თვის განმავლობაში, შეჩერება ძალაში დარჩება მანამ, სანამ EITI-ს საბჭო არ დარწმუნდება, რომ ქვეყანამ გამოაქვეყნა EITI-ს ანგარიში, რომელიც მოიცავს არაუგვიანეს ბოლოს საანგარიშო პერიოდის წინა საანგარიშო პერიოდს (4.8). თუ შეჩერება გაგრძელდა ერთ წელზე მეტი ვადით, EITI-ს საბჭო ქვეყანას სიდიდან ამოიღებს.

### 8.3. EITI-ს სანდოობის შემოწმების ვადები და შედეგები.

#### a) EITI-ს განხორციელების განვითარების შეფასება

- i. **თითოეული EITI-ს მოთხოვნის შეფასება.** სანდოობის შემოწმების პროცესი აფასებს ქვეყნის განვითარებას თითოეულ EITI-ს მოთხოვნასთან შესაბამისობის კუთხით. დეტალური მითითებები იმ მტკიცებულებების სახეობების თაობაზე, რომლებიც საჭიროა ინდივიდუალური მოთხოვნის შესაფასებლად, განწერილია სანდოობის შემოწმების სახელმძღვანელოში, რომელიც ხელმისაწვდომია მისამართზე [www.eiti.org](http://www.eiti.org). განვითარების დონე და თითოეულ ინდივიდუალურ EITI-ს მოთხოვნასთან შესაბამისობა უნდა დადგინდეს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

დამაკმაყოფილებელი განვითარება. იმისათვის, რომ EITI-ს საბჭომ დაადგინოს, რომ ქვეყანა დამაკმაყოფილებლად განვითარდა, სანდოობის შემოწმებამ უნდა



წარმოაჩინოს, რომ მოთხოვნის ყველა ასპექტები განხორციელდა და რომ მოთხოვნის უფრო ვრცელი მიზნები მიღწეულ იქნა.

მნიშვნელოვანი განვითარება. იმისათვის, რომ EITI-ს საბჭომ დაადგინოს, რომ ქვეყანა მნიშვნელოვნად განვითარდა, სანდოობის შემონიშნებამ უნდა წარმოაჩინოს, რომ მოთხოვნის მნიშვნელოვანი ასპექტები განხორციელდა და რომ მოთხოვნის უფრო ვრცელი მიზნები მიღწეულ იქნა.

შუუფერებელი განვითარება. იმისათვის, რომ EITI-ს საბჭომ დაადგინოს, რომ ქვეყანა შუუფერებლად განვითარდა, სანდოობის შემონიშნებამ უნდა წარმოაჩინოს, რომ მოთხოვნის მნიშვნელოვანი ასპექტები არ განხორციელდა და რომ მოთხოვნის უფრო ფართო მიზნები არ იქნა მიღწეული.

არავითარი განვითარება. იმისათვის, რომ EITI-ს საბჭომ დაადგინოს, რომ ქვეყანა არ განვითარდა, სანდოობის შემონიშნებამ უნდა წარმოაჩინოს, რომ მოთხოვნის ყველა ასპექტი ან თითქმის ყველა ასპექტი განუხორციელებელია და რომ მოთხოვნის უფრო ზოგადი მიზნები არ იქნა მიღწეული.

ii. **შემაჯამებელი შეფასებები.** სანდოობის შემონიშნების პროცესის შესაბამისად, EITI-ს საბჭო აფასებს EITI-ს სტანდარტის ყველა მოთხოვნასთან შემაჯამებელ შესაბამისობას. ქვეყნის შემაჯამებელი შეფასების დადგენისას, EITI-ს საბჭო გამოიყენებს ერთსა და იმავე მინიმალური ბარიერის ტესტს, რომელიც გამოყენებულ იქნა 8.3(i) პარაგრაფში განვირეული ინდივიდუალური მოთხოვნების შეფასებისას. საბჭო ასევე ითვალისწინებს 8.3(გ)(i) პარაგრაფს, ისევე როგორც შემდეგ ფაქტორებს:

- სანდოობის შემონიშნებისა და სანდოობის შემონიშნების კომიტეტის რჩევები და რეკომენდაციები;
- განუხორციელებელი მოთხოვნების მახასიათებლები და რამდენად ახლოს არიან მოთხოვნები შესრულებასთან;
- ქვეყნის მოპოვებითი მრეწველობის მასშტაბი და სირთულე;
- მოთხოვნების შესრულების სხვა დაბრკოლებები, რომლებიც მოიცავენ, მაგრამ არ შემოიფარგლებიან სახელმწიფოს სისუსტიტ და ბოლო პერიოდში განვითარებული ან მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებებით; ასევე მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის მიერ მის წინაშე არსებული დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად განხორციელებულ ქმედებებს;
- სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის მიერ ნაკისრი კეთილსინდისიერი ძალისხმევის განევის ვალდებულება;
- მოთხოვნებთან შეუსაბამობის მიზეზები და დასაბუთებები; და
- სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის მიერ მოთხოვნების მომავალში განხილვის თაობაზე შეთანხმებული გეგმები;

iii. **მოთხოვნების მიღმა განხორციელებული ძალისხმევა.** მოთხოვნების შეფასების გარდა, სანდოობის შემონიშნება ასევე დოკუმენტურად ასახავს შემდეგს:

- **EITI-ს მოთხოვნების მიღმა განხორციელებული ძალისხმევები.** აღნიშნული მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის ძალისხმევას, განიხილოს EITI-ს სტანდარტის „სასურველი“ ან „რეკომენდირებული“ ასპექტები. აღნიშნული ასევე მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის ძალისხმევას, წარმატებით განახორციელოს ნებისმიერი სამუშაო გეგმის ამოცანები, რომლებიც EITI-ს სტანდარტის ფარგლებს მიღმა ხვდებიან. აღნიშნული შეეხება ისეთ ამოცანებს, რომლებიც სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის მიერ

იდენტიფიცირებულ იქნენ, როგორც EITI-სათვის საჭირო ამოცანები, რომლებიც მიმოიხილავენ მოპოვებითი მრეწველობის ეროვნულ პრიორიტეტებს. ხსენებული ძალისხმევები დოკუმენტურად უნდა დაფიქსირდეს სანდოობის შემონმების პროცესში, თუმცა ისინი EITI-ს სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებისას მხედველობაში არ მიიღებიან. თუ სანდოობის შემონმების შედეგად დადგინდება რომ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა ამომწურავად განახორციელა EITI-ს სტანდარტის „სასურველი“ ან „რეკომენდირებული“ ასპექტები, ან/და MSG სამუშაო გეგმის ამოცანები, EITI-ს საბჭო შეფასების ბარათში აღიარებს ამ ძალისხმევას.

- განვითარების მიმართულებას თითოეული EITI მოთხოვნის დაკმაყოფილებისაკენ - ქვეყნის წინა სანდოობის შემონმებასთან შედარებით, რომელიც ადგენს რამდენად გაუმჯობესდა ან გაუარესდა განხორციელების პროცესი.

სანდოობის შემონმების სახელმძღვანელოს შესაბამისად, შეფასების შედეგები დოკუმენტურად იქნება წარმოდგენილი შეფასების ბარათსა და წარათვის ანგარიშში, სადაც წარმოდგენილი იქნება მტკიცებულებები, დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები, მითითებები და დასკვნები.

## b) შესაბამისობის შედეგები

თუ სანდოობის შემონმება დაადასტურებს, რომ ქვეყანა დამაკმაყოფილებლად განვითარდა ყველა მოთხოვნასთან მიმართებაში, EITI-ს საბჭო მიანიჭებს ასეთ ქვეყანას EITI-სთან შესაბამისობაში მყოფი ქვეყნის სტატუსს.

EITI-სთან შესაბამისობაში მყოფი ქვეყნები ვალდებული არიან, განაგრძონ EITI-ს პრინციპებისა და მოთხოვნების დაცვა, რათა შეინარჩუნონ შესაბამისობაში მყოფი ქვეყნის სტატუსი. თუ მიუხედავად შესაბამისობაში მყოფი ქვეყნის სტატუსისა დაფიქსირდება პრეტენზია, რომ ქვეყნის მიერ EITI-ს განხორციელება მოთხოვნილ სტანდარტს მნიშვნელოვნად ვეღარ აკმაყოფილებს, EITI-ს საბჭო ინარჩუნებს უფლებას, მოთხოვოს ქვეყანას ხელახალი სანდოობის შემონმების გავლა. თუ დაინტერესებულ მხარეებს მიაჩნიათ, რომ შესაბამისობაში ყოფნის სტატუსი უნდა გადაიხედოს, მათ შეუძლიათ პეტიციით მიმართონ EITI-ს საბჭოს. აღნიშნულ საკითხს, შესაძლოა, უშუამდგომლოდ EITI-ს საბჭოში დაინტერესებული მხარეების ამომრჩეველების წარმომადგენლ(ებ)მა. EITI-ს საბჭო განიხილავს მდგომარეობას და გამოიყენებს ვადამდელი სანდოობის შემონმებასთან დაკავშირებულ მის დისკრეციას. EITI-ს საბჭო დაადგენს ქვეყნის სტატუსს შეფასების შედეგების მიხედვით.

თუ შესაბამისობაში მყოფმა ქვეყანამ გაიარა ხელახალი სანდოობის შემონმება და ამ შემონმებამ დაადგინა, რომ ქვეყანამ ვერ შეასრულა EITI-ს მოთხოვნები, გამოიყენება (გ) პუნქტში განვლილი შედეგები.

## c) შესაბამისობის შედეგები

- იმისათვის, რომ ქვეყანამ აირიდოს სტატუსის შეჩერება, იგი ვალდებულია, დამაკმაყოფილებლად განვითარდეს შემდეგ ოთხ მოთხოვნასთან მიმართებაში: მთავრობის ჩართულობა (1.1), კომპანიის ჩართულობა (1.2), სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა (1.3) და EITI-ს ანგარიშის დროული წარდგენა (4.8). თუ ქვეყანა ვერ მიაღწევს მნიშვნელოვან განვითარებას მონაცემთა ხარისა (4.9) და მონაცემთა სისრულის (4.1) თვალსაზრისით,

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებული იქნება, გაასაჯაროსდეს დროში შეზღუდული სამოქმედო გეგმა მონაცემთა სანდოობისა და სისრულის სუსტი მხარეების თაობაზე. ამ გეგმის განხორციელების განვითარება გათვალისწინებული იქნება შემდგომი სანდოობის შემონახვისთვის.

სხვა EITI-ს მოთხოვნებთან მიმართებაში, შეუსაბამობის შედეგები დამოკიდებულია საბჭოს მიერ შემაჯამებელი განვითარების შეფასებაზე:

- ii. არავითარი განვითარება. ქვეყანა სიიდან იქნება ამოღებული.<sup>6</sup>
- iii. შეუფერებელი განვითარება. ქვეყანას შეუჩერდება სტატუსი და ვალდებული იქნება მეორე სანდოობის შემონახვამდე განახორციელოს გამოსასწორებელი ქმედებები. სტატუსის აღსადგენად ქვეყანა ვალდებულია, მეორე სანდოობის შემონახვისას აჩვენოს სულ მცირე მნიშვნელოვანი განვითარება. თუ ქვეყანა მიაღწევს მნიშვნელოვან განვითარებას მეორე სანდოობის შემონახვისას, გამოიყენება ქვემოთ მოყვანილი (iv)(2) დებულების პროცედურები. თუ ქვეყანა მიაღწევს შეუფერებელ განვითარებას მეორე სანდოობის შემონახვისას, გამოიყენება ზემოთაღნიშნულ (ii) პარაგრაფში განხილული პროცედურები.
- iv. მნიშვნელოვანი განვითარება. ქვეყანა განიხილება EITI-ს კანდიდატად და იგი ვალდებული იქნება მეორე სანდოობის შემონახვამდე განახორციელოს გამოსასწორებელი ქმედებები შემდეგ შემთხვევებში:

(1) თუ ქვეყანა აღწევს ზოგად მნიშვნელოვან განვითარებას მეორე სანდოობის შემონახვისას, თუმცა არ აჩვენებს გაუმჯობესებას ინდივიდუალურ მოთხოვნებში, ქვეყანას შეუჩერდება სტატუსი და ვალდებული იქნება განახორციელოს გამოსასწორებელი ქმედებები მესამე სანდოობის შემონახვამდე. თუ ქვეყანა აღწევს მნიშვნელოვან განვითარებას მესამე სანდოობის შემონახვისას თუმცა არ ავლენს გაუმჯობესებას ინდივიდუალურ მოთხოვნებზე, იგი სიიდან იქნება ამოღებული. თუ ქვეყანა აღწევს ზოგად მნიშვნელოვან განვითარებას მესამე სანდოობის შემონახვისას, თუმცა მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ავლენს მხოლოდ რამდენიმე ინდივიდუალურ მოთხოვნასთან მიმართებაში (ანუ წარსულში შეუსრულებელი რამდენიმე, თუმცა არა ყველა მოთხოვნა შესრულდა), მისი სტატუსის შეჩერება გაგრძელდება.

საბჭო დაადგენს ახალ გამოსწორებით ქმედებებს. ყველა მოთხოვნის შეუსრულებლობა მომავალი სანდოობის შემონახვისას გამოიწვევს ქვეყნის სიიდან ამოღებას.

(2) თუ ქვეყანა აჩვენებს ზოგად მნიშვნელოვან განვითარებას მეორე სანდოობის შემონახვისას და ასევე მნიშვნელოვან გაუმჯობესებას რამდენიმე ინდივიდუალურ მოთხოვნასთან მიმართებაში (ანუ წარსულში შეუსრულებელი რამდენიმე მაგრამ არა ყველა მოთხოვნა შესრულდა), ქვეყანა შეინარჩუნებს EITI-ს კანდიდატის სტატუსს მანამ, სანამ განახორციელებს გამოსწორებით ქმედებებს. თუ ქვეყანა წარმოაჩენს ზოგად მნიშვნელოვან განვითარებას მესამე სანდოობის შემონახვისას, მას შეუჩერდება სტატუსი.

<sup>6</sup> 8.6.ბ პარაგრაფის შესაბამისად, ქვეყანას შესაძლოა შეუჩერდეს სტატუსი პოლიტიკური არასტაბილურობისა და კონფლიქტის გამო. EITI-ს საბჭო არ დააწესებს სანდოობის შემონახვას ისეთ ქვეყანაში, რომლის სტატუსიც შეჩერებულია 8.6.ბ პარაგრაფის შესაბამისად.

საბჭო დაანესებს ახალ გამოსასწორებელ ქმედებებს. მეოთხე სანდოობის შემონმების ეტაპზე მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქვეყანას შეუჩერდება სტატუსი ან ამოღებულ იქნება სიიდან.

(3) თუ ქვეყანა მეორე ან შემდგომ სანდოობის შემონმებაში წარმოაჩენს შეუფერებელ განვითარებას, გამოიყენება ზემოთაღნიშნულ (ii) პუნქტში განვითარებული პროცედურა.

#### d) შესაბამისობის მიღწევის ვადები

- i. EITI-ს კანდიდატი ქვეყნები ვალდებული არიან, დაიწყონ პირველი სანდოობის შემონმება EITI-ს კანდიდატის სტატუსის მიღებიდან ორნახევარი წლის ვადაში. EITI-ს შესაბამისობაში მყოფი ქვეყნები ვალდებული არიან, სანდოობის შემონმება ხელახლა გაიარონ ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. 8.5 პარაგრაფის შესაბამისად, ქვეყანას შეუძლია მოითხოვოს ვადების გაგრძელება.  
ქვეყანას შეუძლია მოითხოვოს სანდოობის შემონმების EITI-ს საბჭოს მიერ დაგეგმილ ვადაზე ადრე დაწყება.
- ii. თუ სანდოობის შემონმება ადასტურებს, რომ ქვეყანამ ვერ მიაღწია შესაბამისობას, EITI-ს საბჭო დაადგენს გამოსასწორებელ ქმედებებს, რომლებიც ქვეყანამ უნდა განახორციელოს და 2-18 თვიან ვადაში შემდგომი სანდოობის შემონმებისათვის, რა დროსაც მოხდება გამოსასწორებელი ქმედებების განვითარების შემონმება. გამოსასწორებელი ქმედებების დასრულებისათვის ვადების დადგენისას EITI-ს საბჭო მხედველობაში მიიღებს გამოსასწორებელი ქმედებებისა და ადგილობრივი გარემოებების მახასიათებლებს. საბჭო ინარჩუნებს უფლებას, დაანესოს უფრო მოკლე ან გრძელი ვადები. 8.5 პარაგრაფის შესაბამისად, ქვეყანას შეუძლია მოითხოვოს გადავადება. ქვეყანას შეუძლია ასევე მოითხოვოს სანდოობის შემონმების EITI-ს საბჭოს მიერ დაგეგმილ ვადაზე ადრე დაწყება.
- iii. (8.3.გ) და (8.3.დ)(ii-ii) დებულებების შესაბამისად, ქვეყანას შეუძლია EITI-ს კანდიდატის სტატუსი ჰქონდეს ამ სტატუსის მიღებიდან მაქსიმუმ 7 წლის განმავლობაში.<sup>7</sup>

#### 8.4. განვითარების ყოველწლიური ანგარიშის ვადები.

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, გამოაქვეყნოს განვითარების ყოველწლიური ანგარიში (7.4 მოთხოვნა). წინა წლის ღონისძიებების შესახებ ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს მომდევნო წლის 1 ივლისს. EITI-ს საბჭო ადგენს ახალი EITI-ს კანდიდატი ქვეყნებისთვის შესაბამის ვადებს. თუ ყოველწლიური განვითარების ანგარიში არ გამოქვეყნდება დადგენილი ვადიდან, ანუ მომდევნო წლის 31 დეკემბრიდან ექვსი თვის ვადაში, ქვეყანას შესაძლოა შეუჩერდეს სტატუსი, სანამ EITI-ს საბჭო არ დარწმუნდება, რომ ვადაგადაცილებული განვითარების ანგარიში გამოქვეყნდა.

#### 8.5. გადავადება

განმახორციელებელ ქვეყანას შეუძლია მოითხოვოს გადავადება, თუ მას არ შეუძლია 8.2-8.4 დებულებებში განვითარებული ვადების დაცვა. EITI-ს საბჭო გადავადების მოთხოვნის შეფასებისას იყენებს შემდეგ ტესტებს:

<sup>7</sup> ქვეყნის მიერ სანდოობის შემონმების გავლისთვის საჭირო დრო არ ჩაითვლება კანდიდატისთვის დადგენილ მაქსიმალურ ვადაში.



- a) მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნას ვადის ამონურვამდე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის თანხმობით.
- b) სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი ვალდებულია, დაადასტუროს რომ იგი უწყვეტი პროგრესირებით იცავდა დადგენილ ვადებს და რომ ვადის გადაცილება გამოიწვია განსაკუთრებულმა გარემოებებმა. უწყვეტი პროგრესის შეფასებისას EITI-ს საბჭო განიხილავს:
  - i. EITI-ს პროცესს, კერძოდ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფთა ფუნქციონირებას და მთავრობის ცხად, ძლიერ ვალდებულებას.
  - ii. EITI-ს ანგარიშების სტატუსსა და ხარისხს, მათ შორის მნიშვნელოვან განვითარებას 4.8 მოთხოვნით დადგენილი დროული ანგარიშების მოთხოვნების დაცვისას და EITI-ს ანგარიშების გაუმჯობესების მიზნებისათვის რეკომენდაციების გათვალისწინების ძალისხმევას.
- c) გამონაკლისი გარემოებ(ებ)ი უნდა განიმარტოს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნაში.
- d) გადავადება არ მოხდება, თუ მის შედეგად კანდიდატობის პერიოდი გადააჭარბებს კანდიდატობისთვის დადგენილ მაქსიმალურ ვადას.

## 8.6. სტატუსის შეჩერება.

### ა) სტატუსის შეჩერება EITI პრინციპების და მოთხოვნების დარღვევის გამო

თუკი აშკარაა, რომ განმახორციელებელმა ქვეყანამ არ დაიცვა EITI-ს პრინციპები და მოთხოვნები, EITI-ს საბჭო ასეთ ქვეყანას შეუჩერებს სტატუსს ან ამოიღებს სიიდან. 8.2-8.4 დებულებების შესაბამისად, აღნიშნული მოიცავს შემთხვევებს, როდესაც ქვეყანამ დროულად ვერ შეასრულა EITI-ს ანგარიშის წარდგენის, ყოველწლიური განვითარების ანგარიშის გამოქვეყნების ან/და EITI-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება EITI-ს საბჭოს მიერ დადგენილ ვადებში. თუ EITI-ს საბჭო შემფოთებულია EITI-ს პრინციპებისა და მოთხოვნების შეუსრულებლობით, მას შეუძლია საერთაშორისო სამდივნოს დაავალოს სიტუაციასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოგროვება და EITI-ს საბჭოსთვის ანგარიშის წარდგენა.

განმახორციელებელი ქვეყნისთვის სტატუსის შეჩერება დროებითი მექანიზმია და ექვემდებარება კანდიდატობისთვის დადგენილი მაქსიმალური ვადით გამოყენებას. 8.2-8.4 დებულებების შესაბამისად, EITI-ს საბჭო ვალდებულია, განმახორციელებელ ქვეყანას დაუდგინოს EITI-ს სტანდარტის დარღვევის აღმოფხვრის ვადა. სტატუსის შეჩერების პერიოდში ქვეყანას ექნება „შეჩერებულის“ სტატუსი. თუკი საკითხი გადაწყდა დადგენილ ვადაში, რაც მისარები აღმოჩნდა EITI-ს საბჭოსთვის, ქვეყნის კანდიდატის ან შესაბამისობაში ყოფნის სტატუსი აღდგება. თუკი საკითხი არ გადაწყდება დადგენილ ვადაში, EITI-ს საბჭო ქვეყანას სიიდან ამოიღებს.

### ბ) სტატუსის შეჩერება პოლიტიკური არასტაბილურობისა და კონფლიქტის გამო.

EITI საბჭომ შესაძლოა გადაწყვიტოს ქვეყნისთვის სტატუსის შეჩერება, თუ პოლიტიკური არასტაბილურობა ან კონფლიქტი აშკარად აბრკოლებს ქვეყანას, რომ დაიცვას EITI-ს პრინციპებისა და მოთხოვნების მნიშვნელოვანი ასპექტი. ქვეყნებს, სადაც განსაკუთრებული პოლიტიკური არასტაბილურობა ან კონფლიქტია, შეუძლიათ ნებაყოფლობით მოითხოვონ სტატუსის შეჩერება. ასეთ სიტუაციაში მთავრობამ EITI-ს საბჭოს უნდა წარუდგინოს განცხადება სტატუსის ნებაყოფლობით შეჩერების თაობაზე. მთავრობის განცხადება ასევე უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის მოსაზრებებს.

თუ ქვეყნების სტატუსი შეჩერდა პოლიტიკური არასტაბილურობის ან კონფლიქტის გამო, შეჩერების პერიოდი არ ჩაითვლება კანდიდატობისთვის დადგენილ მაქსიმალურ ვადაში. EITI-ს საბჭო

ზედამხედველობას გაუწევს და მიმოიხილავს სიტუაციას რეგულარულად და ინარჩუნებს უფლებას, გაგრძელოს სტატუსის შეჩერების ვადა ან ქვეყანა სიიდან ამოიღოს.

### გ) შეჩერების გაუქმება.

მთავრობას შეუძლია ნებისმიერ დროს წარადგინოს განცხადება სტატუსის აღდგენის თაობაზე.

განაცხადი უნდა ითვალისწინებდეს EITI-ს განხორციელების და სანდოობის შემოწმების პროცესის განახლების თაობაზე დაინტერესებულ მხარეებს შორის შეთანხმებულ ნაბიჯებსა და შესაბამისობის მიღწევის სამუშაო გეგმას. თუ EITI-ს საბჭო მიიჩნევს, რომ სტატუსის შეჩერების მიზეზები აღმოიფხვრა, შეჩერება გაუქმდება. შეჩერების გაუქმების შემთხვევაში, EITI საბჭო განიხილავს ახალი ანგარიშგებისა და სანდოობის შემოწმების ვადების დანიშვნას. პროცესის ნებისმიერ ეტაპზე EITI-ს საბჭომ უნდა უზრუნველყოს მისი დამოკიდებულებისა და გადაწყვეტილების შეტყობინება განმახორციელებელი ქვეყნებისათვის.

### 8.7. ქვეყნის სიიდან ამოღება.

სიიდან ამოღება, რაც ქვეყნისთვის EITI-ს განმახორციელებლის სტატუსის გაუქმებას ნიშნავს, შესაძლოა განხორციელდეს:

1. დებულების შესაბამისად, განმახორციელებელი ქვეყანა დაექვემდებარა შეჩერებას და საკითხი არ გადაიჭრა დადგენილ ვადაში.
2. 8.3 დებულების შესაბამისად, EITI-ს საბჭო გადაწყვეტს, რომ ქვეყანამ დადგენილ ვადაში ვერ მიაღწია დამაკმაყოფილებელ განვითარებას EITI-ს განხორციელების თვალსაზრისით.

თუ ამკარაა, რომ განმახორციელებელმა ქვეყანამ არ შეასრულა და არ დაიცვა EITI-ს პრინციპები და მოთხოვნების მნიშვნელოვანი ასპექტი, EITI-ს საბჭო იტოვებს უფლებას, ასეთი ქვეყანა სიიდან ამოიღოს. სიიდან ამოღებულმა ქვეყანამ შესაძლოა ნებისმიერ დროს განმეორებით შეიტანოს განცხადება EITI-ს კანდიდატის სტატუსის მოპოვების თაობაზე. EITI-ს საბჭო გაატარებს EITI-ს კანდიდატის განაცხადის შეფასებისთვის დადგენილ პროცედურებს. იგი ასევე შეაფასებს EITI-ს განხორციელების წინა გამოცდილებას, მათ შორის ეფექტური განხორციელების წინა ბარიერებს და განხორციელებულ გამოსასწორებელ ზომებს.

### 8.8 გასაჩივრება.

განმახორციელებელ ქვეყანას შეუძლია, პეტიციით მიმართოს EITI-ს საბჭოს, რათა მათ განიხილონ გადაწყვეტილება სტატუსის შეჩერების, სიიდან ამოღების ან სანდოობის შემოწმების შემდგომ ქვეყნისათვის EITI-ს კანდიდატის ან EITI-სთან შესაბამისობაში მყოფი ქვეყნის სტატუსის მინიჭების თაობაზე. პეტიციაზე პასუხის გაცემისას EITI-ს საბჭო მხედველობაში იღებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, EITI-ს მთლიანობის შენარჩუნების საჭიროებას და ქვეყნებისადმი თანმიმდევრული მოპყრობის პრინციპს. EITI-ს საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა. შესაბამის ქვეყანას შეუძლია წესდების მე-8 მუხლით დადგენილ შეტყობინების ვადამდე, გაასაჩივროს EITI-ს საბჭოს გადაწყვეტილება წევრთა მორიგ კრებაზე.

ქვემოთ მოცემული ფიგურები ასახავენ 8.3(ბ) და 8.3(გ) მოთხოვნებით გათვალისწინებული შესაბამისობისა და შეუსაბამობის შედეგებს.

პირველი სანდოობის შემოწმება:

2.5 წლის შემდგომ

საბჭოს შეფასება ზოგადი განვითარების თაობაზე:

1. დამაკმაყოფილებელი განვითარება შესაბამისობა
2. მნიშვნელოვანი განვითარება (მგ) კანდიდატი
3. შეუფერებელი განვითარება სტატუსის შეჩერება

4. არავითარი განვითარება სიიდან ამოღება

მეორე სანდოობის შემოწმება

3-18 თვის შემდგომ

- |   |                   |
|---|-------------------|
| 1. დამაკმაყოფილებელი განვითარება შესაბამისობა |                   |
| 2.ა მგ (განვითარებით)                         | კანდიდატი         |
| 2ბ. მგ (განვითარების გარეშე)                  | სტატუსის შეჩერება |
| 3. შეუფერებელი განვითარება                    | სიიდან ამოღება    |
| 4. არავითარი განვითარება                      | სიიდან ამოღება    |
- 
- |   |                |
|---|----------------|
| 1. დამაკმაყოფილებელი განვითარება შესაბამისობა |                |
| 2. მნიშვნელოვანი განვითარება (მგ)             | კანდიდატი      |
| 3. შეუფერებელი განვითარება                    | სიიდან ამოღება |
| 4. არავითარი განვითარება                      | სიიდან ამოღება |

მესამე სანდოობის შემოწმება

3-18 თვის შემდგომ

- |   |                |
|---|----------------|
| 1. დამაკმაყოფილებელი განვითარება შესაბამისობა |                |
| 2. მნიშვნელოვანი განვითარება (მგ)             | კანდიდატი      |
| 3. შეუფერებელი განვითარება                    | სიიდან ამოღება |
| 4. არავითარი განვითარება                      | სიიდან ამოღება |
- 
- |   |                   |
|---|-------------------|
| 1. დამაკმაყოფილებელი განვითარება შესაბამისობა |                   |
| 2.ა მგ (განვითარებით)                         | სტატუსის შეჩერება |
| 2ბ. მგ (განვითარების გარეშე)                  | სიიდან ამოღება    |
| 2. შეუფერებელი განვითარება                    | სიიდან ამოღება    |
| 3. არავითარი განვითარება                      | სიიდან ამოღება    |

მეოთხე სანდოობის შემოწმება

3-18 თვის შემდგომ

- |   |                |
|---|----------------|
| 1. დამაკმაყოფილებელი განვითარება შესაბამისობა |                |
| 2. მნიშვნელოვანი განვითარება                  | სიიდან ამოღება |
| 3. შეუფერებელი განვითარება                    | სიიდან ამოღება |
| 4. არავითარი განვითარება                      | სიიდან ამოღება |

## 4. სანდოობის შემოწმების მიმოხილვა

ეს ნაწილი შეეხება EITI-ს სანდოობის შემოწმებას. სანდოობის შემოწმების მიზანია, მე-3 ნაწილში განწერილ EITI-ს მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.

### სანდოობის შემოწმების მიზნები

სანდოობის შემოწმება წარმოადგენს EITI-ს პროცესის მნიშვნელოვან მახასიათებელს. იგი გამოიყენება შესრულების შესაფასებლად და ქვეყნის დონეზე დიალოგისა და სწავლების ხელშეწყობისათვის. იგი ასევე უზრუნველყოფს EITI-ს მთლიანობას ყველა განმხორციელებელი ქვეყნისათვის ერთი და იმავე გლობალური სტანდარტის დანესებით. მისი მიზანია ყველა დაინტერესებული მხარისათვის მიუკერძოებელი შეფასების მიწოდება იმის თაობაზე, თუ რამდენად თანხვედრაშია ქვეყანაში EITI-ს განხორციელება EITI-ს სტანდარტთან. სანდოობის შემოწმების ანგარიში დამატებით შეეხება იმას თუ რა გავლენას ახდენს EITI იმ ქვეყანაზე, რომელიც

ექვემდებარება სანდოობის შემოწმებას, ასევე EITI-ს სტანდარტით წახალისებული საქმიანობის განხორციელებას, დაინტერესებული მხარეების მიერ გამოხატულ ნებისმიერ შეშფოთებას და მომავალში EITI-ს განხორციელებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

### სანდოობის შემოწმების მეთოდოლოგია

სანდოობის შემოწმება აფასებს მე-3 ნაწილში განწერილი EITI-ს მოთხოვნების შესაბამისობას. მეთოდოლოგია განწერილია სანდოობის შემოწმების სახელმძღვანელოში, რომელშიც წარმოდგენილია მითითებები თითოეული დებულების შეფასებაზე. ზოგიერთ შემთხვევაში, სანდოობის შემოწმების სახელმძღვანელო აზუსტებს, თუ რომელი მტკიცებულება უნდა გამოიყენოს სანდოობის შემოწმებელმა, რათა უზრუნველყოს დებულების მოთხოვნების შესრულება. სხვა შემთხვევებში წარმოდგენილია სხვადასხვა მიდგომა, რომლებიც ქვეყანამ შესაძლოა გამოიყენოს EITI-ს დებულების განსახორციელებლად. დაბოლოს, სანდოობის შემოწმების სახელმძღვანელო წარმოადგენს მტკიცებულებების მაგალითებს, რომლებიც სანდოობის შემოწმებელმა შესაძლოა გაითვალისწინოს.

### სანდოობის შემოწმების პროცედურა

EITI-ს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ბუნების და დიალოგის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სანდოობის შემოწმების პროცედურა ხაზს უსვამს დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციას. სანდოობის შემოწმება ხორციელდება სამ ეტაპად.

1. **სანდოობის შემოწმებისთვის მომზადება.** სანდოობის შემოწმების დაწყებამდე, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფისთვის (MSG) რეკომენდირებულია თავად შეაფასოს მისი EITI-ს სტანდარტების დაცვა. სანდოობის შემოწმების სახელმძღვანელო მოიცავს დებულებას, რომლის თანახმადაც: „თუ MSG-ს სურს სანდოობის შემოწმებისას მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმოს გარკვეული ამოცანების და ქმედებების შეფასებას MSG-ს სამუშაო გეგმის შესაბამისად, აღნიშნული განწერილი უნდა იყოს MSG-ს მოთხოვნაში“. ნაციონალურ სამდივნოს მოეთხოვება დოკუმენტების და სხვა წყაროების შეგროვება, რომლებიც წარმოაჩენენ შესაბამისობას; მათ შორის, კრების ოქმების შეგროვება. დაინტერესებულ მხარეებს ასევე შეუძლიათ მოამზადონ ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. სახელმძღვანელო მითითება სანდოობის შემოწმებასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია.<sup>8</sup>

2. **EITI-ს მიერ ნაკისრი თავდაპირველი მონაცემის შეგროვება და დაინტერესებული მხარეების კონსულტაცია.** საერთაშორისო სამდივნო განიხილავს შესაბამის დოკუმენტებს, ეწვევა ქვეყნებს და კონსულტაციებს უწევს დაინტერესებულ მხარეებს. აღნიშნული მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფთან, დამოუკიდებელ აუდიტორთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრას. ასევე მოიცავს იმ დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრას, რომლებიც წარმოდგენილნი არიან, თუმცა პირდაპირ არ მონაწილეობენ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფში. საბჭო ადგენს მონაცემთა შეგროვების სტანდარტულ პროცედურებს, რომელიც შეეხება დაინტერესებული მხარეებისთვის კონსულტაციის განვასა და თავდაპირველი შეფასების დასრულების ვადებს.

აღნიშნულ კონსულტაციების საფუძველზე საერთაშორისო სამდივნო ამზადებს ანგარიშს, რომელიც სანდოობის შემოწმების სახელმძღვანელოს შესაბამისად ახორციელებს მოთხოვნებთან მიმართებაში მიღწეული განვითარების თავდაპირველ შეფასებას. თავდაპირველი შეფასება არ მოიცავს შესაბამისობის ზოგად შეფასებას.

<sup>8</sup> ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამდივნოსგან და ბმულზე [eiti.org/guidance](http://eiti.org/guidance), სახელმძღვანელოს შენიშვნა 23.



ანგარიში წარედგინება სანდოობის შემფასებელს. ეროვნული კოორდინატორი იღებს ასლს. ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული შენიშვნები მისასაღმებელია, თუმცა ნაციონალური კოორდინატორებისა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებისთვის რეკომენდირებულია, თავი შეიკავონ ნებისმიერი მნიშვნელოვანი შენიშვნისაგან სანდოობის შემმონმებლის ანგარიშის სამუშაო ვერსიის მიღებამდე.

3. **დამოუკიდებელი სანდოობის შემმონმებელი.** საბჭო ნიშნავს დამოუკიდებელ სანდოობის შემმონმებელს ღია და შეჯიბრობითობის პრინციპზე დაყრდნობილი სატენდერო პროცესის მეშვეობით. სანდოობის შემმონმებელი ანგარიშს წარუდგენს საბჭოს სანდოობის შემონმების კომიტეტის მეშვეობით.

სანდოობის შემმონმებელი აფასებს, გატარდა თუ არა სამდინოს თავდაპირველი შეფასება სანდოობის შემონმების სახელმძღვანელოსთან შესაბამისობაში. აღნიშნული მოიცავს: თითოეულ მოთხოვნასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაციის დეტალურ განხილვას, რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებას ადგილზე შემონმებისას და დაინტერესებული მხარეებისათვის დამატებითი კონსულტაციების განევას. საბჭომ შესაძლოა სანდოობის შემმონმებელს მოთხოვოს კონკრეტული მოთხოვნების ადგილზე შემონმება.

სანდოობის შემონმების კომიტეტი წარადგენს კომენტარებს სამდინოს თავდაპირველ შეფასებასთან დაკავშირებული და ამზადებს სანდოობის შემონმების ანგარიშის სამუშაო ვერსიას. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფს შეუძლია წარადგინოს შენიშვნები სანდოობის შემონმების ანგარიშის სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი შენიშვნების განხილვის შემდგომ სანდოობის შემმონმებელი ადგენს საბოლოო სანდოობის შემონმების ანგარიშს. სანდოობის შემმონმებელი წერილობით აცხობინებს სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფს თუ რა კუთხით განიხილა მათი შენიშვნები. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი იღებს საბოლოო სანდოობის შემონმების ანგარიშს. საბოლოო სანდოობის შემონმების ანგარიში მოიცავს სანდოობის შემმონმებლის შეფასებას თითოეულ დებულებასთან შესაბამისობის შეფასებას თუმცა არა ზოგადი შესაბამისობის შეფასებას. სანდოობის შემმონმებელს შეუძლია მათი დასკვნები წარუდგინონ სანდოობის კომიტეტს.

4. **საბჭოს მიმოხილვა.** სანდოობის შემონმების კომიტეტი განიხილავს საბოლოო სანდოობის შემონმების ანგარიშს და დამხმარე დოკუმენტებს (მათ შორის, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის შენიშვნებს). ამის შემდეგ, სანდოობის შემონმების კომიტეტი EITI-ს საბჭოს წარუდგენს რეკომენდაციებს ქვეყნის EITI-ს მოთხოვნებთან შესაბამისობაში ყოფნის თაობაზე და საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ გამოსასწორებელ ქმედებებთან მიმართებაში.

EITI-ს საბჭო საბოლოოდ ადგენს, მოხდა თუ არა მოთხოვნების შესრულება და ქვეყნის ზოგად შესაბამისობას EITI-ს სტანდარტის 8.3.ა.ii დებულების მიხედვით.

თავდაპირველი შეფასება, სანდოობის შემონმების ანგარიში და დაკავშირებული სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის შენიშვნები კონფიდენციალურია საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

## 5. ოქმი: სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა

### 1. შესავალი

სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა უმნიშვნელოვანესია EITI-ს მიზნების მიღწევისათვის, მათ შორის, მე-4 პრინციპი, რომლის თანახმადაც, „მთავრობის შემოსავლებისა და ხარჯების საჯარო აღქმა დროთა განმავლობაში ხელს შეუწყობს საჯარო დებატების წარმართვასა და მდგრადი განვითარებისათვის შესაბამისი და რეალისტური ვარიანტებიდან ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას“. EITI-ში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ EITI-ს მიერ შექმნილმა გამჭვირვალობამ გაზარდოს ანგარიშვალდებულება. EITI-ს სტანდარტის დანერგვის უპირველესი მოტივაცია იყო მეტი მნიშვნელოვანი, სანდო და გამოყენებადი ინფორმაციის შექმნა და მისი უკეთ დაკავშირება მოპოვებითი ინდუსტრიის ან საჯარო აღრიცხვისა და შემოსავლების მართვის უფრო ფართე რეფორმებთან. მოქალაქეთა შესაძლებლობა, აქტიურად ითანამშრომლონ EITI-სგან მიღებული ინფორმაციის გამოყენების მიზნით, წარმოადგენს EITI-ს განხორციელებისა და EITI-ში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის კრიტიკულ შემადგენელ ნაწილს.

სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა EITI-ს პროცესში ფორმალურად ფასდება EITI-ს განხორციელების ორ ეტაპზე - კანდიდატის შეფასებისა და სანდოობის შემოწმებისას. სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის შეფასება ხდება მხოლოდ ad hoc საფუძველზე საბჭოს წინაშე კონკრეტული განმახორციელებელი ქვეყნის შესახებ წამოჭრილი პრეტენზიის საპასუხოდ. ოქმი ადგენს კითხვებს, რომლებიც EITI-ს საბჭომ (მათ შორის, კომიტეტებმა) და სანდოობის შემოწმებლებმა უნდა გაითვალისწინონ იმის შეფასებისას, თუ რამდენად შესრულდა სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისათვის (1.3) დადგენილი დებულებები. მათ ასევე უნდა გაითვალისწინონ, თუ რა ტიპის მტკიცებულებების გამოყენება უნდა მოხდეს ამ კითხვებზე პასუხების გაცემისას. მანამ, სანამ სამოქალაქო საზოგადოების EITI-ს პროცესში მონაწილეობის დებულებები თანმიმდევრულია EITI-ს განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, EITI-ს საბჭოს მიერ დებულებების შეფასების მიზნებისთვის გამოყენებული მტკიცებულება შეიცვლება ქვეყანაში არსებული გარემოებების, განხორციელების ეტაპისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ 2.1-2.5 პარაგრაფებში წამოწეული კითხვები და მტკიცებულების შეთავაზებული ტიპები არ წარმოადგენენ დებულებას. ასევე, ამ პარაგრაფში მოცემული სია არ არის ამომწურავი. თუმცა, იგი გვანვდის სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებული დებულებების შეფასების ფარგლებს.

### 2. სამოქალაქო საზოგადოების დებულებების EITI-ს მიერი განმარტება

ამ ოქმის მიზნებისათვის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებზე მითითება მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებიც არსებითად არიან ჩართულები EITI-ს პროცესში, რაც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფით. EITI-ს პროცესზე მითითება მოიცავს EITI-ში რეგისტრაციისთვის საჭირო ქმედებებს; MDG კრებებს; CSO-ს ამომრჩეველთა ჯგუფის გვერდით კრებებს EITI-სთან დაკავშირებით, რაც მოიცავს MSGOს წარმომადგენლებთან ურთიერთობას; EITI-ს ანგარიშის წარმოდგენას; EITI-ს ანგარიშებისათვის მასალების ან ანალიზის წარმოდგენას; EITI-ს საქმიანობასთან დაკავშირებით მოსაზრების გამოხატვას; და ბუნებრივი რესურსების მართვის თაობაზე მოსაზრებების გამოხატვას.

სამოქალაქო საზოგადოების დებულებების შეფასებისას, საბჭო და სანდოობის შემმონმებლები გამოიყენებენ შემდეგ ტესტს:

**2.1. გამოსატვა: სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ ჩართონ EITI-ს პროცესთან დაკავშირებულ საჯარო დებატში და გამოხატონ მოსაზრება EITI-ს პროცესის თაობაზე ყოველგვარი შეზღუდვის, იძულებისა და რეპრესიის გარეშე.**

EITI-ს საბჭო და სანდოობის შემმონმებლები განიხილავენ საკითხს იმდენად რამდენადაც:

- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ თავისუფლად ისაუბრონ საჯაროდ EITI-ს პროცესის თაობაზე, მაგალითად MDG-ს შეხვედრებზე, EITI-ს ღონისძიებებზე, მათ შორის, EITI-ს ანგარიშის გამოქვეყნებისთვის ჩატარებულ ღონისძიებაზე, საჯარო ღონისძიებებზე, მედიაში და ა.შ.
- ფაქტობრივი პრაქტიკა, მათ შორის, მრავალფეროვანი დაინტერესებული მხარეების შეხედულებები ან არსებითი მტკიცებულება, რომელიც წარმოდგენილია დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ, მიუთითებს იმაზე, რომ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების თვითცნობიერება ან საკუთარ თავზე მოხვეული შეზღუდვები EITI-ს პროცესში ადგილს იჩენს რეპრესიისადმი შიშის შედეგად. აღნიშნული დაბრკოლებები გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ ინფორმაციის გავრცელებაზე და EITI-ს პროცესზე გამოხატულ საჯარო შენიშვნებზე.

**2.2. ოპერაცია: სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ თავისუფლად იმოქმედონ EITI-ს პროცესთან მიმართებაში.**

EITI-ს საბჭო და სანდოობის შემმონმებლები ითვალისწინებენ თუ რა გავლენას ახდენს სამართლებრივი, მარეგულირებელი, ადმინისტრაციული და ფაქტობრივი გარემოება სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობაზე მონაწილეობა მიიღოს EITI-ს პროცესში. მაგალითისთვის, აღნიშნული მოიცავს შემდეგს:

- სამართლებრივი, მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული დაბრკოლებების გავლენის ფარგლები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შესაძლებლობაზე ჩაერთონ EITI-ს პროცესში. აღნიშნული მოიცავს სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პროცედურებს, რომლებიც უკავშირდებიან CSO-ების რეგისტრაციას, რამაც უკვე უარყოფითი გავლენა იქონია მათ შესაძლებლობაზე, ჩაერთონ EITI-ს პროცესში; სამართლებრივი ან ადმინისტრაციული შეზღუდვები, რაც აბრკოლებს წვდომას დაფინანსებაზე და რაც საშუალებას არ აძლევს CSO-ებს, იკისრონ EITI-სთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება; სამართლებრივი ან ადმინისტრაციული საკითხები, რომლებიც საშუალებას არ აძლევს CSO-ებს ჩაატარონ EITI-ს პროცესთან დაკავშირებული შეხვედრები; სამართლებრივი ან ადმინისტრაციული ბარიერები, რაც აფერხებს ინფორმაციის გავრცელებას და EITI-ს პროცესზე საჯარო შენიშვნების მიღებას და ა.შ.
- ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც ვარაუდობს რომ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ფუნდამენტური უფლებები შეიზღუდა EITI-ს პროცესის განხორციელებასთან მიმართებაში, მაგალითად, გამოხატვის თავისუფლება და თავისუფლად გადაადგილების უფლება.

### 2.3. ასოციაცია: სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ ერთმანეთს დაუკავშირდნენ და ითანამშრომლონ EITI-ს პროცესთან დაკავშირებით.

EITI-ს საბჭო და სანდოობის შემომწმებლები განიხილავენ საკითხს იმდენად, რამდენადაც:

- სამოქალაქო საზოგადოების MSG წარმომადგენლებს შეუძლიათ მოითხოვონ და არ ეზღუდებათ სხვა CSO-ებში ჩართვა, რომლებიც არ არიან MSG-ს ნაწილი. მათ შეუძლიათ წვლილი შეიტანონ MSG-ს განხილვებში და გაავრცელონ MSG-ს გადაწყვეტილების მიღების შედეგი.
- ფორმალური და არაფორმალური არხები სამოქალაქო საზოგადოების MSG-ს წევრებსა და უფრო ფართო სამოქალაქო საზოგადოების ამომრჩეველთა ჯგუფს შორის არ შეიზღუდა.
- სამოქალაქო საზოგადოების MSG წარმომადგენლებს არ ეზღუდებათ უფრო ფართო სამოქალაქო საზოგადოების დაფარვის სფეროში ჩართვა, მათ შორის MSG-ს წარმომადგენლობისა და EITI-ს პროცესის თაობაზე განხილვებში ჩართვა.

### 2.4. ჩართულობა: სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ სრულად, აქტიურად და ეფექტურად ჩაერთონ EITI პროცესის შემუშავებაში, განხორციელებაში, ზედამხედველობასა და შეფასებაში.

EITI-ს საბჭო და სანდოობის შემომწმებლები განიხილავენ საკითხს იმდენად რამდენადაც:

- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ სრულად შეიტანონ წვლილი EITI-ს პროცესში. მაგალითისთვის აღნიშნული მოიცავს ისეთი წვლილის შეტანისა და ადვოკატირების მტკიცებულებას, რომელიც უკავშირდება MSG-ს მიერ სამუშაო გეგმის ამოცანებისა და საქმიანობის, EITI-ს ანგარიშის პროცესის ფარგლების, EITI-ს ანგარიშების დამტკიცების, ყოველწლიური განვითარების ანგარიშის მეშვეობით EITI-ს პროცესის ყოველწლიურ თვითშეფასების, სანდოობის შემოწმების და სხვა საკითხების თაობაზე MSG-ს მიერ განხორციელებულ მნიშვნელოვან მოთათბირებას. აღნიშნული ასევე მოიცავს იმის მტკიცებულებას, რომ სამოქალაქო საზოგადოება რეგულარულად იღებს მონაწილეობას MSG-ს კრებებზე, MSG-ს სამუშაო ჯგუფებში და სხვა EITI-ს ღონისძიებებში, და რომ CSO-ების მოსაზრებები მიღებულია მხედველობაში და დოკუმენტურად დაფიქსირებული MSG-ს კრების ოქმებში.
- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მათ გააჩნიათ ადეკვატური შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ EITI-ში. აღნიშნული უნდა მოიცავდეს მტკიცებულებას, რომ ტექნიკური, ფინანსური და სხვა შესაძლებლობის ჩანაშობა, რომელიც გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოებაზე განხილულ იქნა და რომ ამ საკითხის გამოსწორების გეგმა შეთანხმდა ან/და შესრულდა, მათ შორის, შესაძლებლობების ზრდასა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.

### 2.5. საჯარო გადაწყვეტილების მიღებაზე წვდომა: სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ თავისუფლად ისაუბრონ გამჭვირვალობასა და ბუნებრივი რესურსების მართვაზე და უზრუნველყონ EITI-ს წვლილი საჯარო დებატებში.

EITI-ს საბჭო და სანდოობის შემომწმებლები განიხილავენ საკითხს იმდენად რამდენადაც:

- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ გამოიყენონ EITI-ს პროცესი საჯარო დებატების ხელშეწყობისათვის, მაგალითად, საჯარო ღონისძიებების, სამუშაო სემინარებისა და კონფერენციების მეშვეობით, რომლებიც გაიმართა სამოქალაქო



საზოგადოების მიერ ან რომელშიც მონაწილეობას იღებდა სამოქალაქო საზოგადოება EITI-ს პროცესისა და შედეგების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნებისათვის.

- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ ბუნებრივი რესურსების მართვის თაობაზე გამართულ ღონისძიებებსა და დებატებში მიიღონ მონაწილეობა. მაგალითისთვის, აღნიშნული მოიცავს ანალიზის ჩატარებას და ადვოკატირებას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ბუნებრივი რესურსები, EITI-ს მონაცემების გამოყენება, მედია საშუალებებთან ჩართულობა, EITI-ს ანგარიშების შედეგების გავრცელების საშუალებების განვითარება და ა.შ.

**2.6. EITI-ს პროცესში ჩართული MSG-ებისა და CSO-ებისგან მიღებული დოკუმენტაცია, ასევე შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისათვის პირდაპირ განეული კონსულტაციების შედეგები, რაც მოიცავს და არ შემოიფარგლება MSG-ს წევრებით, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ზემოხსენებული მტკიცებულებების მოპოვებისას. კონტექსტუალური მიზნებისათვის, EITI საბჭო განიხილავს უფრო ფართე გარემოს, რომელშიც მოქმედებს EITI, მაგალითად ინდიკატორებსა და სხვა ტიპის შეფასებებზე მითითებით, რომლებიც მნიშვნელოვანია 2.1-2.5 პუნქტებში განხილული საკითხებისათვის.**

### 3. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების Ad hoc შეზღუდვები

3.1. Ad hoc განცხადებები და ანგარიშები EITI-ს განმახორციელებელ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებზე დაწესებულ პოტენციურ ან რეალურ შეზღუდვებზე პირველ ეტაპზე უნდა განიხილოს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა. უსაფრთხოების მიზნებისათვის დაინტერესებულ მხარეს შეუძლია აღნიშნული პრობელმა წამოწიეს პირდაპირ ადგილობრივ დონეზე.

3.2. EITI-ს საბჭო შესაძლოა მოწვეულ იქნას მისი სწრაფი პასუხის კომიტეტის მიერ რათა გამოიძიოს კონკრეტული საქმე და განიხილოს EITI-ს პრინციპებისა და დებულებების სავარაუდო დარღვევები. EITI-ს საბჭო მოთხოვნას განიხილავს ფაქტობრივი გარემოებების, EITI-ს პრინციპების დაცვისა და ქვეყნებისადმი თანმიმდევრული მოპყრობის პრინციპის დავის საჭიროების ჭრილში. 8.6.ა დებულების შესაბამისად, “თუ EITI-ს საბჭო მიიჩნევს რომ EITI-ს პრინციპები და დებულებები დაირღვა, მას შეუძლია საერთაშორისო სამდივნოს დაავალოს ინფორმაციის მოძიება აღნიშნულ სიტუაციასთან დაკავშირებით და EITI-ს საბჭოსთვის ანგარიშის წარდგენა”. თუ სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის თაობაზე წამოიჭრა პრეტენზიები, EITI-ს საბჭო შემდეგი საშუალებებით იბრძოლებს იმის დასადგენად, არსებობს თუ არა პირდაპირი კავშირი EITI-ს პროცესთან: (i) საქმის ფაქტობრივი გარემოებების დოკუმენტურად დაფიქსირება; (ii) დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების შეგროვება; და (iii) მე-2 ნაწილში აღნიშნული ტესტის გამოყენება.

3.3. საქმის გარემოებების გათვალისწინებით და იმის მიხედვით თუ რამდენად შესაძლებელია პრეტენზიასა და EITI-ს პროცეს შორის პირდაპირი კავშირის დადგენა, საბჭო განიხილავს შესაბამის პასუხს. მაგალითისთვის, აღნიშნული შესაძლოა გულისხმობდეს თავმჯდომარის ან EITI-ს საბჭოს წერილს შესაბამისი მთავრობისათვის, EITI-ს საბჭოს ან საერთაშორისო სამდივნოს მისიების გაგზავნას ქვეყანაში, დამოუკიდებელი შეფასების განხორციელება, საბჭოს დეკლარაციების გამოცემა, მატერიალური ქმედებების შეთანხმება, რომელიც მოიცავს განხორციელების

ზედამხედველობას, ან ქვეყნის მიერ შესაბამისი დებულებების დაცვის თაობაზე სანდოობის შემოწმების მოთხოვნას. 8.6.ა დებულების შესაბამისად “თუ აშკარაა რომ EITI-ს პრინციპებისა და დებულებების მნიშვნელოვანი ასპექტი დაირღვა განმახორციელებელი ქვეყნის მიერ, EITI-ს საბჭო ქვეყანას შეუჩერებს სტატუსს ან სიიდან ამოიღებს.” თუ საბჭო დაადგენს, რომ ადგილი არ ქონდა დებულების დარღვევას ან რომ არ არსებობს საკმარისი კავშირი EITI-ს პროცესთან იგი გამოიყენებს დისკრეციას რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება EITI-ს პრინციპების დაცვის საჭიროებას და სახელმწიფოებისადმი თანმიმდევრული მოპყრობის პრინციპის დაცვას.

## 6. მონაცემთა ღიაობის პოლიტიკა

### პრეამბულა

1. ეს პოლიტიკა შეიცავს რეკომენდაციებს ღია მონაცემებზე EITI-ს განხორციელებაში. იგი ეფუძნება ეროვნული დონის განხორციელებიდან მომდინარე გაკვეთილებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.<sup>9</sup>
2. EITI-ს პრინციპები აცხადებს, რომ „სამთავრობო შემოსავლების საჯარო გაგება და დანახარჯებმა დროთა განმავლობაში [შესაძლოა] ხელი შეუწყოს საჯარო დებატებს და მდგრადი განვითარების შესაბამისი და რეალისტური ვარიანტებიდან ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას“ (EITI-ს მე-4 პრინციპი). შესაბამისად, EITI-ს სტანდარტი მოითხოვს EITI ანგარიშებს, რომლებიცაა „გასაგები, აქტიურად ნახალისებული, საჯაროდ ხელმისაწვდომი და რომლებიც ხელს უწყობენ საჯარო დებატებს“ (EITI მოთხოვნა 7.1). EITI-ს მონაცემების ხელმისაწვდომობისა და შედარებითობის გაუმჯობესება აუცილებელია ამ მიზნების განსახორციელებლად.

### მონაცემთა ღიაობის პოლიტიკის მიზნები

3. EITI-ს მონაცემთა ღიაობას შეუძლია გაზარდოს გამჭვირვალობა სამთავრობო და ბიზნეს აქტივობების შესახებ, და აამაღლოს ცნობიერება იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება ქვეყნების ბუნებრივი რესურსები და როგორ იბეგრება და იხარჯება მოპოვებითი შემოსავლები, რაც ხელს უწყობს ფულის ყველაზე ეფექტური გამოყენების ნახალისებას.
4. მონაცემთა ღიაობა ნახალისებს ანგარიშვალდებულებასა და კარგ ხელმძღვანელობას, აძლიერებს საჯარო დებატებს და ხელს უწყობს კორუფციასთან ბრძოლას. სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა აძლიერებს ფიზიკურ პირებს, მედიას, სამოქალაქო საზოგადოებასა და ბიზნესს, რათა შეძლონ მიღებული მომსახურებისა და მოსალოდნელი სტანდარტის თაობაზე უფრო ინფორმირებული არჩევანის გაკეთება. მონაცემთა ღიაობა, ასევე, შესაძლოა, ღირებული ინსტრუმენტი იყოს მთავრობისათვის პოლიტიკის შემუშავებისა და სექტორის მართვის გაუმჯობესების თვალსაზრისით.
5. ღია მონაცემებზე ხელმისაწვდომობა და მისი შემდგომში ხელახალი გამოყენება მნიშვნელოვანი ღირებულებაა საზოგადოებისა და ეკონომიკისთვის.

### მონაცემთა ღიაობა EITI-ს განხორციელებაში

6. EITI-ს განმახორციელებელი ქვეყნებისთვის რეკომენდირებულია:

<sup>9</sup> მათ შორის ღია სამთავრობო პარტნიორობა, G8-ის ღია მონაცემთა წესდება და ტექნიკური დანართი, ღია მონაცემთა წესდება (<https://opendatacharter.net>) და ღიაობის განმარტება (<http://opendefinition.org>).

- ა) სამთავრობო სისტემების<sup>10</sup> მიმართვა ავტომატურ მონაცემთა ღიაობისკენ. აღიარებულია, რომ არსებობს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა, კერძოდ, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული, პირადად ამოცნობადი და მგრძობიარე ინფორმაცია, რომელზეც საჭიროა დაკვირვება;
- ბ) უზრუნველყონ მონაცემთა სრული აღწერილი, რათა მომხმარებელს ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია მათი ძლიერი და სუსტი მხარეების, ანალიტიკური შეზღუდვებისა და უსაფრთხოების მოთხოვნების გასაგებად; ასევე იმის გასაგებად თუ როგორ ხდება მონაცემების გადამუშავება;
- გ) გაავრცელონ მონაცემები რაც შეიძლება ადრე, მისცენ მომხმარებლებს საშუალება, გასცენ შეფასება და შემდეგ განაგრძონ ცვლილებების განხორციელება მონაცემების ღიაობის ხარისხის უმაღლესი სტანდარტების უზრუნველსაყოფად;
- დ) გაავრცელონ მონაცემები ღია ლიცენზიით, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, მარტივად მოიპოვოს და ხელახლა გამოიყენოს იგი;
- ე) გაუზიარონ ტექნიკური ექსპერტიზა და გამოცდილება სხვა ქვეყნებს, რათა მაქსიმალურად გაზარდონ მონაცემთა ღიაობის პოტენციალი;
- ვ) იმუშავონ მონაცემთა ღიაობის წიგნიერების მიმართულებით და წაახალისონ ხალხი, მაგალითად, ელექტრონული პროგრამების შემქმნელები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ მონაცემთა ღიაობის ხელშეწყობის სფეროში, რათა მისაწვდომი გახადონ მონაცემთა ღიაობის ღირებულება.
- ვ) უზრუნველყონ მონაცემთა თავსებადობა ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის, მიიღონ EITI-ს საბჭოს მიერ დამტკიცებული მონაცემთა სტანდარტები და EITI-ს სამდივნოს მიერ მოწოდებული დამატებითი მითითებები.
- ზ) შეძლებისდაგვარად გამოიყენონ უნიკალური იდენტიფიკატორები, რათა მონაცემები დაუკავშირონ წლების განმავლობაში წარმოდგენილ ანგარიშებს ან სხვადასხვა წყაროებს.
- თ) იმუშავონ სამთავრობო სისტემებში EITI-სათვის ღია მონაცემების შექმნის ტენდენციის დანერგვის მიმართულებით, რათა უზრუნველყონ დროულობა, მონაცემთა ხარისხი, ხელახალი გამოყენების შესაძლებლობა და ხარჯების ეფექტურობა.
- ი) უზრუნველყონ, რომ მონაცემები იყოს მარცვლოვან, კომპიუტერის მიერ წაკითხვად ფორმატში.

<sup>10</sup> ტერმინი სამთავრობო მონაცემი გამოიყენება მისი ყველაზე ზოგადი მნიშვნელობით. აღნიშნული მიესადაგება ეროვნული, ფედერალური, ადგილობრივი ან საერთაშორისო სამთავრობო ორგანოების ან უფრო ფართო საჯარო სექტორის საკუთრებაში არსებულ მონაცემს.

## ნაწილი II: მმართველობა და მართვა

EITI იდეიდან გარდაიქმნა წესებისა და პროცედურების მქონე სტანდარტად, რომელიც წარმოადგენს პლატფორმას ფართო დებატებისა და რეფორმებისთვის. ასევე განვითარდა EITI-ს ხელმძღვანელობა და მმართველობა. EITI-ს ხელმძღვანელობს არაკომერციული წევრების ასოციაცია ნორვეგიული კანონმდებლობის შესაბამისად. EITI-ს ხელმძღვანელობისთვის საჭირო სამუშაო ჩარჩოს ადგენს EITI-ს წესდება.

EITI აწყობს მსოფლიო კონფერენციას სულ მცირე ყოველ სამ წელში ერთხელ, რათა შეიქმნას საერთაშორისო ფორუმი EITI-ს მონიღეებისათვის და ხელი შეუწყოს EITI-ს მიზნების განხორციელებას. ამ კონფერენციების პარალელურად, ტარდება მცირე სანევრო შეხვედრა სამ საამომრჩევლო ჯგუფთან - ქვეყნებთან (განმახორციელებელ და მხარდამჭერ ქვეყნებთან), კომპანიებთან (მათ შორის ინსტიტუციონალურ ინვესტორებთან) და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან. სამი საამომრჩევლო ჯგუფების ხმები თანაბრად ბალანსირდება. სანევრო შეხვედრის მთავარი ამოცანაა, დანიშნოს EITI-ს საბჭო. საამომრჩევლო ჯგუფები ერთმანეთთან ათანხმებენ საკუთარ ასოციაციის წევრობას და ვის ნომინირებას ისურვებდნენ EITI-ს საბჭოსათვის.

ამ კონფერენციებსა და სანევრო შეხვედრებს შორის EITI-ს საბჭო მიმოიხილავს EITI-ს საქმიანობას ჩვეულებრივი საბჭოს შეხვედრების, საკომიტეტო შეხვედრებისა და საბჭოს ხშირი ცირკულარის ფარგლებში. EITI-ს საბჭოს ჰყავს 21 წევრი, სადაც სხვადასხვა საამომრჩევლო ჯგუფებს აქვთ წარმომადგენლობის უფლებამოსილება.

EITI-ს საერთაშორისო სამდივნო პასუხისმგებელია EITI-ს ასოციაციის ყოველდღიურ განკარგვაზე. EITI-ს განმახორციელებელ ქვეყნებს მიეწოდებათ საკმაო რაოდენობის ტექნიკური მხარდაჭერა. აქედან დიდი ნაწილი მსოფლიო ბანკის მიერ. არსებობს EITI-ს პროცესებისთვის ტექნიკური მხარდაჭერის კიდევ ბევრი სხვა მომწოდებელი.

ეს ნაწილი შეიცავს დოკუმენტებს საერთაშორისო დონეზე EITI-ს ხელმძღვანელობის შესახებ:

- წესდება
- ღიაობის პოლიტიკა, მიღებული 2013 წელს, რომელიც აწესებს, როგორი გამჭვირვალე უნდა იყოს თავად EITI
- EITI-ს საამომრჩევლო ჯგუფების სახელმძღვანელოები, რომლებიც ხელმისაწვდომია ბმულზე [www.eiti.org/about/governance](http://www.eiti.org/about/governance)
- EITI ასოციაციის ქცევის კოდექსი

დამატებითი მხარეები:

განმახორციელებელი და მხარდამჭერი ქვეყნები

კომპანიები და ინვესტორები

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

EITI-ს კონფერენცია

მოიცავს წევრების კრებას (სულ მცირე სამ წელიწადში ერთხელ)

EITI-ს საბჭო

მთავარი გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურა (ხვდებიან წელიწადში დაახლოებით სამჯერ)

საერთაშორისო სამდივნო

(განთავსებულია ოსლოში)



## 7. წესდება

### მუხლი 1. სახელი

1) ასოციაციის საფირმო სახელწოდება არის “The Association for the Extractive Industries Transparency Initiative (EITI)” (შემდგომში მოხსენებული როგორც “EITI-ს ასოციაცია”).

### მუხლი 2. დაფუძნების ისტორია და ამოცანები

1) EITI-ს ასოციაცია არის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის ინიციატივა, რომელიც შექმნილია მთავრობებისა და მათი სტრუქტურების, ნავთობის, გაზის და სამთო კომპანიების, აქტივების მმართველი კომპანიებისა, საპენსიო ფონდების (შემდგომში მოხსენებული როგორც „ინსტიტუციური ინვესტორები“), სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით.

2) EITI-ს ასოციაციის ამოცანას წარმოადგენს EITI-ს პრინციპების და EITI-ს მოთხოვნების საერთაშორისოდ აღიარებულ გამჭვირვალობის სტანდარტებად დაფუძნება ნავთობის, გაზის და სამთო სექტორებში იმის აღიარებით, რომ ბუნებრივი რესურსებისგან ნაწარმოები შემოსავლების გაუმჯობესებულ გამჭვირვალობას შეუძლია შეამციროს კორუფცია და მოპოვებითი მრეწველობიდან მიღებულ შემოსავლებს აქვთ შესაძლებლობა გარდასახონ ეკონომიკები, შეამცირონ სიღარიბე და გააუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები რესურსებით მდიდარი ქვეყნების მთელი მოსახლეობისთვის.

### მუხლი 3. იურიდიული პირი, შეზღუდული პასუხისმგებლობა

1) EITI-ს ასოციაცია არის ნორვეგიის კანონმდებლობის შესაბამისად ორგანიზებული არაკომერციული ასოციაცია (“forening”).

2) EITI-ს ასოციაციის წევრები არ არიან პასუხისმგებელნი, ინდივიდუალურად ან ერთობლივად, EITI-ს ასოციაციის ვალებზე, პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებზე.

### მუხლი 4. ორგანიზაცია

1) EITI-ს ასოციაციის მუდმივი სტრუქტურული ორგანოები:

- i) EITI-ს წევრთა კრება, რომელიც იმართება EITI-ს კონფერენციის ფარგლებში;
- ii) EITI-ს საბჭო, რომელსაც მართავს EITI-ის თავმჯდომარე;
- iii) EITI-ს სამდივნო, რომელსაც მართავს სამდივნოს უფროსი.

2) EITI-ს საბჭო უფლებამოსილია დააფუძნოს კომიტეტები მე-13 მუხლის შესაბამისად.

3) EITI-ს ასოციაციის ორგანიზაცია საქმიანობს გამჭვირვალედ.

### მუხლი 5. წევრობა და შემადგენელი ჯგუფები

1) EITI-ს ასოციაციის წევრი არის სახელმწიფოს, კომპანიის, ორგანიზაციის ან იურიდიული პირის წარმომადგენელი, რომელიც ინიშნება შესაბამისი ჯგუფებისგან 5(2) და 5(3) მუხლების შესაბამისად.

2) წევრები გადანაწილებულნი არიან სამ ჯგუფში:

i) ქვეყნების ჯგუფი, რომელშიც შედის:

ა) განმახორციელებელი ქვეყნები, სახელმწიფოები, რომლებიც კლასიფიცირებულია EITI-ს საბჭოს მიერ როგორც კანდიდატი ან შესაბამისობაში მყოფი ქვეყნები; და

ბ) მხარდაჭერი ქვეყნები, სახელმწიფოები ან სახელმწიფოთა კავშირები, რომლებიც მხარს უჭერენ EITI-ს ასოციაციის ამოცანებს.

ii) კომპანიების ჯგუფი, რომელშიც შედის:

ა) კომპანიები მოპოვებით მრეწველობაში, რომლებმაც აიღეს ვალდებულება EITI-ს ასოციაციის ამოცანების მხარდაჭერის თაობაზე და ამ კომპანიების წარმომადგენელი ასოციაციები; და

ბ) ინსტიტუციური ინვესტორები, რომლებმაც აიღეს EITI-ს ასოციაციის ამოცანების მხარდაჭერის ვალდებულება.

iii) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჯგუფი, რომელიც შედგება არაკომერციული ორგანიზაციებისა და გლობალური სამოქმედო ქსელების ან კოალიციებისგან, რომლებიც მხარს უჭერენ EITI-ს ასოციაციის ამოცანებს.

3) თითოეული ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას EITI-ს ასოციაციის წევრების დანიშვნასთან დაკავშირებით მოქმედი პროცედურების შესახებ. წევრობაზე მოქმედებს შემდეგი შეზღუდვები:

i) ქვეყნების ჯგუფისგან, თითოეული განმახორციელებელი ქვეყნისა და თითოეული მხარდაჭერი ქვეყნის (ან მათი კავშირების) მაქსიმუმ თითო წარმომადგენელი;

ii) კომპანიების ჯგუფისგან, თითოეული კომპანიის და ასოციაციის მაქსიმუმ ერთი წარმომადგენელი და ინსტიტუციური ინვესტორების მაქსიმუმ 5 წარმომადგენელი;

iii) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჯგუფისგან, სამოქალაქო საზოგადოების თითოეული ორგანიზაციის მაქსიმუმ ერთი წარმომადგენელი.

4) ჯგუფი უფლებამოსილია ჩაანაცვლოს მის მიერ დანიშნული წევრები ნებისმიერ დროს. ჯგუფმა უნდა აცნობოს EITI-ს სამდივნოს მისი წევრების შესახებ.

5) EITI-ს საბჭო უფლებამოსილია შეწყვიტოს ნებისმიერი წევრის EITI-ს ასოციაციის წევრობა თუ:

i) წევრი, ან ქვეყანა ან სხვა პირი, რომელსაც წევრი წარმოადგენს, არ ასრულებს წინამდებარე წესდებს; ან

ii) წევრმა, ან ქვეყანამ ან სხვა პირმა, რომელსაც წევრი წარმოადგენს, ისე წარმართა მისი საქმიანობა, რაც მიიჩნევა EITI-ს პრინციპების საწინააღმდეგოდ.

6) EITI-ს საბჭოს მიერ მე-5 მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს ნებისმიერი წევრის მიერ წევრობა კრებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

## მუხლი 6. EITI-ს კონფერენცია

1) EITI-ს კონფერენცია უნდა გაიმართოს სულ მცირე სამ წელიწადში ერთხელ EITI-ს დაინტერესებული მხარეებისთვის სათანადო ფორუმის უზრუნველყოფის მიზნით, რაც წარმოადგენს EITI-ს ასოციაციის ინტერესს, EITI-ს ასოციაციის ამოცანის შესრულებისა და EITI-ს ასოციაციის პოლიტიკისა და სტრატეგიების თაობაზე აზრების გასაცვლელად. EITI-ს თავმჯდომარე მოქმედებს, როგორც კონფერენციის თავმჯდომარე. EITI-ს კონფერენცია წარმოადგენს EITI-ს ასოციაციის არა მმართველობით ორგანოს.

2) EITI-ს წევრებს, EITI-ს საბჭოს და EITI-ს სამდივნოს აქვთ უფლება დაესწრონ ან იყვნენ წარმოდგენილები EITI-ს კონფერენციაზე. EITI-ს სხვა დაინტერესებული მხარეები ასევე უნდა იქნან

მონვეულნი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გონივრული შესაძლებლობების გათვალისწინებით EITI-ს საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

3) EITI-ს კონფერენცია მოიწვევა EITI-ს საბჭოს მიერ EITI-ს ვებ-გვერდის საშუალებით და წევრებისა და ჯგუფებისთვის სულ მცირე 4 კვირით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. წერილობითი შეტყობინება უნდა მოიცავდეს EITI-ს კონფერენციის დღის წესრიგს.

4) EITI-ს კონფერენციამ უნდა:

i) უზრუნველყოს დებატების, ადვოკატირების, განგრძობითი ფონდების მოძიებისა და EITI-ს ახალი დაინტერესებული მხარეების ჩართვისთვის მნიშვნელოვანი და პოპულარული პლატფორმის უზრუნველყოფა;

ii) მიღწეული შედეგების გადახედვა წევრთა ბოლო კრების შემდგომი პერიოდის საქმიანობის ანგარიშის საფუძველზე;

iii) EITI-ს საბჭოსთვის წინადადებების მომზადება წევრთა მომდევნო კრებამდე EITI-ს ასოციაციის მიერ განსახორციელებელ საქმიანობებთან დაკავშირებით;

iv) მაღალი დონის კოორდინაციის, პოლიტიკური ვალდებულებების აღებისა და შესაძლებლობების მობილიზება და შენარჩუნება EITI-ს ასოციაციის ამოცანის მისაღწევად; და

v) არაფორმალური კომუნიკაციის არხის უზრუნველყოფა EITI-ს იმ დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც არ არიან ფორმალურად წარმოდგენილები EITI-ს ასოციაციის მმართველ სტრუქტურებში.

5) 6(4) მუხლში განსაზღვრულ საკითხებზე მოსაზრებები შეიძლება დაფიქსირებულ იქნეს შედეგების შესახებ არა-სავალდებულო განცხადებაში რომელიც უნდა შეთანხმდეს EITI-ს კონფერენციაზე და მიწოდებული იქნას EITI-ს წევრთა კრებისა და EITI-ს საბჭოსთვის. EITI-ს კონფერენციამ უნდა მიმართოს ყველანაირ ზომას რეზოლუციების კონსენსუსით მიღების მიზნით. EITI-ს დაინტერესებული ჯგუფების მოსაზრებების გათვალისწინებით, EITI-ს თავმჯდომარე უფლებამოსილია, გადაწყვიტოს ხმის მიცემის საჭიროების შესახებ. თითოეულ EITI-ს დაინტერესებულ პირს, გარდა EITI-ს საბჭოს და სამდივნოს წევრებისა, აქვს ერთი ხმა. EITI-ს კონფერენციის რეზოლუციები მიიღება დამსწრე და ხმის მიცემის პროცესში მონაწილეთა უბრალო უმრავლესობით.

## მუხლი 7. EITI-ს წევრთა კრება

1) EITI-ს ასოციაციის მმართველი ორგანო არის EITI-ს წევრთა კრება.

2) EITI-ს წევრთა კრება შედგება EITI-ს ასოციაციის წევრებისგან.

3) EITI-ს წევრთა მორიგი კრება უნდა გაიმართოს სულ მცირე სამ წელიწადში ერთხელ EITI-ს კონფერენციის ფარგლებში. EITI-ს წევრთა მორიგი კრება მოწვეული უნდა იყოს EITI-ს საბჭოს მიერ წევრებისთვის სულ მცირე ოთხი კვირით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

4) წევრთა რიგგარეშე კრება შეიძლება მოწვეული იქნას EITI-ს საბჭოს მიერ წევრებისთვის სულ მცირე სამი კვირით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. EITI-ს საბჭომ უნდა უზრუნველყოს რიგგარეშე კრების ჩატარება EITI-ს თავმჯდომარის მიერ წევრთა რიგგარეშე კრების ჩატარების თაობაზე მოთხოვნის მიღებიდან ოთხი კვირის ვადაში.

5) წევრებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ EITI-ის წევრთა რიგგარეშე კრებაში, უნდა აცნობონ ამის თაობაზე EITI-ს სამდივნოს კრების მოსაწვევში მითითებულ ვადაში. წევრი შესაძლოა წარმოდგენილი იქნას EITI-ს წევრების კრებაზე წერილობითი მინდობილობის საფუძველზე. მინდობილობა შეიძლება მოიცავდეს კონკრეტულ მითითებებს ხმის მიცემასთან დაკავშირებით.

6) EITI-ს სამდივნოში წარდგენილი უნდა იქნას სათანადოდ ხელმოწერილი მინდობილობა კრების მოსაწვევში მითითებულ ვადაში.

7) EITI-ს თავმჯდომარე თავმჯდომარეობს EITI-ს წევრთა კრებას.

8) წევრთა კრების ქვორუმისთვის აუცილებელია წევრთა მინიმუმ ნახევარის დასწრება იმ პირობით, რომ კრებას ესწრება თითოეული ჯგუფის მიერ დანიშნული წევრების სულ მცირე ერთი მესამედი.

9) წევრთა კრებამ უნდა გამოიყენოს ყველანაირი ზომა რეზოლუციების კონსენსუსით მისაღებად. თუ ხმის მიცემის პროცედურის ჩატარება აუცილებელია, რეზოლუციები მიიღება კვალიფიცირებული უმრავლესობით, რაც მოითხოვს საკითხის მხარდაჭერას ხმების სულ მცირე ორი მესამედს იმ პირობით, რომ საკითხს მხარს უჭერს თითოეული ჯგუფის მიერ დანიშნული წევრების სულ მცირე ერთი მესამედი. თითოეული ჯგუფის მიერ დანიშნული წევრების ხმების რაოდენობა უნდა უდრიდეს და განისაზღვროს შემდეგი წესით:

i) ქვეყნების ჯგუფის მიერ დანიშნულ თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა; და

ii) კომპანიების ჯგუფის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჯგუფის მიერ დანიშნულ წევრების ხმების რაოდენობა განისაზღვრება ქვეყნების ჯგუფის ხმების საერთო რაოდენობის გაყოფით კომპანიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების წევრების რაოდენობაზე.

iii) EITI-ს თავმჯდომარე აცხადებს თითოეული წევრის ხმების რაოდენობას სხვადასხვა ჯგუფებისგან ხმის მიცემის პროცედურების დაწყებამდე.

## მუხლი 8. EITI-ს წევრთა კრების ფუნქციები

1) EITI-ს წევრთა კრებამ უნდა:

i) დაამტკიცოს საქმიანობის ანგარიში და EITI-ს საბჭოს ანგარიშები და აქტივობების გეგმა;

ii) აირჩიოს EITI-ს საბჭოს წევრები, თითოეული წევრის ჩამნაცვლებელი პირები ჯგუფების წარდგინების გათვალისწინებით;

iii) აირჩიოს EITI-ს თავმჯდომარე EITI-ს საბჭოს წარდგინების საფუძველზე; და

iv) განიხილოს ნებისმიერი სხვა საკითხი წევრის მოთხოვნების შესაბამისად. ასეთი მოთხოვნები წერილობით უნდა იყოს წარდგენილი EITI-ს თავმჯდომარისთვის დროულად კრების მოსაწვევში მოცემული EITI-ს წევრთა კრების დღის წესრიგში გასათვალისწინებლად.

## მუხლი 9. EITI-ს საბჭო

1) EITI-ს ასოციაციის აღმასრულებელი ორგანო არის EITI-ს საბჭო, რომელსაც ირჩევს EITI-ს წევრთა კრება და რომელიც მოქმედებს EITI-ს წევრთა კრების მიერ დადგენილი ინსტრუქციების შესაბამისად;

2) EITI-ს ასოციაციის, როგორც სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციის ბუნებიდან გამომდინარე, EITI-ს საბჭო შედგება შემდეგი წესით დაკომპლექტებული 21 საბჭოს წევრისგან („საბჭოს წევრები“):

i) თავმჯდომარე

ii) 9 საბჭოს წევრი, რომლებიც დანიშნულნი არიან ასოციაციის ქვეყნების ჯგუფის მიერ დანიშნულ წევრებისგან, რომელთაგან მაქსიმუმ 3 საბჭოს წევრი უნდა წარმოადგენდეს მხარდამჭერ ქვეყნებს, ხოლო დანარჩენი - განმახორციელებელ ქვეყნებს. შესაძლებლობის



შემთხვევაში, განმახორციელებელი ქვეყნებიდან სულ მცირე 3 წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისობაში მყოფი ქვეყნებისგან;

iii) საბჭოს 6 წევრი უნდა იყოს EITI-ს ასოციაციის კომპანიების ჯგუფის წარმომადგენელი, რომელთაგან სულ მცირე ერთი უნდა წარმოადგენდეს ინსტიტუციურ ინვესტორებს.

iv) საბჭოს 5 წევრი დანიშნული უნდა იყოს EITI-ს ასოციაციის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჯგუფის მიერ.

3) საბჭოს ყველა წევრის უფლებამოსილება წყდება EITI-ს წევრთა იმ მორიგი კრების დასრულებისთანავე, რომელიც ჩატარდა საბჭოს წევრების დანიშვნის შემდეგ. საბჭოს წევრი შესაძლოა თავიდან იქნას ნომინირებული EITI-ს წევრთა იგივე კრებაზე.

4) ჯგუფებმა შესაძლოა დაასახელონ და EITI-ს წევრთა კრებამ შესაძლოა აირჩიონ ერთი ალტერნატიული, ჩამნაცვლებელი საბჭოს წევრი („ჩამნაცვლებელი წევრი“) თითოეული საბჭოს წევრისთვის, რომელიც დაასახელა ჯგუფმა. ჩამნაცვლებელი წევრი შესაძლოა ასრულებდეს საბჭოს წევრის მოადგილის ფუნქციებს. თუ ასეთი ჩამნაცვლებელი წევრი დანიშნული არ არის, შესაბამისმა ჯგუფმა უნდა დაასახელოს საბჭოს ახალი წევრი და მისი ჩამნაცვლებელი წევრი.

5) თუ საბჭოს წევრი არ ესწრება საბჭოს სხდომას, საბჭოს სხდომაზე დასწრების, განხილვებში მონაწილეობის, ხმის მიცემისა და საბჭოს წევრის ყველა ფუნქციის შესრულების უფლებამოსილება აქვს საბჭოს ჩამნაცვლებელ წევრს.

თუ საბჭოს წევრი არ დაესწრება საბჭოს სამ ზედიზედ სხდომას, საბჭო უფლებამოსილია, შესაბამის ჯგუფთან კონსულტაციების შემდეგ, მოითხოვოს ჯგუფისგან საბჭოს წევრის ჩანაცვლება.

6) EITI-ს საბჭოს წევრობის ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში EITI-ს წევრთა ორ კრებას შორის, ვაკანსია უნდა შეავსოს გათავისუფლებული საბჭოს წევრის ჩამნაცვლებელმა წევრმა, ხოლო შესაბამისმა ჯგუფმა უნდა დაასახელოს ახალი ჩამნაცვლებელი წევრი საბჭოს მიერ ასარჩევად. შესაბამისი ჯგუფი ასევე უფლებამოსილია დაასახელოს საბჭოს ახალი წევრი საბჭოს მიერ ასარჩევად.

7) EITI-ს ასოციაციამ უნდა უზრუნველყოს საბჭოს წევრების პასუხისმგებლობის დაზღვევა. დაზღვევის პირობები უნდა დამტკიცდეს EITI-ს საბჭოს მიერ.

8) EITI-ს საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ საბჭოს წევრმა, რომელიც წარმოადგენს განმახორციელებელ ქვეყანას და რომლის უფლებამოსილება შეჩერებულია, შეინარჩუნოს საბჭოს წევრის სტატუსი უფლებამოსილების შეჩერების განმავლობაში საბჭოს აქტივობებში მონაწილეობის გარეშე. თუ შეჩერება გაგრძელდება ერთ წელზე მეტ ხანს, EITI-ს საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

## **მუხლი 10. EITI-ს დამკვირვებლები**

1) სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, როგორცაა მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა დაინტერესებული მხარეები, მონვეულნი უნდა იქნან EITI-ს საბჭოს მიერ EITI-ს საბჭოს სხდომებზე და წევრთა კრებებზე დასასწრებად დამკვირვებლების სტატუსით, როდესაც ასეთი მონვევის უზრუნველყოფა შესაძლებელია. დამკვირვებლებს არ აქვთ ხმის უფლება, მაგრამ შესაძლოა მიეცეთ საშუალება, გამოხატონ თავიანთი პოზიცია კონკრეტულ საკითხებზე. EITI-ს საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ზოგიერთი საკითხის დამკვირვებლების მონაწილეობის გარეშე განხილვასთან დაკავშირებით.

## **მუხლი 11. EITI-ს თავმჯდომარე**

1) EITI-ს თავმჯდომარე არჩეული უნდა იქნას EITI-ს წევრთა მორიგ სხდომაზე. EITI-ს საბჭომ უნდა, EITI-ს წევრთა კრების ჩატარებამდე, წარადგინოს EITI-ს თავმჯდომარის კანდიდატურა EITI-ს წევრთა მომდევნო კრებამდე არსებული პერიოდისთვის. EITI-ს თავმჯდომარის უფლებამოსილების მხოლოდ ერთხელ გაგრძელება შესაძლებელია.

2) EITI-ს თავმჯდომარემ უნდა:

- i) იმოქმედოს როგორც EITI-ს წევრთა კრების თავმჯდომარემ;
- ii) იმოქმედოს როგორც EITI-ს საბჭოს სხდომების თავმჯდომარემ;
- iii) წარუდგინოს EITI-ს კონფერენციას და EITI-ს წევრთა კრებას EITI-ს საბჭოს ანგარიში;
- iv) წარმოადგინოს EITI-ს საბჭო ორგანიზაციის გარე ურთიერთობებში;
- v) გააკონტროლოს EITI-ს სამდივნო EITI-ს საბჭოს რეზოლუციების განხორციელების პროცესში; და
- vi) იზრუნოს EITI-ს დაინტერესებულ მხარეთა შორის კოლაბორაციული ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის.

3) თუ EITI-ს თავმჯდომარეს არ აქვს საბჭოს სხდომის ხელმძღვანელობის შესაძლებლობა, საბჭოს წევრები უფლებამოსილი არიან საბჭოს რომელიმე წევრი დანიშნონ შესაბამისი სხდომის თავმჯდომარედ.

## მუხლი 12. EITI-ს საბჭოს ფუნქციები

1) EITI-ს საბჭომ უნდა იმოქმედოს EITI-ს ასოციაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. EITI-ს საბჭომ უნდა განახორციელოს EITI-ს ასოციაციის აღმასრულებელი უფლებამოსილებები EITI-ს წევრთა კრების რეზოლუციების გათვალისწინებით შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- i) EITI-ს ასოციაციაზე მოქმედი ზოგადი და კონკრეტული პოლიტიკური საკითხების განხილვა;
- ii) EITI-ს ასოციაციის სამუშაო გეგმისა და ბიუჯეტის შეთანხმება;
- iii) EITI-ს კონფერენციებისა და EITI-ს წევრთა კრებების ორგანიზების საკითხების შეთანხმება;
- iv) EITI-ს თავმჯდომარის მეშვეობით EITI-ს კონფერენციაზე საქმიანობის ანგარიშისა და საქმიანობის გეგმის წარდგენა და EITI-ს წევრთა კრებისგან ამ დოკუმენტებზე თანხმობის მოპოვება;
- v) EITI-ს თავმჯდომარის მეშვეობით წლიური შედეგებისა და EITI-ს წევრთა ბოლო კრების შემდეგ საანგარიშგებო პერიოდებისთვის აუდიტორული დასკვნების წარდგენა;
- vi) სამდივნოს თავმჯდომარის დანიშვნა;
- vii) EITI-ს სამდივნოს საქმიანობის ზედამხედველობა და მიმართულებების მიცემა (EITI-ს თავმჯდომარის მეშვეობით);
- viii) EITI-ს ასოციაციის, როგორც სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციის ხასიათის შენარჩუნება და ამ ბუნების სრულად ასახვა EITI-ს ასოციაციის ყველა დონეზე, მათ შორის მის კომიტეტებში;
- ix) საბჭოს პროცედურების დამტკიცება სანდოობის შემოწმების პროცესის, მათ შორის, საჩივრების განხილვის, დავების გადაწყვეტის, ქვეყნის ასოციაციის წევრობისგან მოხსნის და სააპელაციო პროცედურების შესახებ;
- x) უფრო დეტალური პროცედურებისა და წესების მიღება EITI-ს ასოციაციის მართვისა და საქმიანობისთვის მათ შორის, ქვეყნების სამუშაო გეგმების და კომპანიების სამუშაო გეგმების, სანდოობის შემოწმების პროცესების, ფონდების მართვის, პროექტებისთვის, პროდუქციისა და

მომსახურებისთვის გადახდების, აუდიტისა, ანგარიშგებისა და პროექტების დამტკიცების შესახებ;

xi) EITI-ს თავმჯდომარის კანდიდატურის შეთავაზება EITI-ს წევრთა თითოეულ მორიგ კრებაზე; და

xii) ქვეყნის კოდექსის მიღება.

### **მუხლი 13/ EITI-ს საბჭოს კომიტეტები**

1) EITI-ს საბჭო უფლებამოსილია, შექმნას კომიტეტები კონკრეტული საკითხების უფრო დეტალურად დასამუშავებლად. ასეთი კომიტეტი უნდა შედგებოდეს ორი ან ორზე მეტი საბჭოს წევრის ან მათი ჩამნაცვლებელი წევრებისგან და კომიტეტის შექმნა, გონივრულობის ფარგლებში, უნდა ითვალისწინებდეს EITI-ს ასოციაციის, როგორც სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციის ბუნებას. კომიტეტების საქმიანობის წესები აღწერილი უნდა იყოს სათანადო ოქმებში.

### **მუხლი 14. EITI-ს საბჭოს საქმიანობა და პროცედურები**

1) EITI-ს საბჭო უნდა შეიკრიბოს სულ მცირე წელიწადში ორჯერ. თუ გარემოებები მოითხოვს, EITI-ს საბჭოს კრება შეიძლება გაიმართოს სატელეფონო კონფერენციის საშუალებით. EITI-ს საბჭოს სულ მცირე ერთი კრება წლის მანძილზე ჩატარებული უნდა იქნას EITI-ს საბჭოს წევრების ფიზიკური დასწრებით.

2) საბჭოს სხდომა უნდა გაიმართოს EITI-ს თავმჯდომარის მიერ სულ მცირე 14 დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. შეტყობინების უფრო მოკლე ვადის შემთხვევაში, სხდომის სათანადოდ მოწვევა უნდა დაადასტუროს ყველა წევრმა წერილობითი თანხმობით.

3) საბჭოს წევრებმა უნდა მიმართონ ყველანაირ ზომას გადაწყვეტილებების კონსენსუსით მიღების მიზნით. საბჭოს წევრების მოსაზრებების გათვალისწინებით, EITI-ს თავმჯდომარემ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება კენჭისყრის საჭიროების შესახებ. საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის მიცემა შესაძლოა განხორციელდეს წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

4) დაუშვებელია საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილების მიღება გადაწყვეტილების მიღების მომენტში ქვორუმის არ არსებობის შემთხვევაში. საბჭოს სხდომის უფლებამოსილებისთვის საჭიროა სულ მცირე წევრთა ორი მესამედის მონაწილეობა იმ პირობით, რომ საბჭოს ქვეყნების ჯგუფის მიერ დანიშნული სულ მცირე ორი წევრი (ერთი განმახორციელებელი ქვეყნიდან და ერთი მხარდამჭერი ქვეყნიდან), ერთი წევრი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჯგუფისგან და ერთი წევრი კომპანიების ჯგუფისგან იღებს კრებაში მონაწილეობას.

5) თუ ხმის მიცემა საჭიროა, გადაწყვეტილებები მიიღება კვალიფიციური უმრავლესობით, რაც გულისხმობს 13 ხმის გადაწყვეტილების სასარგებლოდ მიცემას იმ პირობით, რომ გადაწყვეტილებას მხარს უჭერს საბჭოს წევრთა ხმების სულ მცირე ერთი მესამედი თითოეული ჯგუფისგან, მათ შორის განმახორციელებელი ქვეყნების ქვე-ჯგუფის ერთი მესამედი.

6) საბჭოს წევრმა არ უნდა დაუჭიროს მხარი იმ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას, რომელშიც მას პირდაპირი ან პირადი ინტერესი აქვს ან თუ არსებობს სხვა კონკრეტული გარემოებები, რამაც შესაძლოა ეჭვი შეუქმნას მის მიუკერძოებლობას. საბჭოს წევრმა უნდა განაცხადოს ასეთი ინტერესების შესახებ EITI-ს საბჭოს წინაშე წევრის მიერ ასეთი ინფორმაციის მიღების შემდგომ შეძლებისდაგვარად დაყოვნების გარეშე და აღნიშნული უნდა აღირიცხოს საბჭოს ოქმებში. საბჭოს წევრი არ უნდა იქნას გათვალისწინებული ქვორუმში თუ გადაწყვეტილება მიღებულია საკითხზე, რომელთან დაკავშირებითაც ხმის მიცემის უფლება საბჭოს წევრს არ აქვს. ეს არ უშლის საბჭოს ჩამნაცვლებელ წევრს ხმის მიცემაში იგივე საკითხთან დაკავშირებით.

7) EITI-ს საბჭო უფლებამოსილია, განსაზღვროს საბჭოს სხდომების გარეთ გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები. საბჭოს სხდომების გარეთ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია ასეთი პროცედურების დაცვით, უნდა აღირიცხოს საბჭოს იმ სხდომის ოქმში, რომელიც გაიმართება ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

8) EITI-ს ასოციაციის მესამე პირებთან წარმომადგენლობას ახორციელებს საბჭო ყველა წევრის ერთობლივი ხელმოწერით. EITI-ს საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს, რომ მხოლოდ თავმჯდომარეს ან ორ ან რამდენიმე საბჭოს წევრს აქვს ხელმოწერის უფლებამოსილება, რომელთაგან რომელიმე ორი პირის ხელმოწერა საკმარისია.

### **მუხლი 15. EITI-ს სამდივნო**

1) EITI-ს სამდივნო (“სამდივნო”) შედგება სამდივნოს თავმჯდომარის და სხვა აუცილებელი პერსონალისგან. სამდივნოს წევრები შესაძლებელია დაქირავებული იყვნენ პირდაპირ ან მივლინებული EITI-ს წევრების მიერ.

2) სამდივნო პასუხისმგებელია EITI-ს ასოციაციის ყოველდღიური საქმიანობის მართვაზე EITI-ს თავმჯდომარის მეშვეობით მოქმედი EITI-ს საბჭოს მიმართულებების შესაბამისად.

3) სამდივნო ვალდებულია აწარმოოს წევრების განახლებული სია.

4) სამდივნომ უნდა შეინახოს წინამდებარე წესდების და მისი ყველა ცვლილების დოკუმენტები.

5) სამდივნომ უნდა შეინახოს EITI-ს საბჭოს სხდომის, წევრთა კრების და EITI-ს კონფერენციის შეხვედრების ოქმები ოქმების წიგნში. ყველა ეს ოქმი უნდა გამოქვეყნდეს EITI-ს ვებ-გვერდზე. ოქმებში მოცემული უნდა იყოს დამსწრე პირთა სახელები, მიღებული გადაწყვეტილებები და საჭიროების შემთხვევაში, გადაწყვეტილებების მიღების მიზეზები

### **მუხლი 16. EITI-ს სამდივნოს თავმჯდომარე**

1) სამდივნოს ხელმძღვანელობს სრულ განაკვეთზე მომუშავე სამდივნოს თავმჯდომარე, რომელიც მართავს EITI-ს ასოციაციის ყოველდღიურ საქმიანობას, მათ შორის, საჭირო პერსონალის შერჩევა, EITI-ს ასოციაციის განვითარების ზედამხედველობა და EITI-ს საბჭოს მხარდაჭერა. სამდივნოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია EITI-ს საბჭოს წინაშე EITI-ს თავმჯდომარის მეშვეობით და პასუხისმგებელია სამდივნოს საქმიანობაზე.

2) სამდივნოს თავმჯდომარე, ან მის მიერ სამდივნოდან დანიშნული პირი, მოქმედებს როგორც EITI-ს საბჭოს სხდომების, EITI-ს წევრთა კრებების და EITI-ს კონფერენციების მდივანი.

### **მუხლი 17. დაფინანსება**

1) EITI-ს ასოციაცია არის არაკომერციული ასოციაცია. მისი სახსრები შედგება EITI-ს წევრების შემოწირულობებისა და ორმხრივი და მრავალმხრივი დონორების, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების, სხვა სააგენტოების, ორგანიზაციებისა და პირებისგან მიღებული გრანტებისგან.

2) EITI-ს ასოციაცია უფლებამოსილია, მოქმედებდეს ნებაყოფლობითი არაფულადი შეწირულობის საფუძველზე.

### **მუხლი 18. EITI-ს ანგარიშები, ფონდის მართვა და გადახდები**

1) EITI-ს ასოციაცია ფლობს ცალკე საბანკო ანგარიშს საკუთარ სახელზე, „EITI-ს საერთაშორისო მენეჯმენტის ანგარიში“. EITI-ს საერთაშორისო მენეჯმენტის ანგარიში შეიძლება გამოყენებული იქნას ნებისმიერი იმ საქმიანობისთვის, რაც ექცევა EITI-ს ასოციაციის ამოცანებში და EITI-ს საბჭოს



მიერ დამტკიცებულ სამუშაო გეგმებში. სახსრები შესაძლოა გამოყენებული იქნას ადმინისტრაციული და მმართველობითი ხარჯებისთვის, კონკრეტულ ქვეყნებთან დაკავშირებული აქტივობებისა და რამდენიმე ქვეყნის ერთობლივ აქტივობებთან დაკავშირებით.

2) EITI-ს საბჭომ უნდა დანიშნოს გარე, დამოუკიდებელი აუდიტორი EITI-ს საერთაშორისო მენეჯმენტის ანგარიშის წლიური აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად და წერილობითი აუდიტის დასკვნის EITI-ს საბჭოსთვის წარსადგენად.

EITI-ს საბჭო ვალდებულია, განავითაროს ანგარიშგებისა და აუდიტის პირობები EITI-ს საერთაშორისო მენეჯმენტის ანგარიშთან დაკავშირებით, რომელიც უნდა განისაზღვროს EITI-ს ასოციაციის დამატებით საოპერაციო წესებსა და პროცედურებში.

### **მუხლი 19. ცვლილებები**

1) წინამდებარე წესდება შეიძლება შეიცვალოს EITI-ს წევრთა კრების მიერ მე-7 მუხლით დადგენილი პროცედურების შესაბამისად დამსწრე წევრთა სულ მცირე 2/3-ის თანხმობით.

ცვლილებების შესახებ წინადადების კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით ყველა EITI-ს წევრისთვის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე ოთხი კვირით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

### **მუხლი 20. გადახედვა**

1) EITI-ს ასოციაციის მმართველობითი საკითხების გადახედვა უნდა განხორციელდეს EITI-ს საბჭოს მიერ ასოციაციის დაფუძნებიდან ორი წლის განმავლობაში.

### **მუხლი 21 გამოსვლა და დაშლა**

1) თითოეული წევრი უფლებამოსილია გამოვიდეს EITI-ს ასოციაციისგან ნებისმიერ დროს. ასეთი გამოსვლა ძალაში შედის გამოსვლის შესახებ წერილობითი შეტყობინების სამდივნოს თავმჯდომარის მიერ მიღების მომენტიდან.

2) EITI-ს ასოციაცია შეიძლება დაიშალოს წევრთა კრების გადაწყვეტილებით მე-8 მუხლის დებულებების შესაბამისად. დაშლასთან დაკავშირებით წინადადება წერილობით უნდა ეცნობოს ყველა EITI-ს წევრს ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე ოთხი კვირით ადრე.

3) დაშლის შემთხვევაში, EITI-ს ასოციაციის აქტივები გამოყენებული უნდა იქნას EITI-ს ასოციაციის ამოცანების მსგავსი საქმიანობისთვის EITI-ს საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც ექვემდებარება დამტკიცებას EITI-ს წევრთა კრების მიერ.

### **მუხლი 22. ძალაში შესვლა**

1) წინამდებარე წესდება ძალაში შედის EITI-ს ასოციაციის დაფუძნების მომენტიდან.

დანართი A. EITI-ს პრინციპები

წინამდებარე დოკუმენტის პირველი ნაწილის შესაბამისად.

დანართი B. EITI-ს სახელის და ლოგოს გამოყენება

EITI-ს სახელი და ლოგო წარმოადგენს EITI-ს საკუთრებას. ზოგადი წესის თანახმად, EITI-ს სახელის ე. ი. „EITI“ ან „მომპოვებელი ინდუსტრიების გამჭვირვალობის ინიციატივა“, პირდაპირ ან მოდიფიკაციების, ასევე, ლოგოს ან ადგილობრივი დერივატივების გამოყენება წახალისებულია და დაშვებულია <http://www.eiti.org/about/logopolicy>-ზე განთავსებული წესების მიხედვით.

## 8. EITI-ს გამჭვირვალობის პოლიტიკა

### 1. EITI-ს დოკუმენტები არის საჯარო გარდა ქვემოთ განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. გასაჯაროებას არ ექვემდებარება EITI-სთვის გადაცემული საოპერაციო ან/და ბიზნესთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომელთა საიდუმლოდ დაცვა გამართლებულია **კონკურენციის დაცვის** მიზეზებით იმ პირისთვის, რომელსაც ეს ინფორმაცია შეეხება.

მაგალითად, ბიზნეს საიდუმლო როგორც წესი არ დაექვემდებარება გასაჯაროებას, რადგანაც მას აქვს კომპანიის კონკურენციულ მდგომარეობაზე გავლენის მოხდენის პოტენციალი.

- ### 3. დოკუმენტები, რომლებიც ასაჯაროებენ **მესამე პირების მიერ მონოდებულ ინფორმაციას** არ ექვემდებარება გამოქვეყნებას თუ გამოქვეყნების შედეგად **სავარაუდოა ამ მესამე პირის ლეგიტიმური ინტერესების შელახვა.**

მაგალითად, დოკუმენტებზე წვდომა არ არის ნებადართული თუ ამან შესაძლოა გამოიწვიოს მესამე პირის ან/და მისი ოჯახის წევრის ან/და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული პირისთვის საფრთხის შექმნა. ასევე, პირადი მონაცემების დაცვა წარმოადგენს ლეგიტიმურ ინტერესს და ექვემდებარება გამონაკლისს საჯაროობის წესისგან.

- ### 4. EITI-ს შიდა სამუშაო დოკუმენტები არ ექვემდებარება საჯაროობას.

მაგალითად, დოკუმენტები, რომლებიც წარდგენილია საერთაშორისო სამდივნოს მიერ EITI-ს საბჭოსა და მისი კომიტეტებისთვის როგორც წესი მიიჩნევა შიდა დოკუმენტაციად და არ ექვემდებარება საჯაროობას. ეს გამონაკლისი მოქმედებს თუ საერთაშორისო სამდივნომ, საკითხის საბჭოსთვის მომზადების პროცესში, ჩაატარა ან მოიპოვა ანალიზი ან ანგარიში ან მსგავსი დოკუმენტი გარე წყაროსგან. განსხვავებით ასეთი შემთხვევებისა, EITI-ს საბჭოს სხდომების ოქმები, ასევე, კომიტეტების და სამუშაო ჯგუფების ოქმები არ წარმოადგენს შიდა დოკუმენტაციას. EITI-ს კოლეგებს შორის ელექტრონული კომუნიკაცია როგორც წესი მიიჩნევა შიდა სამუშაო დოკუმენტებად.

- ### 5. პირადი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება EITI-ს პერსონალს არ ექვემდებარება საჯაროობას.

მაგალითად, სამსახურში აყვანის ან გათავისუფლების დროს გაკეთებული შეფასებების შესახებ დოკუმენტაცია ან/და დოკუმენტები სამუშაოს შესრულების შეფასებასთან დაკავშირებით ან/და პერსონალური ინფორმაცია, მაგალითად პერსონალის ჯანმრთელობის შესახებ არ ექვემდებარება საჯაროობას. სხვა მხრივ, ყველა კონტრაქტი, ხელფასი, კომპენსაცია და ხარჯი წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას.

## 9. EITI-ს სახელმძღვანელო ჯგუფების შესახებ

საერთაშორისო მრჩეველთა ჯგუფის ანგარიშის მიხედვით, რომელიც მიღებულია ოსლოს კონფერენციაზე 2006 წელს, რეკომენდირებულია, რომ თითოეული ჯგუფი შეთანხმდეს მათი საბჭოში წარმომადგენლობის წესზე. ეს მოითხოვს თითოეული ჯგუფისგან (i) წარმომადგენლების შერჩევასთან და (ii) შერჩევის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით მოქმედი წესების დადგენას.

ჯგუფები განსაზღვრულია EITI-ს წესდების შესაბამისად, რომელიც ასევე განსაზღვრავს ჯგუფის ასოციაციაში წევრობის სტატუსს და EITI-ს საბჭოში კუთვნილი ადგილების რაოდენობას. EITI-ს ზოგიერთი ჯგუფი არაფორმალურად არის დაყოფილი ქვე-ჯგუფებად.

ჯგუფებისა და ქვე-ჯგუფების შესახებ განახლებული სახელმძღვანელო განთავსებულია EITI-ს ვებ-გვერდზე [www.eiti.org/about/governance](http://www.eiti.org/about/governance).

## 10. EITI-ს ასოციაციის ქცევის კოდექსი

### 1. მოქმედების სფერო

EITI-ს საბჭოს წევრები, მათი ჩამნაცვლებელი წევრები, EITI-ს ასოციაციის წევრები, სამდივნოს თანამშრომლები (ადგილობრივი და საერთაშორისო) და სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების წევრები (შემდგომში მოხსენებული როგორც „EITI-სთან დაკავშირებული პირები“) ვალდებული არიან დაიცვან წინამდებარე ქცევის კოდექსი.

### 2. ქცევა, პატიოსნება, ღირებულებები

EITI-სთან დაკავშირებული პირები ვალდებული არიან იმოქმედონ პატიოსნებისა და ეთიკის ყველაზე მაღალი სტანდარტით. მათი პირადი და პროფესიონალური ქცევა ყოველთვის უნდა განაპირობებდეს EITI-სთან დაკავშირებული პირის სტატუსის პატივისცემას და ნდობას, როგორც ასოციაციის, რომელიც მხარს უჭერს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საერთაშორისო სტანდარტს და მათი ქცევა ხელს უნდა უწყობდეს EITI-ს სათანადო მართვას. EITI-სთან დაკავშირებული პირი უნდა მოქმედებდეს მაგალითების საფუძველზე და უნდა წარმოდგენდეს EITI-ს ინტერესებსა და მისიას კეთილსინდისიერად და პატიოსნად, სათანადო სიფრთხილითა და გონივრული კომპეტენციით ისეთი ფორმით, რაც უზრუნველყოფს მათ პატიოსნებასა და EITI-ს ღირსებებში საზოგადოების რწმენის გაძლიერებას და დაცვას და EITI-სთან მათი აფილირების სათანადო ხარისხს.

### 3. შესაბამისობა

EITI-სთან დაკავშირებულმა პირმა EITI-სთან მისი მოვალეობები უნდა შეასრულოს მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის და რეგულაციების და EITI-ს წესების, ინტერესებისა და ამოცანების დაცვით.

### 4. სხვათა პატივისცემა

EITI-სთან დაკავშირებული პირი პატივს სცემს ღირსებას, EITI-სთან დაკავშირებულ საჭიროებებსა და სხვათა სიცოცხლეს და EITI-სთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების პროცესში

კოლეგებთან, EITI-ს სხვა ორგანოების წევრებთან, პერსონალთან, საზოგადოებასთან და ნებისმიერ პირთან ურთიერთობისას მოქმედებს სათანადო უფლებამოსილებით და გონივრული განსჯით.

## 5. პროფესიონალიზმი

EITI-სთან დაკავშირებული პირი ვალდებულია შეასრულოს მასზე დაკავშირებული მოვალეობები პროფესიონალურად და დროულად და გამოიყენოს მისი საუკეთესო შესაძლებლობები პროფესიული განვითარების აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად.

## 6. დისკრიმინაცია

EITI-სთან დაკავშირებული პირი არ უნდა ჩაერთოს და ხელი არ უნდა შეუწყოს დისკრიმინაციულ ან შემაჯიწროებელ ქცევას ნებისმიერი იმ პირის მიმართ, რომელთანაც მას შეხება ექნება EITI-ს მიმართ ნაკისრი მოვალეობების შესრულების პროცესში.

## 7. კონფიდენციალურობა

EITI-სთან დაკავშირებულმა პირმა არ უნდა გამოიყენოს მის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებულ ინფორმაცია, რომელიც თავისთავად არ არის საჯარო, ნებისმიერი ფორმით გარდა მისი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისა. EITI-სთან დაკავშირებული პირი ამ ვალდებულებით შებოჭილია უფლებამოსილების შეწყვეტიდან ორი წლის განმავლობაში.

## 8. EITI-ს რესურსების ხარჯვა და EITI-ს ქონებით სარგებლობა

EITI-სთან დაკავშირებული პირი ვალდებულია დაიცვას EITI-ს ქონება და პასუხისმგებელია EITI-სთვის განკუთვნილი სახსრების გამოყენებაზე. EITI-სთან დაკავშირებული პირს ეკრძალება EITI-ს ქონების ან რესურსების არა სათანადო გამოყენება და ვალდებულია ყოველთვის უზრუნველყოს EITI-ს საკუთრების დაცვა და არა უფლებამოსილ პირთა EITI-ს საკუთრებაზე წვდომის აღკვეთა. EITI-სთან დაკავშირებულმა პირმა მხოლოდ მგზავრობის, საოპერაციო და სხვა ხარჯების ის რეალურად განეული ხარჯები უნდა წარუდგინოს EITI-ს ასანაზღაურებლად, რაც დაკავშირებულია მისი, როგორც EITI-სთან დაკავშირებული პირის მოვალეობების შესრულებასთან. EITI-სთან დაკავშირებული პირი უფლებამოსილია მიანოდოს EITI-ს სასყიდლით პროდუქცია და მომსახურება როგორც მიმწოდებელმა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიიღებს EITI-ს საბჭოსგან ან EITI-ს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისგან შემდგარი გუნდისგან წინასწარ თანხმობას.

## 9. ინტერესთა კონფლიქტი და თანამდებობის ბოროტად გამოყენება

EITI-სთან დაკავშირებული პირები ყოველთვის ვალდებულნი არიან იმოქმედონ EITI-ს საუკეთესო ინტერესების და არა პირადი სარგებლის ან ფინანსური გამდიდრების ინტერესებიდან გამომდინარე. EITI-სთან დაკავშირებულმა პირებმა უნდა აირიდონ პირადი ინტერესების კონფლიქტი. ამ კოდექსის მიზნებისთვის, ინტერესთა კონფლიქტად მიჩნეულია სიტუაცია ან გარემოება, რომელშიც EITI-სთან დაკავშირებული პირის ინტერესი გავლენას ახდენს ან შეიძლება მოახდინოს გავლენა EITI-სთან მისი ოფიციალური მოვალეობების ობიექტურად და მიუკერძოებლად შესრულებაზე. ამ კუთხით, პირადი ინტერესი მოიცავს ნებისმიერ პირად უპირატესობას ან სარგებელს ოჯახის წევრების ან ნაცნობებისთვის. EITI-სთან დაკავშირებული პირი, რომელიც აღმოჩნდება ინტერესთა კონფლიქტის გარემოში, ვალდებულია, უარი განაცხადოს სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებაზე და აცნობოს EITI-ს საბჭოს ან სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისგან შემდგარ ჯგუფს ასეთი გადაწყვეტილების შესახებ. EITI-ს საბჭოს



წევრებისთვის მოქმედებს EITI-ს წესდების 5.6 მუხლით დადგენილი წესები. უფრო კონკრეტულად, EITI-სთან დაკავშირებული პირებმა უნდა იმოქმედონ შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით:

- არ დაუშვას საკუთარი პირადი ინტერესის ან მესამე პირთა ინტერესის EITI-ს ინტერესებზე მაღლა დაყენება ან ასეთი შთაბეჭდილების შექმნა; შემთხვევითი პირადი ან მესამე მხარის სარგებლის მიღების შემთხვევაში, რაც შესაძლოა გამომდინარეობდეს EITI-სთან დაკავშირებული აქტივობებისგან, ასეთი სარგებელი მხოლოდ EITI-ს უპირატესი სარგებლის თანხმობის სარგებელი უნდა იყოს. განსაზღვრული, გადახდილი ან მიღებული პერ დიემები დაფუძნებული უნდა იყოს გონივრულ რეალურ ხარჯებზე და კარგ საერთაშორისო პრაქტიკაზე.<sup>11</sup>
- არ დაუშვას მინიჭებული უფლებამოსილების გადამეტება; არ გამოიყენოს EITI-ს თანამდებობა ბოროტად EITI-ს ასოციაციის ან EITI-ს პერსონალის, მომსახურების, აღჭურვილობის, რესურსების არა სათანადო გამოყენებით პირადი ან მესამე მხარის სარგებლის ან სიამოვნებისთვის; EITI-სთან დაკავშირებულმა პირებმა არ უნდა გააკეთონ წარმომადგენლობა მესამე პირებთან თავიანთი უფლებამოსილების იმგვარად, რაც სცილდება უფლებამოსილების ფარგლებს.
- არ უნდა ჩაერთონ გარე პირად აქტივობებში, რამაც შესაძლოა პირდაპირ ან არაპირდაპირ უარყოფითი გავლენა იქონიოს EITI-ზე.

## 10. საჩუქრები, მოგზაურობები და გართობა

EITI-სთან დაკავშირებულმა პირებმა არ უნდა მოითხოვონ ან მიიღონ საჩუქრები, უფასო მოგზაურობები, ჰონორარები, პირადი ქონება ან სხვა ღირებულების მქონე ნივთი ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირისგან, რაც განკუთვნილია ან შეიძლება იქნას გონივრულად გაგებული, როგორც პირდაპირი ან არაპირდაპირი ნახალისება დამსაჩუქრებლის განსაკუთრებული მოპყრობისთვის EITI-სთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საჩუქრების, უფასო მოგზაურობების ან სხვა კომპენსაციის ნებისმიერი მიღება ან შეთავაზება რომლის ღირებულებაც 100 აშშ დოლარს სცდება და პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება EITI-სთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას გაცხადებული უნდა იყოს EITI-ს საბჭოს ან EITI-ს სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფებისგან შემდგარი გუნდის წინაშე (საერთაშორისო ან ეროვნული სამდივნოების საშუალებით). არა სათანადოდ მიჩნეული ნებისმიერი საჩუქრის მიღება ან შეთავაზება უარყოფილი უნდა იყოს. საჩუქრის არა სათანადოობასთან დაკავშირებით ეჭვის შემთხვევაში, საკითხი უნდა შეთანხმდეს EITI-ს საბჭოსთან ან სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფებისგან შემდგარ გუნდთან. შეთავაზების უარყოფის გაუმართლებლობის შემთხვევაში, მაგალითად დამსაჩუქრებლის შერცხვენის მიზეზით, საჩუქარი უნდა გადაეცეს EITI-ს სამდივნოს ან სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისგან შემდგარ გუნდს.

## 11. განხორციელება


EITI-ს საბჭო, EITI-ს შესაბამისი სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისგან შემდგარი ჯგუფები, საერთაშორისო ან ადგილობრივი სამდივნოები პასუხისმგებელი არიან EITI-სთან დაკავშირებული პირების მიერ ამ ქვეყნის კოდექსის გაცნობასა და საჭიროების შემთხვევაში მისი განხორციელება ან

<sup>11</sup> გონივრული რეალური ხარჯის და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის განსაზღვრის დროს, დაინტერესებული მხარისთვის რეკომენდირებულია საერთაშორისო სამდივნოს პრაქტიკის გაზიარება. როდესაც სამდივნო ადგენს პერ დიემების ოდენობას (არა საკუთარ პერსონალთან მიმართებაში) ის ხშირად იზიარებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის უცხოური პერ დიემების [განაკვეთებს](#). პერ დიემების ოდენობის განსაზღვრის დროს დაცული უნდა იქნას ეროვნული კანონმდებლობის და რეგულაციების მოთხოვნები.

განმარტების თაობაზე რჩევის ან ტრეინინგის მიწოდებაზე. კოდექსის გაცნობაზე პასუხისმგებელმა პირებმა, მათ შორის EITI-ს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებმა, ყოველ წლიურად უნდა დაადასტურონ, რომ EITI-სთან დაკავშირებული პირები იცნობენ ამ კოდექსს და მიაწოდონ საბჭოს განხორციელების ანგარიში საერთაშორისო სამდივნოს მეშვეობით.

## 12. ანგარიშგება

EITI-სთან დაკავშირებული პირებმა წინამდებარე ქცევის კოდექსის განმარტებასთან, განხორციელებასა და შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით ნებისმიერი საკითხის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ჩააყენონ საქმის კურსში EITI-ს ორგანო. თუ ინფორმაცია მიწოდებულია EITI-ს საბჭოსთვის, EITI-ს საბჭო შეაფასებს გარემოებებს და გადაწყვეტს თუ რამდენად საჭიროა ზომების მიღება EITI-ს პრინციპების, EITI-ს სტანდარტისა და წესდების შესაბამისად. თუ საკითხის პირდაპირ EITI-ს ორგანოს წინაშე დასმა პირისთვის არ არის კომფორტული, მას შეუძლია ინფორმაციის მიწოდება EITI-ს საბჭოსთვის მისი მმართველი კომიტეტის და კომიტეტის თავმჯდომარის მეშვეობით.



EITI (მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა) სტანდარტი არის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნებში ნავთობის, გაზისა და მინერალური რესურსებთან მართვასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვირვალობას.

EITI განხორციელება უზრუნველყოფს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების მართვის უფრო მეტ გამჭვირვალობას და მოპოვებითი სექტორიდან სახელმწიფო შემოსავლების უპირობო ხელმისაწვდომობას საზოგადოებისათვის.